

ბაჩანა ჯიშკარიანი (რედ.)
Bachana Jishkariani (Hrsg.)

მარტინ პაულ ვაჰმერი (რედ.)
Martin Paul Waßmer (Hrsg.)

გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი
DEUTSCH-GEORGISCHER RECHTSDIALOG

სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები
STRAFRECHT UND MENSCHENRECHTE

კონფერენციის მასალები
TAGUNGSBAND



თბილისი
TBILISI
2020

კრებული მომზადებულია ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგის ფარგლებში, 2019 წლის 12-13 აპრილს გამართული კონფერენციის მასალების საფუძველზე, რომელიც სისხლის სამართალსა და ადამიანის უფლებებს ეხებოდა. კონფერენცია ორგანიზებული იყო საქართველოს უნივერსიტეტის ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტისა (ხელმძღვ. ასოც. პროფ. ბაჩანა ჯიშკარიანი) და კიოლნის უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტის (პროფ. მარტინ პაულ ვასმერი) მიერ.

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ნუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიაში წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით.

Diese Band wurde aufgrund der Materialien vorbereitet, die im Rahmen der am 12-13. April 2019 durchgeführten Tagung über das Strafrecht und Menschenrechte bearbeitet wurden. Die Tagung fand in Zusammenarbeit zwischen dem Institut für georgisches, deutsches und internationales Strafrecht (Leiter: Assoc. Prof. Dr. Bachana Jishkariani) der University of Georgia und dem Institut für Strafrecht und Strafprozessrecht der Universität zu Köln (Prof. Dr. Dr. h. c. Martin Paul Wassmer) statt.

Das Projekt, deutsch-georgischer Rechtsdialog, wurde mit finanzieller Unterstützung der Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit, Büro Südkaukasus, verwirklicht.

დამკვლავლებელი: თამარ ქიტუაშვილი

მთარგმნელი: თამარ ასათიანი, პასაუს უნივერსიტეტის დოქტორანტი

Übersetzt von Tamar Asatiani, Doktorandin, Universität Passau

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რედაქტორების წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ბაჩანა ჯიშკარიანი, მარტინ პაულ ვასმერი, 2020



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9648-5-5

კრეზულის ავტორები

ბაჩანა ჭიშკარიანი, LL.M. (München), კრეზულის სამეცნიერო რედაქტორი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველოს უნივერსიტეტი

მარტინ შაულ ვასმერი, კრეზულის სამეცნიერო რედაქტორი, სამართლის (საპატიო) დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრა, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტი, კიოლნის უნივერსიტეტი

ვერნერ შრიოდერი, LL.M. (Berkeley), სამართლის დოქტორი, პროფესორი, ინსტრუქსი უნივერსიტეტის ევროპული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

მუსტაფა თემუზ ოღლაკჩოღლუ, სამართლის დოქტორი, აკადემიური მრჩეველი, ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტი

გიორგი მახარაძე, ადვოკატი

კაი კორნელიუსი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრა, შაიდელბერგის უნივერსიტეტი

ინგვე გიოკენიანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრა, ბოხუმის უნივერსიტეტი

ნონა თოდუა, სამართლის დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბენო ცაბელი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლის კათედრა, ბონის უნივერსიტეტი.

AUTORENVERZEICHNIS

Assoz. Prof. Dr. Bachana Jishkariani, LL.M. (München), Herausgeber, Leiter des Instituts für georgisches, deutsches und internationales Strafrecht, University of Georgia

Prof. Dr. Dr. h. c. Martin Paul Waßmer, Herausgeber, Lehrstuhl für Strafrecht und Strafprozessrecht, Institut für Strafrecht und Strafprozessrecht, Universität zu Köln

Prof. Dr. Werner Schroeder LL.M. (Berkeley), Leiter des Instituts für Europarecht und Völkerrecht, Universität Innsbruck

Dr. Mustafa Temmuz Oğlakcioğlu, Akademischer Rat a. Z., Universität Erlangen-Nürnberg

Giorgi Makharadze, Rechtsanwalt

Prof. Dr. Kai Cornelius, Lehrstuhl für Strafrecht und Strafprozessrecht, Universität Heidelberg

Prof. Dr. Ingke Goeckenjan, Lehrstuhl für Strafrecht und Strafprozessrecht, Universität Bochum

Prof. Dr. Nona Todua, Staatliche Universität Tbilissi

Prof. Dr. Prof. Benno Zabel, Lehrstuhl für Strafrecht, Universität Bonn

წინასიტყვაობა

სამართლებრივი სახელმწიფო და ადამიანის უფლებები მნიშვნელოვანი თემებია ფრიდრიხ ნაუმანის ფონდისთვის. სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები კი სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის კლასიკური ნიმუშია. სამართლებრივი სახელმწიფოს შეფასებისთვის ეს მიმართულება ყველაზე სადავო საკითხებს შეიცავს. სახელმწიფო, ერთი მხრივ, ვალდებულია მკაცრი ხელით დაიცვას მართლწესრიგი და უსაფრთხოება, მაგრამ, ამავდროულად, ის უნდა იცავდეს ბრალდებულისა და თვით დამნაშავედ ცნობილი პირის უფლებებს. საქართველო ამ მიმართულებით პოზიტიურ გზას ადგას და გასულ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, თუმცა, რეფორმების აუცილებლობა ისევ აქტუალურია.

2018 წლის მსგავსად, 2019 წელსაც ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიაში წარმომადგენლობის მხარდაჭერით, ჩატარდა ორდღიანი ღონისძიება სისხლის სამართლისა და ადამიანის უფლებების შესახებ საქართველოს უნივერსიტეტსა და კიოლნის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. აღნიშნულის მიზანი იყო შედარებითსამართლებრივი ანალიზის ფარგლებში სისხლის სამართალსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის დამუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების ქრილში.

შემუშავებულ იქნა სხვადასხვა რეკომენდაციები, მათ შორის:

- სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამომწვევი სოციალური ფაქტორების გამოკვლევის აუცილებლობის თაობაზე;
- დანაშაულის სუბიექტთა წრის შემლუდვის საჭიროების (მაგ. სამოხელეო დანაშაულების ჩადენისას) თაობაზე;
- საპროცესო უფლების დარღვევის ან შელახვისას შიდაპროცესუალური კომპენსაციის სხვადასხვა მოდელის თაობაზე.

აღნიშნული პუბლიკაციის ფარგლებში გვინდა წარმოდგენა შეგიქმნათ

იმ საკითხებზე, რომლებიც განხილულ იქნა 2019 წლის კონფერენციის ფარგლებში. ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი მომავალშიც შეუწყობს ხელს ქართველ და გერმანულ ექსპერტებსა და პრაქტიკოსებს შორის დიალოგს.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ კიოლნის უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტის დირექტორს, პროფ. დოქტ. მარტინ ვასმერს, ასევე ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, პროფ. დოქტ. ბაჩანა ჯიშკარიანს, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ყოფილ სტიპენდიანტს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აღნიშნული დიალოგის ინიცირებასა და ორგანიზებაში.

პეტერ-ანდრეას ბოხმანი

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის
სამხრეთ კავკასიაში წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო

VORWORT

Rechtsstaat und Menschenrechte sind wichtige Schwerpunktthemen der Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit.

Das Thema „Strafrecht und Menschenrechte“ ist wohl der Klassiker bei der Betrachtung der Beziehung zwischen Staat und Bürger. Kaum eine andere Materie birgt derart Zündstoff für die Frage, wann ein Staat ein Rechtsstaat ist. Gilt es einerseits durch staatliche Gewalt die rechtliche Ordnung und Sicherheit aufrechtzuerhalten, so gebieten die Menschenrechte auch einen schützenden Rahmen für einen Verdächtigen und selbst den überführten Täter zu wahren. Georgien ist in diesem Bereich auf einem guten Weg und hat in den vergangenen Jahren große Fortschritte gemacht. Dennoch gilt es weitere Reformen durchzuführen.

Wie schon 2018 hat die Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit im Südkaukasus auch 2019 eine zweitägige Veranstaltung „Strafrecht und Menschenrechte“, gemeinsam mit der University of Georgia und der Universität Köln durchgeführt, die zum Ziel hatte in vergleichenden Analysen des Strafrechts in Georgien und in Deutschland Vorschläge für die Entwicklung des Strafrechts mit Fokus Menschenrechte unter dem Gesichtspunkt der weiteren Entwicklung des Rechtsstaates in Georgien hinsichtlich des Assoziierungsabkommens zwischen Georgien und der EU zu entwickeln.

So wurden unter anderem folgende Vorschläge unterbreitet:

- Die Notwendigkeit der Untersuchung der sozialen Gründe der sog. „hate crimes“;
- Die Notwendigkeit der Begrenzung der Strafrechtssubjekte (z.B. bei der Begehung der Amtsdelikte);
- Verschiedene Modelle der innerprozessualen Kompensation der Verletzung oder Beeinträchtigung eines Verfahrensrechts.

Mit der vorliegenden Publikation wollen wir einen Überblick über die verschiedensten Themen geben, die auf der Tagung im April 2019 erörtert und diskutiert wurden. Die Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit wird auch in

Zukunft den Austausch zwischen georgischen und deutschen Rechtsexperten und Rechtspolitikern unterstützen.

Wir danken insbesondere Herrn Prof. Dr. Martin Waßmer, Direktor des Instituts für Strafrecht und Strafprozessrecht an der Universität zu Köln und Prof. Dr. Bachana Jishkariani, Leiter des Instituts für georgisches, deutsches und internationales Strafrecht, Altstipendiat der Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit, die diese Dialogveranstaltung initiiert und maßgeblich organisiert haben.

Peter-Andreas Bochmann

Head of South Caucasus Office

Armenia, Azerbaijan, Georgia

Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit

სარჩევი

INHALTSVERZEICHNIS

კრებულის ავტორები	3
AUTORENVERZEICHNIS	4
წინასიტყვაობა	5
VORWORT.....	7
ევროკავშირის სამართლის დაახლოების ფარგლები	11
ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების სისხლისსამართლებრივი შეფასება	26
ნარკოტიკების მოხმარების სისხლისსამართლებრივი შეფასება საქართველოში	41
პირადი სფეროს სისხლისსამართლებრივი დაცვა გერმანიაში	50
საარჩევნო სისხლის სამართალი, როგორც დემოკრატიის ევაკუთხედი	64
სატრანსპორტო დანაშაულები და ბრალის კრინციკი გერმანიაში	81
უმოქმედობის მიზეზობრიობის ზოგიერთი სადავო საკითხი სატრანსპორტო დანაშაულში	97
ხელოვნება, საზოგადოება, სისხლის სამართალი - კონფლიქტური ურთიერთობის ესკიზი	112
სისხლის სამართალი და ხელოვნება	130
GRENZEN DER EUROPÄISCHEN RECHTSANGLEICHUNG	141
DIE STRAFRECHTLICHE BEWERTUNG DES DROGENKONSUMS	152

DIE STRAFRECHTLICHE BEURTEILUNG DES DROGENKONSUMS IN GEORGIEN	164
DER STRAFRECHTLICHE SCHUTZ DER PRIVATSPHÄRE IN DEUTSCHLAND	171
DAS WAHLSTRAFRECHT ALS GRUNDPFEILER DER DEMOKRATIE	181
VERKEHRSDELIKTE UND SCHULDPRINZIP IN DEUTSCHLAND	193
EINIGE UMSTRITTENE ASPEKTE DER KAUSALITÄT DES UNTERLASSENS BEI VERKEHRSDELIKTEN	206
KUNST, GESELLSCHAFT, STRAFRECHT – SKIZZE EINER KONFLIKTTRÄCHTIGEN BEZIEHUNG	215
STRAFRECHT UND KUNST	229

ევროკავშირის სამართლის დაახლოების ფარგლები

პროფ. დოქტ. ვერნერ შრიოდერი, ინსბრუკის უნივერსიტეტი

I. ევროკავშირში სამართლის დაახლოების საფუძვლები

ევროკავშირის სამართალში ცნებები „სამართლის დაახლოება“ და „ჰარმონიზაცია“ ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება. ისინი ემსახურებიან ევროკავშირის სამართლით დადგენილ სტანდარტებთან ეროვნული სამართლებრივი ნორმების დაახლოების მიზნებს¹.

ევროკავშირში სისხლის სამართლის დაახლოების, გათანაბრების პროცესი სათავეს იღებს ჯერ კიდევ ლისაბონის ხელშეკრულებით „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცისათვის“ სუპრანაციონალური ფარგლების დადგენიდან (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (AEUV) 67-ე მუხლი და შემდგომი). შესაბამისად, აღნიშნული ხორციელდება იმ ზოგადი წესების დაცვით, რომლებიც ევროკავშირის სამართლის სხვა სფეროებზეც ვრცელდება (მაგ. ევროკავშირის შიდა ბაზარზე). თუმცა, აქ შეიმჩნევა ცალკეული თავისებურებებიც.

II. ევროკავშირში სისხლის სამართლის დაახლოების მიზანი

სამართლის დაახლოება ევროკავშირში თვითმიზანს არ წარმოადგენს. მას უმეტესად ფუნქციონალური დატვირთვა გააჩნია. იგი არა მხოლოდ წევრ ქვეყნებს შორის არსებული სამართლებრივი სხვადასხვაობის აღმოფხვრას ემსახურება, არამედ მიზნად ისახავს განსაზღვრული პოლიტიკური შედეგების მიღწევას და მთლიანობაში „ევროპული საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ გარანტირებას².

1 *Wagner*, Das Konzept der Mindestharmonisierung, 2001, S. 18 f.

2 Begriff in EuGH – Internationale Handelsgesellschaft, Rs. 11/70, ECLI:EU:C:1970:114, Rn. 16.

ამგვარად, ევროკავშირის მხრიდან წვერი ქვეყნების სისხლის სამართლის დაახლოება (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 67-ე მუხლის მე-3 აბზაცის და 82-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით), უპირველეს ყოვლისა, შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცის ფუნდამენტი. აღნიშნულ სივრცეში „უსაფრთხოების მაღალი ხარისხია“ გარანტირებული. ცხადია, რომ ამგვარ ევროპულ სივრცეში გვხვდება საერთაშორისო ხასიათის სამართლებრივი შემთხვევები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ პრობლემებს წარმოქმნიან.

თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის ერთიანი სივრცის პროექტის იდეას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ევროკავშირისათვის, რომელიც ევროპული ეკონომიკური სივრციდან, სუპრანაციონალურ საცხოვრებელ სივრცედ ჩამოყალიბდა. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების (EUV) მე-2 მუხლის და მე-3 მუხლის მე-2 აბზაცით დადგენილი ევროკავშირის ღირებულებები და მიზნები აღნიშნულს ნათელს ჰფენს.³ სისხლის სამართლის ჰარმონიზაციაც წვერი ქვეყნების საერთო ღირებულებების გამოხატულებას წარმოადგენს.

III. ევროკავშირში სისხლის სამართლის დაახლოების გზები

ჰარმონიზაციის ფარგლები, პირველ რიგში, განსაზღვრულია თავად ევროკავშირის კომპეტენციის საფუძველზე. ერთი შეხედვით, შესაძლოა ბანალურად ჟღერდეს ის განაცხადი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის კანონმდებელს მხოლოდ იმ უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია სამართლებრივი დაახლოების განხორციელება, რომელიც მას ხელშეკრულებების საფუძველზე აქვს მინიჭებული. თუმცა, როგორც ცნობილია, ევროკავშირის კანონმდებელი ცდილობს საკუთარი საკანონმდებლო და ჰარმონიზაციის კომპეტენციის საკმაოდ დიდი მასშტაბით გაფართოებას. მაგ. ევროკავშირის დირექტივას (2015/849) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ,⁴ შიდა

3 *Schroeder, Grundkurs Europarecht, 5. Aufl. 2017, § 4 Rn. 1 ff.*

4 *ABI. EU L 141 v. 5.6.2015, S. 73.*

ბაზრის კომპეტენციის საფუძველზე დაეჭირა მხარი, რაც სრულიად მისაღებია, ვინაიდან აქ კაპიტალის მიმოქცევის თავისუფლებასთან კავშირი ნათლად ჩანს. თუმცა, ამასთანავე, ამ შემთხვევაში საქმე ეხება თანამდევ კანონს სისხლისსამართლებრივი აკრძალვების ეფექტიანი განხორციელებისათვის, რომლისთვისაც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლი სპეციალურ კომპეტენციას ითვალისწინებს.

წესისამებრ, ევროკავშირში სამართლის დაახლოება ხორციელდება მინიმალური ჰარმონიზაციის გზით. დირექტივებში ან დადგენილებებში მხოლოდ ევროკავშირის სამართლის მინიმალური სტანდარტების ფორმულირებას ვხვდებით⁵. აღნიშნული წევრ სახელმწიფოებს დისკრეციულ უფლებამოსილებებს ანიჭებს. მაგ. ევროკავშირის სურსათის შესახებ დადგენილების (178/2002) მე-17 მუხლი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს⁶ შექმნან ქმედითი, შემაკავებელი და თანაზომიერი სანქციები ამ სფეროში სამართალდარღვევების აღსაკვეთად⁷. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რეგულაცია ღიად ტოვებს იმ საკითხს, თუ კონკრეტულად რა ფორმა უნდა ჰქონდეს ამ სანქციებს.

ევროკავშირში სამართლის ცალკეულ სფეროებში გამონაკლისის სახით სრული ჰარმონიზაციის შემთხვევებსაც ვხვდებით. ამ შემთხვევაში სამართლის დაახლოებისათვის დადგენილი მოთხოვნები თავად ევროკავშირის სათანადო სამართლებრივი აქტიდან გამომდინარეობს. წევრ სახელმწიფოებს ამ დროს არ აქვთ უფლებამოსილება თავიანთ სამართალში მიიღონ ან შეინარჩუნონ ევროკავშირის სათანადო სამართლებრივ აქტებში მოცემული მოთხოვნებისაგან განსხვავებული რეგულაციები⁸.

ევროკავშირის სისხლის სამართლის პროცესისა და მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში (ლისაბონის ხელშეკრულებიდან გამომდინარე) არ გააჩნია ამგვარი სამართლის ყოვლისმომცველი დაახლოების კომპეტენცია. ფრაგმენტული ჰარმონიზაციის კომპეტენცია

5 *Wagner* (Fn. 1), S. 53.

6 ABl. EU L 31 v. 1.2.2002, S. 1.

7 შეად. EuGH – Reindl, Rs. C-443/13, ECLI:EU:C:2014:2370, Rn. 37 f.

8 EuGH – Europamur Alimentación, Rs. C-295/16, ECLI:EU:C:2017:782, Rn. 38 ff.

ეყრდნობა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 82-ე და 83-ე მუხლებს, რომლებიც ეროვნული სამართლის დაახლოების მინიმალურ სტანდარტებს ადგენენ (მხოლოდ ღირექტივების მეშვეობით).

IV. ევროკავშირში სისხლის სამართლის დაახლოების პოზიტიური და ნეგატიური სტრატეგია

იმისათვის, რათა გავიაზროთ ევროკავშირის სამართლის დაახლოების მნიშვნელობა, აუცილებელია იმის ცოდნა, რომ აღნიშნული მეთოდი ერთგვარ კონფორმაციაშია ევროპული სამართლის ინტეგრაციის სხვაგვარ სტრატეგიებთან.

1. ორმხრივი აღიარების პრინციპი

სამართლის დაახლოებას პოზიტიური ინტეგრაციის ინსტრუმენტადაც მოიხსენიებენ. იგი ეროვნულ კანონმდებლობებში არსებული განსხვავებების აღმოფხვრას ემსახურება. ევროკავშირის კანონმდებელი მეორადი კანონმდებლობის გამოცემით ქმნის (პოზიტიურ) ერთიან სტანდარტს მთლიანი ევროკავშირისთვის.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ნეგატიური ინტეგრაციის მეთოდი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ევროკავშირში არსებული ეროვნული სამართლებრივი სხვადასხვაობის აღმოფხვრა ორმხრივი აღიარების საფუძველზე ხორციელდება⁹. ეს კონცეფცია წარმოიშვა ევროკავშირის შიდა ბაზარზე დაყრდნობით და მოქმედებს იმ სფეროების მიმართ, რომელთა ჰარმონიზებაც ევროკავშირის მეორადი კანონმდებლობის მეშვეობით ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. ის მოითხოვს, რომ საქონლის, მომსახურების ან კონკრეტული პირის წარმოშობის ქვეყნის სუვერენული გადაწყვეტილებები სამართლებრივი ძალის მქონე იყოს დანიშნულების ქვეყანაშიც. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილებების შემდგომი სამართლებრივი გადამოწმება ზედმეტია. მაშასადამე, საქონელი, მომ-

9 *Schroeder* (Fn. 3), § 18 Rn. 5.

სახურება ან პროფესიული საქმიანობა, რომელიც ბრუნვაუნარიანია და დაიშვება ევროკავშირის ერთ წევრ ქვეყანაში, პრინციპულად ბრუნვაუნარიანად და დასაშვებად მიიჩნევა ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებშიც.

მაგალითი: საფრანგეთში დამზადებული ხილის ლიქიორის (Creme de Cassis) გერმანიაში გაყიდვა მაშინაც არის დასაშვები, როდესაც ლიქიორის შემადგენლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნები ორივე ქვეყანაში ერთმანეთისგან განსხვავდება¹⁰. აუცილებელია აღინიშნოს, რომ, ფაქტობრივად, ეს მექანიზმიც სამართლის დაახლოების ნაწილს შეადგენს. კერძოდ, იგი განეკუთვნება სამართლის ნეგატიური დაახლოების ფორმას, რომელიც მოქმედებს ევროკავშირში ყველაზე დაბალ, ეროვნულ დონეზე.

თუმცა, ორმხრივ აღიარებას განსამზღვრული ფარგლებიც გააჩნია. ევროკავშირის შიდა ბაზრის მოთხოვნაა, რომ სამართლებრივი სტანდარტები ორივე ქვეყანაში, მაშასადამე, წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებში დაახლოებით ერთნაირი იყოს. სხვაგვარ შემთხვევაში შესაძლოა დანიშნულების ქვეყანამ უარი თქვას აღიარებაზე გამამართლებელ მიზეზზე მითითებით, მაგ. ეროვნული საჭარო წესრიგის დაცვაზე მითითებით.

2. ევროკავშირში სამართლის დაახლოება სისხლის სამართლის სფეროში და მისი მიმართება ორმხრივ აღიარებასთან

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების თავში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში ერთობლივი საქმიანობის შესახებ ვხვდებით შემოთნახსენებ ორივე სტრატეგიას. თუმცა, სწორედ ევროკავშირის შიდა ბაზრის სამართალთან შედარებით, აუცილებელად უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სამართლის ნორმების დაახლოებაზე მეტი პრიორიტეტი ევროკავშირის მეორადი სამართლის მეშვეობით განხორციელებულ ორმხრივ აღიარებას ენიჭება. სისხლის სამართლის პოზიტიური ჰარმონიზაცია მხოლოდ სუბსიდიურ

10 EuGH – Rewe-Zentral AG (Cassis de Dijon), Rs. 120/78, ECLI:EU:C:1979:42, Rn. 13 f.

საშუალებას უნდა წარმოადგენდეს ორმხრივი აღიარების პრინციპის განსახორციელებლად¹¹. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 67-ე მუხლი („საჭიროების შემთხვევაში“) და 82-ე მუხლის მე-2 აბზაცი („რამდენადაც საჭიროება არსებობს“) აღნიშნულს ნათლად უსვამენ ხაზს სისხლის სამართლის პროცესთან მიმართებით.

როგორც ეს უკვე შიდა ბაზრის მაგალითზე გამოჩნდა, ორმხრივი აღიარება არაპირდაპირი გზებით ასევე მოიცავს ევროპული სამართლის დაახლოებასაც. თუმცა, აღნიშნული გარკვეულწილად პრობლემურიცაა, ვინაიდან შესაძლოა ევროკავშირის წევრ ქვეყანაში მოქმედებდეს სამართლის შედარებით დაბალი სტანდარტები და ამ ქვეყნის გადაწყვეტილებები სხვა სახელმწიფოებმაც უნდა აღიარონ.

იმ შემთხვევაში, თუკი ორმხრივი აღიარების ინსტრუმენტს სისხლის სამართლის ინტეგრაციის შესაფერის ინსტრუმენტად მივიჩნევთ, ჩვენი მოსაზრებით, ორი არსებითი პუნქტი უნდა გავითვალისწინოთ:

(1) პირველ რიგში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტების ორმხრივი აღიარება - შიდა ბაზრისაგან განსხვავებით - ავტომატურად არ ხორციელდება. აღიარების პრინციპი ჯერ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის მეორე ქვეაბზაცის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ევროკავშირის მეორადი სამართლის გამოყენების მეშვეობით უნდა იქნას იმპლემენტირებული. ამგვარი წესის ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილება დაპატიმრების ბრძანების შესახებ 2002/584/JI¹², რომლითაც განსაზღვრულია კონკრეტული წინაპირობები დაპატიმრების ბრძანების აღიარების შესახებ.

(2) სასამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივი აღიარების პრინციპის განხორციელება გადამწყვეტად არის დამოკიდებული წევრ სახელმწიფოებს შორის არსებულ ორმხრივ ნდობაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ხარისხსა და სამართლიანობასთან მიმართებაში¹³.

11 *Satzger*, in: Streinz (Hrsg.), EUV/AEUV, 3. Aufl. 2018, Art. 82 AEUV Rn. 10,.

12 ABl. EU L 190 v. 18.7.2002, S. 1.

13 EuGH – Gözütok u.a., verb. Rs. C-187/01 u. C-385/01, ECLI:EU:C:2003:87, Rn. 33; *Satzger* (Fn. 11), Art 82 AEUV Rn. 19.

3. ორმხრივი აღიარების ფარგლები

საკითხავია, არის თუ არა ამგვარი ნდობა გამართლებული, ვინაიდან წევრ ქვეყნებში არსებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, დღეის მდგომარეობით, ევროკავშირში დადგენილ მინიმალურ სტანდარტს ჯერ მაინც ვერ მიუახლოვდა. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის პირველი აბზაცი თვალს არ უსწორებს ამ ფაქტს და ითხოვს სასამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივ აღიარებას სამართლის წინმსწრები ჰარმონიზაციის გარეშე. აღნიშნული კარგად ჩანს ევროკავშირის დაპატიმრების ბრძანების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილებაში, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის წევრი ერთი სახელმწიფო ვალდებულია აღასრულოს მომთხოვნი წევრი სახელმწიფოს მიერ შედგენილი ევროკავშირის დაპატიმრების ბრძანება (პირველი მუხლის მე-2 აბზაცი). აღნიშნული მკაცრი რეგულირება მართლდება იმით, რომ ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა სამართლებრივ სახელმწიფოს წარმოადგენს, რაც მათი ევროკავშირში შესვლისას გამომწვევს იქნა (შეად. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლი ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლთან ერთობლიობაში).

ფაქტობრივად, აღნიშნული დანაწესის შეუზღუდავად შენარჩუნება შეუძლებელია¹⁴. ისეთ წევრ ქვეყნებში, როგორცაა უნგრეთი, პოლონეთი და რუმინეთი, არსებობს მასობრივი სამართლებრივსახელმწიფოებრივი პრობლემები, განსაკუთრებით მართლმსაჯულების სფეროში¹⁵. სწორედ ამიტომ, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ორმხრივი აღიარების პრინციპი სისხლის სამართალწარმოების სფეროში ერთგვარად შეზღუდა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 82-ე და მომდევნო მუხლები სამართლებრივი სახელმწიფოსა და ძირითადი უფლებების შესახებ ევროპული სტანდარტებით განავრცო. თუკი წევრ ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწი-

14 ob. *Schroeder*, *The European Union and the Rule of Law – State of Affairs and Ways of Strengthening*, in: ders. (Hrsg.), *Strengthening the Rule of Law in Europe – From a Common Concept to Mechanisms of Implementation*, Oxford 2016, S. 3.

15 ახლა ასევე ob. *EuGH – Kommission/Polen*, Rs. C-619/18, ECLI:EU:C:2019:531, Rn. 60 ff.

ფოს ან ძირითადი უფლებების სერიოზული დეფიციტი არსებობს, სხვა წევრ სახელმწიფოებს ენიჭებათ უფლებამოსილება, აღარ აღიარონ ამ სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებები. ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება ევროკავშირის დაპატიმრების ბრძანებასთან მიმართებაში მიიღო¹⁶. იგივე დანაწესი მოქმედებს სისხლის სამართლის საქმეებზე ევროკავშირის საგამოძიებო განკარგულების შესახებ დირექტივაზეც (2014/41/EU)¹⁷. აღნიშნული დირექტივის მე-11 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, „შესაძლებელია“ (!) უარი ითქვას გამოძიების დაწყების განკარგულებაზე აღსრულების ქვეყანაში, როცა არსებობს იმის საფრთხე, რომ ამით დაირღვევა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ან ძირითადი უფლებები. აღნიშნული განსაზღვრება ძირითად უფლებებთან შესაბამისობაში იმგვარად უნდა განიხილოს, რომ ამგვარ შემთხვევებში უარი „უნდა“ ითქვას აღიარებაზე.

V. ევროკავშირში სისხლის სამართლის დაახლოების ფარგლები

1. ევროკავშირში სისხლის სამართლის დაახლოების საავარიო მუხრუჭი

სისხლის სამართლის ჰარმონიზაციისას ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ე.წ. „მუხრუჭი“ (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-3 აბზაცი და 83-ე მუხლის მე-3 აბზაცი). აღნიშნული უფლებების გამოყენებით მას შეუძლია შეაჩეროს საბჭოში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესი, თუკი არსებობს იმის ალბათობა, რომ დაგეგმილი ღონისძიება საფრთხეს შეუქმნის „მისი სისხლის სამართლის ფუნქციონირების ასპექტებს“. ამგვარი შემთხვევებისთვის გათვალისწინებული პროცედურა მოიცავს ევროპული საბჭოსათვის მიმართვას, რომელიც ვალდებულია საკითხის გადასაწყვეტად ურთიერთშეთანხმებული გამოსავალი იპოვოს.

16 EuGH – Aranyosi u.a., verb. Rs. C-404/15 u. C-659/15 PPU, EU:ECLI:C:2016:198, Rn. 82 ff.; EuGH – LM, Rs. C-216/18 PPU, ECLI:EU:C:2018:586, Rn. 43 ff.

17 ABI. EU L 130 v. 1.5.2014, S. 1.

ამგვარი „ფუძემდებლური ასპექტების“ განმარტება თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს. გერმანული ხედვით, მათში სავარაუდოდ მოიაზრება ბრალეულობის პრინციპი ან კანონის უკუძალის აკრძალვა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მკაცრ წინაპირობებს ადგენს იმისათვის, რომ გერმანიის წარმომადგენელმა ამგვარი უფლებამოსილება გამოიყენოს და ევროკავშირში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესი შეაჩეროს¹⁸.

2. ევროკავშირში სისხლის სამართლის ე.წ. „ფრთხილი“ დაახლოება?

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 67-ე მუხლის პირველი აბზაცი და 82-ე მუხლის მე-2 აბზაცი არაერთგზის უსვამენ ხაზს იმ ფაქტს, რომ ეროვნული სისხლის სამართლის დაახლოება „საჭირო“ და „აუცილებელი“ უნდა იყოს. ამასთან, ისინი მოითხოვენ, რომ „წევრი ქვეყნების სამართლებრივი წესრიგები და ტრადიციები“ გათვალისწინებულ უნდა იქნას.

ზოგიერთი გერმანელი სისხლის სამართლის სპეციალისტი¹⁹ ამ მითითებაზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ევროკავშირის სამართლით სპეციალური ე.წ. „სიფრთხილის პრინციპი“ არის აღიარებული, რომლის მიხედვითაც ევროკავშირს ეროვნულ სისხლის სამართლის სისტემებში მხოლოდ ფრთხილი ჩარევის უფლება გააჩნია.

ჩემი მოსაზრებით, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება არავითარ შემთხვევაში არ მოითხოვს, რომ ევროკავშირის სისხლის სამართლის ნებისმიერი აქტი განსაკუთრებულ შემზღუდავ შემოწმებას უნდა დაექვემდებაროს. ლისაბონის ხელშეკრულება სისხლის სამართლის სრულ ევროპულ ჰარმონიზებაზე ისედაც უარს აცხადებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული განაცხადები შეგვიძლია გავიგოთ, როგორც მხოლოდ სუბსიდიარობისა და თანაზომიერების პრინციპების სისხლისამართლებრივ-პოლიტიკური დაზუსტება.

18 შუად. BVerfGE 123, 267, 413 f – Lissabon.

19 Hecker, *Europäisches Strafrecht*, 5. Aufl. 2015, S. 296 f.; Heger, ZIS 2009, 406, 410; Satzger (Fn. 11), Art. 82 AEUV Rn. 3.

ევროკავშირში სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის ღონისძიებები ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-3 აბზაცში მოცემული სუბსიდიარობის პრინციპის გამო, რა თქმა უნდა, უნდა ემსახურებოდნენ იმ ერთიან ევროპულ მიზნებს, რომელთა ეფექტურად მიღწევა წევრი ქვეყნების დონეზე შეუძლებელია. გარდა ამისა, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-4 აბზაცში მოცემული თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე, აღნიშნული ღონისძიებები არ უნდა აჭარბებდნენ „აუცილებელი საჭიროების ფარგლებს“. აღნიშნულის ქვეშ მოიაზრება შემდეგი: რაც უფრო მასობრივად ერევა ევროკავშირის ჰარმონიზაციის ღონისძიებები ეროვნულ სისხლის სამართლის სისტემებში, მით უფრო დიდი უნდა იყოს მათი მნიშვნელობა კავშირის მიზნების მისაღწევად.

თუმცა, აღნიშნულზე დაფუძნებული მოსაზრებები ეროვნული სისხლის სამართლის სუვერენობის თაობაზე - ე.წ. „სიფრთხილის პრინციპის“ გამოყენებით, გადაჭარბებულად მიმაჩნია. მსგავსი პრინციპის არსებობა ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკითაც არ მტკიცდება²⁰, როგორც ამას ამავე სასამართლოს გადაწყვეტილება გარემოს დაცვის შესახებ სისხლის სამართლის თაობაზე ჩარჩო-გადაწყვეტილების (2003/80/JI) ბათილად ცნობის შესახებ²¹ ნათლად გვიჩვენებს: „თუმცა, აღნიშნული ევროკავშირის კანონმდებელს ხელს არ უშლის წევრი ქვეყნების სისხლის სამართლის იმ ღონისძიებების გამოყენებაში, რომლებიც, მისი მოსაზრებით, აუცილებელია მის მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმების სრული მოქმედების გარანტირებისათვის“²².

3. ძირითად უფლებებთან შესაბამისობაში მყოფი სისხლის სამართლის დაახლოება ევროკავშირში

ევროპული სისხლის სამართლის ჰარმონიზაციისათვის მნიშვნელოვანი სტანდარტები, ჩემი მოსაზრებით, ევროკავშირის ძირითად უფლებათა

20 შეად. *Folz*, ZIS 2009, 427, 428.

21 ABI. EU L 29 v. 5.2.2003, S. 55.

22 EuGH – Kommission/Rat, Rs C-176/03, ECLI:EU:C:2005:542, Rn. 48.

ქარტიაში (GRCh) უნდა ვეძებოთ. აღნიშნული ჯერ კიდევ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 67-ე მუხლის პირველ აბზაცშია ხაზგასმული: ევროკავშირის სამართლის გაგებით, სისხლის სამართალი ყველა სხვა დარგის მსგავს სფეროს არ განეკუთვნება. ევროკავშირის მეორადი სამართლის დონეზე სისხლის სამართლის ნებისმიერი სახის ჰარმონიზაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიასთან (ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლი ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 51-ე მუხლის პირველ აბზაცსა და 52-ე მუხლის პირველ აბზაცთან ერთობლიობაში). აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ეხება მაგ. ძირითად უფლებათა ქარტიის 48-ე მუხლში მოცემულ უდანაშაულობის პრემუმფციას და 49-ე მუხლში მოცემულ თანაზომიერების პრინციპს სასჯელებთან მიმართებით.

თუკი ადრე ეჭვქვეშ იდგა ის საკითხი, სისხლის სამართლის სფეროში ევროკავშირში არსებული ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტი იძლეოდა თუ არა ინდივიდის სათანადო ხარისხით დაცვის გარანტიას, ძირითად უფლებათა ქარტიის ძალაში შესვლამ აღნიშნული სურათი შეცვალა. ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ცნობიერება ძირითადი უფლებების თაობაზე ამ ფაქტის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა, ხაზგასასმელია ის, რომ მისი სტრატეგია სისხლის სამართლის სფეროში ევროკავშირის სისხლის სამართლის აქტების ძირითად უფლებებთან შეუსაბამობის გამო ბათილად ცნობას ჯერ კიდევ არ მოიაზრებს. იგი ბათილობის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებს ევროკავშირის აქტების ძირითად უფლებებთან შესაბამისობაში განმარტების მეთოდს. ამგვარად, ის მაგ. ეროვნულ ორგანოებსა და სასამართლოებს უთითებს, არ აღასრულონ ევროკავშირის დაპატიმრების ბრძანება, თუკი პირის მიმართ ბრძანების გამომცემი სახელმწიფოში არსებობს არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საფრთხე ძირითად უფლებათა ქარტიის მე-4 მუხლის გაგებით²³ ან არსებობს საფრთხე, რომ ბრძანების გამომცემი ქვეყნის სასამართლოები დაარღვევენ ძირითად უფლებათა ქარტიის 47-ე მუხლის მე-2 აბზაცში მოცემულ სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებას²⁴.

23 EuGH – Aranyosi u.a. (Fn. 15), Rn. 98, 104.

24 EuGH – LM (Fn. 15), Rn. 44 ff.

4. ევროკავშირში სისხლის სამართლის დაახლოების შიდასახელმწიფოებრივი ფარგლები

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ თავის გადანწყვეტილებაში სისხლის სამართალს ყველაზე მნიშვნელოვან სფეროდ ასახელებს, რომელიც წევრი ქვეყნების მთავარ ბირთვად უნდა დარჩეს. ამიტომ, ევროკავშირის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ჰარმონიზაციის კომპეტენციები შეზღუდულად უნდა განიმარტოს²⁵. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს, რომ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველ ქვეაბზაცში მოცემული აუცილებლობა მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის თაობაზე სერიოზულად უნდა მივიღოთ. ამგვარი საჭიროება არ იქნებოდა სახეზე, თუკი მხოლოდ ევროკავშირის ორგანოები ამის სურვილს გამოხატავდნენ²⁶. შესაბამისად, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 ქვეაბზაცში მოცემული დანაშაულთა ჩამონათვალიც შეზღუდულად უნდა განიმარტოს. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ევროპული ჩარჩო-ნორმები მხოლოდ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებს ეხება²⁷. იგივე მოქმედებს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების მიმართაც. ამ კომპეტენციის გამოყენებისათვის აშკარად უნდა იყოს დადგენილი, რომ აღსრულების მნიშვნელოვანი დეფიციტი რეალურად არსებობს²⁸.

ამასთანავე, ევროკავშირის სისხლის სამართალში დაცული უნდა იქნას ბრალის პრინციპი, რომელიც ხელუხლებელ გერმანულ საკონსტიტუციო იდენტობას განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ყოველ შემთხვევაში, გერმანული გადმოსახედიდან, ევროკავშირის სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის დანესება, მხოლოდ შედეგისათვის

25 BVerfGE 123, 267, 410 – Lissabon.

26 BVerfGE 123, 267, 410 f. – Lissabon.

27 BVerfGE 123, 267, 412 f. – Lissabon.

28 BVerfGE 123, 267, 411 f. – Lissabon.

ბრალის გარეშე, გამორიცხულია²⁹.

სასამართლომ ჯერ კიდევ თავის გადაწყვეტილებაში ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ მოითხოვა, რომ ევროპული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ერთგვარი „ერთხილი მიდგომის გზის“ პოვნა უნდა განხორციელდებოდა, „რათა ევროკავშირის ერთიან სამართლებრივ სივრცეში შენარჩუნებულიყო ეროვნული იდენტობა და სახელმწიფოებრიობა“³⁰. შესაბამისად, ზემოთ განხილული ე.წ. „სიფრთხილის პრინციპი“ ეფუძნება არა ევროკავშირის სამართალს, არამედ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.

თუმცა, საკითხავია, ევროკავშირის სამართალში რამდენად წარმატებული იქნება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ეს დანაწესები ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 82-ე და მომდევნო მუხლების ინტერპრეტაციისთვის. ჩემი მოსაზრებით, საქმე არ ეხება იმას, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სისხლის სამართლის განსაზღვრულ სფეროებს გერმანული თვალთახედვით ხელშეუხებლად მიიჩნევს. აღნიშნული ისედაც მოქმედებს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველ აბზაცში მოცემული დანაშაულის ჩამონათვალის მიმართ. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 ქვეაბზაცის საკმაოდ ნათელი ფორმულირება, ამ შემთხვევაში, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს დანაწესებზე შორს მიდის და ევროპული სამართლის გაგებით ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელებული ნორმის ტელეოლოგიური რედუქცია არავითარ შემთხვევაში არ არის სავალდებულო. იგივე მოქმედებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს იმ შეხედულების მიმართ, რომლის თანახმადაც ევროკავშირის კანონმდებელი ვალდებულია ემპირიულად დაასაბუთოს რეგულირების აუცილებლობა. და ბოლოს, ევროპული მოსაზრებით, აღნიშნული საკანონმდებლო დისკრეციის საკითხს წარმოადგენს.

უფრო დამაჭერებელი იქნება, თუკი ფედერალური საკონსტიტუციო

29 BVerfGE 123, 267, 412. – Lissabon.

30 BVerfGE 113, 273, 299 – Europäischer Haftbefehl.

სასამართლო ევროპული ძირითადი უფლებების მინიმალური სტანდარტების დამცველად მოგვევლინება და ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთან დიალოგში შევა. აღნიშნული ნაწილობრივ უკვე მოხდა კიდევ. სასამართლომ ჯერ კიდევ 2015 წელს ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2016 წლის არანიოსის გადაწყვეტილებაზე ადრე დაადგინა, რომ გერმანული სასამართლოები არ არიან ვალდებული განახორციელონ პირის გადაცემა ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე, თუკი აღნიშნული გამოიწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, ვინაიდან, მაგ. დაუსწრებლად განსჯის შემთხვევაში, ბრალეულობის პრინციპი დაირღვეოდა³¹. დისკუსიის ამგვარი პროცესი შესაძლოა სასარგებლო იყოს, თუმცა, აუცილებელია მისი სხვა წევრ ქვეყნებზე გავრცელება.

V. დასკვნა

ევროკავშირში სისხლის სამართლის დაახლოება ხელს უწყობს არა მხოლოდ უსაფრთხოებას, არამედ ეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპული ინტეგრაციის პროცესში. ჩემი მოსაზრებით, ე.წ. „სიფრთხილის პრინციპი“-ს მომხრეები აღნიშნულს სათანადოდ არ აფასებენ.

სისხლის სამართლის ჰარმონიზების ფარგლები უფრო მეტად ეფუძნება ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე სტანდარტებს, რომლებიც ამგვარ სენსიტიურ სამართლებრივ მატერიასთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და არა კომპეტენციურ-სამართლებრივ ფარგლებს თუ ეროვნულ სუვერენულ დათქმებს.

თუკი ევროკავშირის ცალკეული წევრი ქვეყნების სამართლებრივსახელმწიფოებრიობისადმი რეალური ეჭვი იარსებებს, განსაკუთრებით კი მათ მართლმსაჯულების სისტემასთან მიმართებით, მაშინ მთლიანად ევროკავშირის პროექტის „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის“ სივრცის გარანტირების მთავარი დანაპირები დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვალდებული ვიქნებით არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივი აღიარება შევაჩეროთ,

31 BVerfG NJW 2016, 1149.

არამედ დავსვათ კითხვა, სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის შემდგომი პუნქტობრივი დაახლოება ევროკავშირის დირექტივებით საერთოდ კვლავ იქნება თუ არა შესაძლებელი.

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების სისხლისსამართლებრივი შეფასება

დოქტ. მუსტაფა თემუზ ოგლაჯიოღლუ, ფრიდრიხ-ალექსანდერის
ერლანგენის/ნიურნბერგის უნივერსიტეტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მიმოიხილოს, თუ რა ადგილი უკავია გერმანულ სისხლის სამართალში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას. „მოხმარება“, როგორც ასეთი, გერმანულ სისხლის სამართალში დასჯადი ქმედების სახით არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, გერმანული საკანონმდებლო რეგულაციების უკეთ გაცნობისას, დავინახავთ, რომ მოხმარების კონტექსტის ქმედებები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებში შესაძლოა მაინც მოექცეს. ნაშრომში თავდაპირველად განვიხილავთ მოხმარების მსგავს ქმედებებს და მათ სამართლებრივ მოწესრიგებას. შემდგომ კი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებით არსებულ სათანადო პროცესუალურ მექანიზმებს. ბოლოს ანალიზს დღეისათვის არსებული კონსტიტუციურსამართლებრივი ასპექტების შეფასებით დავასრულებთ.

I. ნარკოტიკული საშუალებების შესახებ გერმანული სისხლის სამართლის ზოგადი მიმოხილვა

ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით გერმანული სისხლის სამართლის მთავარ საკანონმდებლო წყაროს ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონი წარმოადგენს. აღნიშნული კანონის § 1-ით განსაზღვრულია კონკრეტული ნივთიერებები, რომლებიც განეკუთვნება ნარკოტიკულ საშუალებათა რიცხვს. ამავე კანონის § 2 აკონკრეტებს ნარკოტიკული საშუალებების ზოგად ცნებას. § 3 ეხება მათი გამოყენების აკრძალვას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სათანადო ნებართვის არსებობის ვალდებულებას ნარკოტიკული საშუალებების ნებისმიერი სახის გამოყენებისთვის. § 4 კი არეგულირებს გამონაკლისებს, რომელთა არსებობის დროსაც სათანადო ნებართვის ქონის ვალდებულება იხსნება. თუკი პირები არღვე-

ვენ შესაბამისი ნებართვის ქონის ან სხვა სახის ვალდებულებებს, ისინი არალეგალურად მოქმედებენ. თუკი სახეზეა ვალდებულების მხოლოდ მსუბუქი დარღვევები, § 32-ის მიხედვით მიიჩნევა, რომ საქმე გვაქვს მართლ-საწინააღმდეგო (ადმინისტრაციულ) გადაცდომებთან. რაც შეეხება მძიმე დარღვევებს, ამავე კანონის § 32-ს და მის შემდგომ პარაგრაფებს, სის-ხლისსამართლებრივ დასჯადობამდე მივყავართ¹.

გემოხსენებულ კანონში დანაშაულის ძირითად შემადგენლობას წარმოადგენს § 29, რომელსაც შემდგომ მოჰყვება მაკვალიფიცირებული ნორმები (დანაშაული გსსკ-ის § 12-ის პირველი აბზაცის გაგებით) 29a, 30, 30a პარაგრაფების სახით. ძირითადი შემადგენლობა პირველ აბზაცშივე შეიცავს ქმედების ფორმების ფართო ჩამონათვალს (§ 29 პირველი აბზაცი, 1-14 პუნქტები). აღნიშნულ ჩამონათვალში ვხვდებით ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით არსებულ ჩვენთვის წარმოსადგენ ნებისმიერ დაუშვებელ ქმედებას, რათა კანონის მიზანი ეფექტურად განხორციელდეს. სასჯელის ფარგლები მოიცავს ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ან ფულად ჯარიმას, მაშასადამე, საქმე ეხება დანაშაულის ჩადენას და არა გადაცდომას (გსსკ-ის § 12-ის მეორე აბზაცი). ჩამოთვლილი ქმედებების მცდელობაც, უმეტეს შემთხვევაში, დასჯადია, ასევე მათი გაუფრთხილებლობით ჩადენაც (ხსენებული კანონის § 29-ის მეორე და მეოთხე აბზაცები).

§ 3-ში წარმოდგენილი ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების აკრძალვა შეეხება იმ ნივთიერებებს, რომლებიც ამავე კანონის § 1-ის პირველ აბზაცში არის ჩამოთვლილი. მოცემული „პოზიტიური ჩამონათვალი“ (არალეგალურ) ნარკოტიკულ საშუალებებს განასხვავებს სხვა სახის ნარკოტიკული საშუალებებისგან². დანართები სამ ნაწილად არის დაყოფილი და ანბანურად დალაგებული. დანართებში ცვლილებები შესაძლოა განხორციელოს ფედერალურმა მთავრობამ ბუნდესრატის თანხმობით, სათანადო განკარგულების გამოცემის გზით (აღნიშნული კანონის § 1-ის მეორე აბზაცი, საჭიროებისამებრ შესაძლოა გამოიცეს ე.წ. „სასწრაფო წესის განკარგულება“, შეად. § 1-ის მესამე აბზაცი). სწორედ ნარკოტიკული

1 შესავალი ნარკოტიკული საშუალებების შესახებ გერმანულ სამართალში, იხ. Exner, JuS 2019, 211, ასევე Heinrich/van Bergen, JA 2019, 321.

2 Oğlakcıoğlu, in: MüKo StGB, Bd. 8. 3. Aufl. 2018, § 1 BtMG Rn. 1 ff.

საშუალებების ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი და მყისიერი რეაგირების მიღწევს მიზნით გადაეცა რეგულირების სათანადო უფლებამოსილება მთავრობას³. დანართის პირველადი ვერსია ეფუძნება ერთიანი კონვენციის დანართს, რომელიც თავის მხრივ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ზედამხედველობით იქნა მიღებული. თუმცა, მას შემდეგ, დანართი მუდმივად ფართოვდებოდა (როგორც სხვა საერთაშორისო კონვენციების, ასევე სხვა კანონებისა და გამოცემული განკარგულებების გავლენით). პირველი დანართი შეიცავს არაბრუნვადიან ნარკოტიკულ საშუალებებს. აღნიშნული საშუალებები ჯანმრთელობისათვის საშიშად და სამედიცინო მიზნებისათვის შეუსაბამოდ მიიჩნევა (ჰეროინი, კანაბისი და LSD). მეორე დანართი შეიცავს ბრუნვადიან, მაგრამ არაგამოწერად ნარკოტიკულ საშუალებებს. მათი, როგორც ცალკეული ნივთიერებებისა და სათანადო პროდუქტების გამოყენება, დაიშვება მხოლოდ ფარმანდუსტრიაში. აღნიშნულს განეკუთვნება, მაგალითად, კოკას ფოთლები და კოდეინი (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მომზადებისას მხოლოდ ინგრედიენტად ხდება მათი სრულიად უმნიშვნელო ოდენობით გამოყენება). მესამე დანართი მოიცავს ბრუნვადიან ნარკოტიკულ საშუალებებს და ასევე საშუალებებს, რომელთა გამოწერაც დასაშვებია.

პოზიტიური ჩამონათვალი არანაირ კონკრეტულ სქემას ან კლასიფიკაციის მეთოდს არ ექვემდებარება. არც ნივთიერებების ქიმიური კლასების (განსაკუთრებით ალკალიოიდებისა და ტერპენოიდების) და არც მათი წარმოშობის მიხედვით (ბიოგენური, ნახევრად სინთეზური, სრულად სინთეზური) დანაწილება არ გვაქვს სახეზე. შეიძლება ითქვას, რომ დაჯგუფებისას გარკვეულ როლს პოტენციურად მხოლოდ თერაპიული გამოყენება - ნივთიერებების „გამოწერის შესაძლებლობის მქონედ“ დაყოფა - თამაშობს (მაშასადამე, მესამე დანართში მოცემული ნივთიერებები). შესაბამისად, სიაში მოცემული ნივთიერებები მოიცავენ დისოციატიური, ნარკოტიკული, სედატიური საშუალებების მოქმედების მთლიან სპექტრს და ფსიქოდელურ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰალუცინაციების გამომწვევ ნივთიერებებსა (ლიბერგინის მჟავა, ფსილოციბინი) და სტიმულანტებს (კოკაინი).

3 შუად. ასევე: BT-Drs. 8/3551, 26.

თუმცა, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ განკარგულების გამოცემის უფლებამოსილება (§ 1 მეორე აბზაცი) მოიცავს ბუნდოვან კრიტერიუმებს, რომლებიც კონკრეტული ნივთიერების სიაში შეტანისას უნდა იქნას გათვალისწინებული. კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: „ნივთიერების ზემოქმედება, განსაკუთრებით კი ზემოქმედება, რომელიც იწვევს დამოკიდებულებას“; „საზიანო გამოყენების“ ფარგლები და „ჭანმრთელობისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ საფრთხის შექმნა“. კონკრეტული ნივთიერების სიაში შეტანა ან მისი, როგორც საფრთხის შემქმნელ ნივთიერებად კლასიფიკაცია მართლმსაჯულების გზით (თუნდაც ექსპერტების დახმარებით) გადასინჯვას არ ექვემდებარება. შესაბამისად, შეუძლებელი იყო განსაზღვრული სახის კრიტერიუმების სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით დადგენაც. ამასთანავე, ეს საკმაოდ რთულიც იქნებოდა, ვინაიდან, გააჩნია თუ არა ამა თუ იმ ნივთიერებას სახიფათო ხასიათი, დამოკიდებულია მის კონცენტრაციაზე, სახეობაზე ან დამზადების წესზე, ასევე მომხმარებლების მიერ გამოყენებასა და მათ ინდივიდუალურ ჩვევებზე (Drug/Set/Setting)⁴. სწორედ ამით შეიძლება მოეძებნოს ახსნა იმ ფაქტს, რომ დღემდე, ნივთიერებები, რომელთაც საფრთხისა და დამოკიდებულების შექმნის საკმაოდ ცვალებადი პოტენციალი აქვთ, ერთ რეგულაციას ექვემდებარებიან, მაშინ, როცა სხვა უამრავი ნივთიერება, რომელიც ასევე ნარკოტიკისა და დელირიუმის ფართო ცნებების ქვეშ მოიაზრება, არ გვხვდება წარმოდგენილ სიაში (ალკოჰოლი, კეტამინი). ჯერ კიდევ პროპიბიციის დასაწყისში წარმოქმნილი ლეგიტიმაციის აღნიშნული პრობლემა დღემდე კვლავ გადაუჭრელი რჩება. უფრო მეტიც, შეგვიძლია ბევრად უფრო შორს წავიდეთ და დავსვათ კითხვა, თუ რატომ შეიძლება კანაბისი არალეგალური იყოს, ალკოჰოლი კი - ლეგალური⁵?

4 აღნიშნულს ეხება *Böllinger*, HFR 2015, 23, 30.

5 აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. დეტალურად *Kinzig*, FS Kargl, 2015, S. 273, 274, 278, რომელიც ასევე მიუთითებს სხვა ავტორზე *Nutt*, *Drugs – without the hot air: minimising the harms of legal and illegal drugs*, 2012.

II. არდასჯადი მოხმარება და მოხმარების მსგავსი დელიქტები

თუკი დამნაშავის ქმედება უკავშირდება ნარკოტიკულ საშუალებებს და იგი არ არის უფლებამოსილი ეს საშუალებები ლეგალურად განკარგოს, მაშინ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახეზეა ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონის § 29-ის პირველი აბზაცის შემადგენლობა. აღნიშნული ნორმა - როგორც ნარკოტიკული საშუალებების შესახებ გერმანული სამართლის „ბირთვი“ - პირველივე აბზაცის პირველივე პუნქტში ყურადღებას ამახვილებს ქმედების ათ შესაძლო ალტერნატივაზე. ხსენებულ ფორმებს წინამდებარე ნაშრომში, მისი შეზღუდული ფორმატიდან გამომდინარე, დეტალურად არ განვიხილავთ. თუმცა, ამის აუცილებლობა დღის წესრიგში ისედაც არ დგას, ვინაიდან, ზოგიერთი მათგანი სხვებთან შედარებით ნაკლებად რელევანტურია. ჩვენს მიერ განსახილველი თემეტიკისთვის სრულიად საკმარისია გასაღებასა და მოხმარებასთან დაკავშირებულ დანაშაულებს შორის არსებული განსხვავებების წარმოჩენა. ჩვენი ყურადღების ცენტრში უფრო მოხმარებასთან დაკავშირებული საკითხები მოექცევა, ვინაიდან, მათი პრაქტიკული მნიშვნელობა არსებითად უფრო დიდია (რაც ასევე დასტურდება ფედერაციაში ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებით არსებული საერთო სურათით)⁶. სისხლისსამართლებრივად ისინი, თავის მხრივ, ყველაზე მეტადაა ნარკოტიკული საშუალებების შეძენასთან, გასაღებასთან და ფლობასთან დაკავშირებული.

მოხმარებასთან დაკავშირებული დანაშაულების უმეტესობის შემთხვევაში, შემადგენლობის განხორციელების მთავარ ნიშანს ნარკოტიკული საშუალებების განკარგვის შესაძლებლობა წარმოადგენს⁷. აკრძალულია როგორც ფლობა, ისე შეძენა და გასაღება. განკარგვა გულისხმობს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას და ამით ნარკოტიკულ საშუალებებზე სასურველი ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობას. ყოველივე ეს

6 აღნიშნული ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Rauschgiftkriminalitaet/2017RauschgiftBundeslagebildZ.html> (ნანახია 1.6.2019).

7 შეაღ. BGH StV 1989, 201; BGH NSZ 1997, 383; NSZ-RR 1999, 89, ასევე BayObLGSt 2003, 116 = NSZ 2004, 401.

უნდა ხორციელდებოდეს სხვებისგან დამოუკიდებლად. მათი ნება-სურვილი არავითარ გავლენას არ უნდა ახდენდეს ამ ბატონობაზე. განკარგვითი ხასიათის დანაშაულების სისტემატიზაცია შემდეგნაირად უნდა განხორციელდეს: განკარგვის ძალაუფლების მატარებელ პირს, როგორც წესი, იმავდროულად აქვს მფლობელობა ნარკოტიკულ საშუალებაზე (და პირიქით, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც ფლობს ნარკოტიკულ საშუალებას, იმავდროულად აქვს მისი განკარგვის უფლებამოსილება). იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირს (ნებაყოფლობით და უსასყიდლოდ) გადაეცემა განკარგვის უფლებამოსილება, მაშინ სახეზე გვექნება ნარკოტიკული საშუალების გასაღება. აღნიშნულისაგან განსხვავებით, თუკი ნარკოტიკული საშუალებები განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის ნების გარეშე გავა მისი მფლობელობიდან ან იგი მათ სხვაგვარად, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ დაკარგავს, მაშინ ეს გასაღებად არ ჩაითვლება. განკარგვის უფლებამოსილების მოპოვებისას, ვსაუბრობთ შეძენაზე ან - თუკი გადაცემა თანხმობის გარეშე განხორციელდა - სხვაგვარი სახით მოპოვებაზე. თუკი მოპოვებას თან არ სდევს განკარგვის უფლებამოსილება, მაშინ მხოლოდ (სისხლისსამართლებრივად არადასჯად) მოხმარებასთან გვექნება საქმე.

კვალიფიკაციისთვის არარელევანტურია ის ფაქტი, პირმა მსჯავრდებულს უკვე გამზადებული, ე.წ. შეხვეული მარიხუანა გადასცა თუ მხოლოდ ე.წ. შეუხვეველი შემდგომი მოხმარების მიზნით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუკი ეს პირი უშუალოდ მსჯავრდებულთან ერთად იმყოფება, მაშინ ის არ კარგავს ნებას პირდაპირ მფლობელობაზე და ასევე განკარგვის უფლებამოსილებას. შესაბამისად, მომხმარებელს ავტომატურად ვერ დავსჯით ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის (ის სხვა პირია ისევე მფლობელი). იგი შესაძლოა მხოლოდ სტუმარს წარმოადგენდეს, სადაც მასაც გაუმასპინძლდნენ აკრძალული ნივთიერებით. თუმცა, თუკი ნარკოტიკული საშუალებების სხვა პირისგან გადმოცემასა და მათ მოხმარებას შორის გარკვეული დრო გავა, ან თუკი ნივთიერების გამცემი და მიმღები ერთმანეთს მოხმარებამდე დაშორდებიან, მაშინ ნარკოტიკული საშუალების მიმღებს წარმოეშობა განკარგვის შესაძლებლობა (მაგალითად, ნარკოტიკული საშუალება შარვლის ჯიბეში ჩაიდო).

დამნაშავე, რომელიც სხვას აძლევს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შესაძლებლობას და ამავდროულად უარს არ ამბობს

განკარგვის უფლებაზე, არ ჩაითვლება სხვისთვის გადამცემად. ამ შემთხვევაში იგულისხმება დაუყოვნებლივი გამოყენებისათვის გადაცემა ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონის § 13-ის პირველი აბზაცის დარღვევით. გადაცემა სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს, იქნება ეს მომხმარებლისთვის სხეულში შეყვანის (ინექცირება, შებვლა, შესხმა), რაც იგივე ჯანმრთელობის დაზიანებაა, თუ უბრალოდ მეორე პირისთვის დაუყოვნებლივ, ადგილზევე მოსახმარად გადაცემის გზით, მასზე ბატონობის წარმოშობის უფლების გარეშე.

III. საქმის წარმოების შეწყვეტა ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონის § 31a-ში მოცემული უმნიშვნელო ოდენობის საფუძველზე

ნარკოტიკული საშუალებების შესახებ სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი ერთმანეთში იკვეთება ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონის § 31a-ს პირველ აბზაცში. საუბარია საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სპეციალურ ნორმაზე, რომელიც გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 153-სა და სხვა ზოგად ნორმებებთან შედარებით უფრო სპეციალურია და საშუალებას იძლევა საქმის წარმოება შეწყდეს, თუკი დამნაშავე ნარკოტიკულ საშუალებებს იყენებს „მხოლოდ უმნიშვნელო ოდენობით პირადი გამოყენების მიზნით“, მისი ბრალი უმნიშვნელოა და არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საჭარო ინტერესი⁸. ნორმის გამოყენების დისკრეციულობა თავისთავად ხელს უშლის ცალკეული მახასიათებელი ნიშნების პრაქტიკაში დაკონკრეტებას. გარდა ამისა, საქმის შეწყვეტა-არშეწყვეტა დამოკიდებულია კონკრეტულ ფედერალურ მიწაზე მოქმედ ნარკოპოლიტიკასა და მართლმსაჯულების განხორციელების რესურსებზე, რაც ხელს უშლის ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებას. ამას კი, საბოლოოდ, როგორც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაიჩივლა, ე.წ. „ჩრდილოეთ-სამხრეთის სხვაობამდე“ მიყვავართ⁹.

8 იხ. ინსტრუქციულად: *Wettley*, in: BeckOK BtMG, 2. Edition 15.03.2019, § 31a Rn. 14 ff.

9 *Oğlakcıoğlu* (Fn. 2), § 31a Rn. 9 f.; *Patzak*, in: Körner/Patzak/Volkmer, BtMG, 9. Aufl. 2019, § 31a Rn. 40. f.

აღნიშნული სათავეს ჯერ კიდევ ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონის § 31a-დან იღებს. ნორმის ფორმულირება არ შემოიფარგლება მხოლოდ განსაზღვრული ან „მსუბუქი“ ნარკოტიკული საშუალებებით. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში უმნიშვნელო ოდენობების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა (ზოგიერთ მიწაზე თითქმის) მხოლოდ კანაბისის შეძენის ან მფლობელობის შემთხვევებში გამოიყენება. უფრო მეტიც, ბუნდოვანია, თუ როდის გვაქვს სახეზე უმნიშვნელო ოდენობა, იმის მიუხედავადაც კი, რომ ფედერალური მიწების უმეტესობა შეთანხმდა 6 გრამის ოდენობაზე.

IV. კონსტიტუცურსამართლებრივი შეფასება

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დღემდე მოქმედი პრაქტიკა უკვე განმარტა მის მიერ მიღებულ დეტალურად დასაბუთებულ „კანაბისის შესახებ გადაწყვეტილებაში“ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების სისხლისსამართლებრივი რეგულირების თანაზომიერების თაობაზე¹⁰. აღნიშნული საქმე წარმოადგენს პირველ გადაწყვეტილებას ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონის 1982 წლის რეფორმის შემდეგ. ხსენებული რეფორმის ფარგლებში კიდევ ერთხელ გაფართოვდა ნარკოტიკულ საშუალებებთან მოპყრობის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ რეფორმა, თავის მხრივ, ლიბერალურ ტენდენციებსაც მოიცავდა.

1. კანაბისის შესახებ გადაწყვეტილება

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში სრულიად სამართლიანად ადგენს ნარკოტიკული საშუალებების შესახებ გერმანიის კანონის § 3-ში მოცემული აკრძალვით ძირითად უფლებებში ჩარევას, განსაკუთრებით კი, ჩარევას მოქმედების ზოგად თავისუფლებაში, რომელსაც მოიცავს საკონსტიტუციო დონეზე გარანტირებული პიროვნული თვითგამორკვევის

10 BVerfGE 90, 145 ff. = NJW 1994, 1577 ff.

უფლება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი აბზაცი პირველ მუხლთან ერთობლიობაში). იმავდროულად, სასამართლო შედარებით უფრო აკონკრეტებს აქამდე მოქმედ ლეგიტიმურობის კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, ნარკოტიკული საშუალებების შესახებ სამართალი იცავს, როგორც ცალკეული ინდივიდების, ისე მთლიანად მთელი ერის ჯანმრთელობას, კერძოდ იმით, რომ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ პრობლემებს უფრო ფართოდ განმარტავს. სხვა დანარჩენთან ერთად, სენატი ასახელებს „არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ფარგლებს გარეთ არსებულ სოციალურ თანაცხოვრებას“, ახალგაზრდების დაცვას, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას და ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის თაობაზე საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის გარანტირების აუცილებლობას. იმავდროულად, სასამართლო უკუვადებს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების უფლების კონცეფციის არსებობას¹¹. დასასრულ, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უბრალო უმრავლესობით (და გამოქვეყნებული ორი განსხვავებული აზრით) ასევე მხარს უჭერს საბოლოო მომხმარებელთან მიმართებაში სისხლისსამართლებრივი ნორმების არსებობის აუცილებლობასა და მათ თანაზომიერებას¹². სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერება გამოიხატება იმაში, რომ ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონის § 31a-სა და სხვების მიხედვით, პროკურატურას გააჩნია პროცესუალური ინსტრუმენტი, რომლითაც მას შეუძლია უმართლობის მცირე ხარისხის მატარებელ დანაშაულებზე სათანადო რეაგირება მოახდინოს.

2. ნარკოტიკული საშუალების მიღება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება?

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აკრძალვის კონსტიტუციურობას ამოწმებს სათანადო ძირითადი უფლებების, როგორც

11 BVerfGE 90, 145 ff. = NJW 1994, 1577 ff.

12 დღესათვის არსებულ კონსტიტუციურსამართლებრივ მდგომარეობასთან მიმართებაში შეად. ასევე: *Enzensperger*, HFR 2014, 48.

დამცავი უფლებების განხილვით (status negativus). იმ შემთხვევაში, თუ ნარკოტიკული საშუალების მიღებას ადამიანის ძირითად უფლებად ვაღიარებდით, მაშინ დაცულ სფეროში ჩარევის ინტენსივობის შეფასება სხვაგვარად მოგვიწევდა, ვინაიდან სამართალი არამხოლოდ ხელს შეუშლიდა მის გამოყენებას, არამედ ამას სრულიად შეუძლებელს გახდიდა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ჩვენს წინაშე დგას საკითხი, რომელიც ნარკოპოლიტიკას, როგორც ასეთს და საკანონმდებლო პოლიტიკურ დონეზე ნარკოტიკების თაობაზე მისაღებ გადაწყვეტილებებს ეხება. აღსანიშნავია, რომ როდესაც ვსაუბრობთ ნარკოტიკული საშუალების მიღების უფლებაზე, იმავდროულად განვიხილავთ, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ კონკრეტულ მანიას; ადამიანებს, რომელთაც არ გააჩნიათ გონივრული გადაწყვეტილებების მიღების უნარი ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანებს, რომლებმაც აღნიშნული შესაძლებლობა (სხვა ინდივიდებისაგან განსხვავებით) ოდესღაც დაკარგეს.

აღნიშნული თემა დეტალურად ბოლოს მათიას კაუფმანმა განიხილა¹³. ნარკოტიკული საშუალების მიღების უფლების კონცეფციის განვითარების შესახებ მის მიერ განხორციელებულ მცდელობაში კაუფმანი აპელირებს ნუსბაუმისა და სენის ე.წ. capability-approach-ზე, რომელიც თავისთავად სხვა კუთხით ცდილობს უნივერსალურად მოქმედი ძირითადი ღირებულებების აღწერას. კერძოდ, იმ ღირებულებებისა, რომელთა არსებობაც აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანმა ფასეული (flourishing) ცხოვრებით იცხოვროს. ის სვამს კითხვას, საერთოდ შესაძლებელია თუ არა და თუ კი, მაშინ როგორ - ნარკოტიკული საშუალებებით თრობის, როგორც ადამიანად ყოფნის მნიშვნელოვან ნაწილად განმარტება. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შეგვიძლია ამოსავალ წერტილად „საკუთარი თავის თრობის/გაბრუნების“ მოტივი დავასახელოთ. ამასთანავე, პირველ რიგში, დამაფიქრებელია თერაპიული მიზნებით მოხმარება, რა დროსაც, თავისთავად, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ უშუალოდ მკურნალობის მიზნებისათვის გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების შემცველი მედიკამენტები და თრობის გამომწვევი ნარკოტიკული საშუალებები (პირველ შემთხვევაში საქმე ეხება არა ნარკოტიკული თრობის

13 *Kaufmann*, in: Duttge/Holm-Hadulla/Müller/Steuer (Hrsg.), Verantwortungsvoller Umgang mit Cannabis, 2017, S. 135 ff.

ძირითად უფლებას, არამედ სამედიცინო უზრუნველყოფის უფლებას). ე.წ. „გართობის მიზნით გამოყენებასთან“ ერთად, როგორცაა, მაგ. განტვირთვა, სტრესის მოხსნა, მოქმედების უნარის ამაღლებისთვის ხელის შეწყობა და ა.შ., თრობა შესაძლოა ემსახურებოდეს ე.წ. შეცნობით მიზნებს ან მხოლოდ თრობის სურვილის დაკმაყოფილებას. თუმცა, სამივე მოტივიდან სამოგადოებაში „ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების“ ანთროპოლოგიური მუდმივობის მიუხედავად, არც ერთი შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანის არსებობისათვის მახასიათებელ მოტივს¹⁴. აღნიშნული ჯერ კიდევ იქიდან გამომდინარეობს, რომ ბევრი ადამიანი არსებობს, ვინც სრულიად კმაყოფილია ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების გარეშე. მინიმალური კონსენსუსიც კი არ არსებობს ნარკოტიკების მოხმარების მიზნობრიობის რაიმე მოტივით გამართლებაზე. ამასთანავე, ობიექტურად რომ შევხედოთ, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დადებითი მხარეები (სიახლეების შეცნობა, სურვილის დაკმაყოფილება) მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს (გვერდითი ეფექტები, დამოკიდებულება და ა.შ.) ვერ გადაწონის¹⁵.

თუკი საბოლოოდ დავასკვნით, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელია ნარკოტიკული საშუალებით თრობისთვის ძირითადი უფლების სტატუსის მიცემა, ეს არ ნიშნავს ავტომატურად იმის დაშვებას, რომ ცალკეული პირების უფლებებში ჩარევა ლეგიტიმიურია¹⁶. ნარკოტიკული საშუალებით თრობის უფლების არარსებობამ არ შეიძლება მიგვიყვანოს მტკიცების ტვირთის შებრუნებასთან დასჯადი ქმედების ლეგიტიმურობასთან მიმართებაში, მაგ. იმ სახით, რომ მოქალაქე ცდილობდეს იმის დამტკიცებას, რომ მისი ქმედება „არ არის საშიში“ ან აკრძალვა არათანაზომიერია, ვინაიდან მის უფლებებს ზღუდავს¹⁷. თუმცა, მტკიცების ტვირთის შებრუნების ეს საფრთხე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შესახებ სამართალში უკვე ჩანს იმაში, რომ კანონმდებლის მხრიდან შეფასების უფლებაზე მითითებით მკვეთრი ღონისძიებები აუცილებლად და თანაზომიერად მიიჩნევა, რადგან თითქოსდა ითვლება, რომ შედარებით ნაკ-

14 Kaufmann (Fn. 13), S. 135, 140 f.

15 Kaufmann (Fn. 13), S. 135, 141 f.

16 საბოლოოდ ამ დასკვნამდე მიდის ასევე: Kaufmann (Fn. 13), S. 135, 144 f.

17 Oğlakcıoğlu (Fn. 2), Vor § 29 Rn. 23 ff.

ლებად მძაფრი ღონისძიებების - იხ. ზემოთ - დასაბუთება შეუძლებელია. არგუმენტაციის ეს მაგალითი საკმაოდ ხშირად გვხვდება ნარკოტიკული საშუალებების შესახებ სისხლის სამართალში.

დასჯადობის სხვადასხვა არგუმენტიდან შეგვიძლია ერთ-ერთი განვიხილოთ,¹⁸ კერძოდ, არგუმენტი შავი ბაზრის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. აკრძალვის მოწინააღმდეგეები კი აღნიშნულთან დაკავშირებით ხშირად უსვამენ ხაზს იმ ფაქტს, რომ სწორედ აკრძალვა უწყობს ხელს შავი ბაზრის წარმოქმნას და ორგანიზებული დანაშაულისათვის ნიადაგის შექმნას¹⁹. თავისთავად, იმის მტკიცება, რომ თითქოსდა შავ ბაზარს ლეგალიზაცია გააქრობს, საკმაოდ შორს წაგვიყვანს (შავი ბაზრები ასევე არსებობს ლეგალურად შექმნად ნივთიერებებსა და საგნებზე სავაჭროდ). ბაზარზე არსებულ სიტუაციასთან მიმართებით მხოლოდ წმინდა დეკრიმინალიზაცია არაფერს შეცვლის, პირიქით, შესაძლოა მომხმარებლების ოდენობა გაზარდოს კიდევ, რასაც თან მოჰყვება მოთხოვნის პროპორციული ზრდაც. აღნიშნულის საპირისპიროდ, ვერ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ შავი ბაზრის შესუსტება, მინიმუმ, დამაჯერებელად შეიძლება მოგვეჩვენოს, თუკი ლეგალური (და უსაფრთხო) შექმნის ადგილები იარსებებს. მსოფლიო მასშტაბით ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობა ორგანიზებულ დანაშაულთა შემხებლობის მთავარ წერტილს წარმოადგენს. თუკი მის წინააღმდეგაც იმ არგუმენტს გამოვიყენებთ, რომ აკრძალვის დაწესება შავ ბაზარს არ გააქრობს, მაშინ აქაც ჩვეულ არგუმენტაციას უნდა მივმართოთ. მოსაზრებები, რომლებიც ნაწილობრივ ლეგალიზაციას უჭერენ მხარს, მათი სავარაუდო სუსტი მხარეების გამო უკუგდებულ იქნა (შავი ბაზარი, რომელსაც დასუსტებული სახითაც კი შეუძლია იარსებოს, მაინც ბევრად „უკეთესია“, ვიდრე საერთოდ ხელშეუხებელი შავი ბაზარი).

ამგვარად, ჩარევის ადრესატმა „ემპირიულად უსაფრთხოდ“ ალტერნატივა უნდა წარმოადგინოს, რათა კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით გაგონილ იქნას მისი პოზიცია. თუმცა, ეს პრობლემატურია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინების პირობებშიც კი და მიუხედავად კონსტიტუციურსამართლებრივი ზოგადი პოსტულატისა

18 იხ. დეტალურად: *Böllinger*, HFR 2015, 23; *Oğlakcioğlu* (Fn. 2), Vor § 29 Rn. 23 ff.
19 შავი ბაზრის სავარაუდო რეაქციის შესახებ აკრძალვის გაუქმების შემდეგ იხ. დეტალურად: *Nadelmann*, *Daedalus* 1994, 87 ff.

- „in dubio pro libertate“ - თუკი ადრესატს საერთოდ არ აქვს შესაძლებლობა „საწინააღმდეგო მტკიცებულების წარმოჩენისა“ (აქ შეიძლება მოიაზრობოდეს საველე ცდები და ა.შ.²⁰). არსებული აკრძალვებიც სწორედ იმ ვარაუდზე დაყრდნობით საბუთდება, რომ სხვა სახის კონცეფციებს არ შეუძლიათ იმავენაირად ეფექტურად დაუპირისპირდნენ ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებას. ეს მიდგომა, თავის მხრივ, პრობლემატურია კონსტიტუციურსამართლებრივი მეთოდის თვალსაზრისით, ვინაიდან სხვადასხვა ალტერნატივის გათვალისწინება უნდა ხდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა უკვე არსებული ნებისმიერი კანონის ლეგიტიმაცია. რაც უფრო ნაკლებად დამაჯერებელია ღონისძიების უკუქმედების უნარი და მისი მეშვეობით მიზნის მიღწევის შესაძლებლობა, მით უფრო მაღალი სტანდარტით უნდა გაიზომოს მისი „დასაბუთება“. თუკი ემპირიულად გამყარებული დასაბუთება არ გაგვანჩნია, მაშინ ამის დაბალანსება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მასშტაბის შედარებით უფრო მკაცრად შეფასებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საპროცესო კომპენსაცია, რომელიც ზომერის განსხვავებულ აზრში იქნა წარმოდგენილი (მარიხუანის შესახებ გადაწყვეტილებაში), ჩემი აზრით, არავითარ შემთხვევაში არ არის საკმარისი პროპორციულობის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად²¹:

„სენატის მიერ მიღებული „პროცესუალური გადაწყვეტის“ საწინააღმდეგოდ მეტყველებს (თავად გადაწყვეტილებაში წარმოდგენილ ფედერალური მიზნების მიხედვით დადგენილ ერთმანეთისაგან განსხვავებულ პრაქტიკასთან ერთად) გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მეორე აბზაცი. აღნიშნულის მიხედვით, კანონმდებელი ვალდებულია კონკრეტულად აღწეროს სისხლისსამართლებრივი დასჯადობის წინაპირობები, რათა შესაძლებელი იყოს სისხლისსამართლებრივი შემადგენლობების მოქმედების და გამოყენების ფარგლების განსაზღვრა. თუკი ეს კომპეტენცია გადაეცემა აღმასრულებელ ან სასამართლო ხელისუფლებას, მაშინ იგი წინააღმდეგობაში მოვა კონსტიტუციურსამართლებრივ ძი-

20 შეად. *Scheffold/Ambos/Böllinger*, ZRP 2016, 81; ასევე Global Commission on drug policy საუბრობს ნარკოტიკებთან დაკავშირებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, შეად. 2014 წლის ანგარიში, 31.

21 BVerfGE 90, 145 ff. = NJW 1994, 1577, 1590.

რითად პრინციპთან, რომლის თანახმადაც, ძირითადი უფლებების შეზღუდვაზე გადაწყვეტილების მიღება (...) კანონმდებლის პრეროგატივას წარმოადგენს. სენატის მითითება ნორმებზე, რომლებიც პროკურატურასა და სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან პროცესის შეჩერების ან სასჯელის ყურადღებაში არმიღების უფლებამოსილებას ანიჭებენ, არასრულად ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო სასჯელის დადგენა და აღსრულება თავისუფლების უფლებების წინაშე განსაკუთრებულ გამართლებას მოითხოვს. ქმედების დასჯადად მოხსენიება და ამასთან, საგამოძიებო პროცესის გახსნა, უკვე ეხება ძირითად უფლებებს.“ ეს მოსაზრება აღარაფრის დამატებას საჭიროებს.

V. დასკვნა

ნარკოტიკული საშუალებების შესახებ მატერიალური სისხლის სამართლის განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანულ სამართალში არა მხოლოდ ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობა, არამედ მასთან დაკავშირებული სიამოვნების მიღებისაკენ მიმართული, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი ქმედება, დასჯადია. დასჯადია ასევე თავად მოხმარების აქტი. სწორედ ამგვარი კონსტრუქციის არსებობის გამო, ნარკოტიკული საშუალებების პირველადი მომხმარებლები და ასევე მასზე დამოკიდებული პირები უფრო ხშირად ექცევიან სისხლისსამართლებრივი დევნის ყურადღების ცენტრში, ვიდრე აღნიშნული საშუალებებით მოვაჭრეები. ასევე, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მოთხოვნა მოხმარებლების მიერ განისაზღვრება და შესაბამისად, ისინი კრიმინალურ-პოლიტიკური გაგებით სხვაგვარ მოპყრობას არ იმსახურებენ, იმავდროულად, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ისინი - განსხვავებით მოვაჭრეებისაგან - „სტანდარტულ შემთხვევებში“ საკუთარი თავის დაზიანებისთვის აგებენ პასუხს. ლეგალიზაციის წინააღმდეგ მოყვანილ არგუმენტებს დღეისათვის არსებული სამართლებრივი მდგომარეობის გასამყარებლად საკმარისი ძალა არ გააჩნიათ. ეს საკმარის მიზეზს უნდა წარმოადგენდეს იმისათვის, რომ დასაშვებად მივიჩნიოთ, თუნდაც ერთგვარი გადამოწმების მიზნით, ნაკლებად რადიკალური საშუალების გამოყენება სისხლის სამართალზე უარის თქმის „სოციალუ-

რი ექსპერიმენტის“ სახით. ამით შესაძლებელი იქნებოდა მოქალაქეებისათვის არა მხოლოდ თავისუფლების გარკვეული ნაწილის უკან დაბრუნება და იურიდიულ საზოგადოებაში ნდობის წარმოქმნა, არამედ უკვე შესაძლებელი გახდებოდა მცირე დროით (მტკიცებულებაზე დამყარებული) კვლევის განხორციელება. რა თქმა უნდა, თავის შეზღუდვა არ შეიძლება იმით, რომ თითქოსდა საკანონმდებლო ნაბიჯები შეუქცევადია. ნაწილობრივი ლეგალიზაცია ან დეკრიმინალიზაცია მხოლოდ ცალმხრივ გზას არ წარმოადგენს: თუკი საზოგადოება ნდობას ბოროტად გამოიყენებს, მაშინ კვლავ არსებობს აკრძალვის ხელახლა დაწესების შესაძლებლობა. საკანონმდებლო ჩარევის გავლენა შესამჩნევი მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში რომ იქნება, ამგვარი სახის დარღვევების საპირისპიროდ კი არ მეტყველებს, არამედ, ნათელს ხდის, რომ ხანმოკლე დროის განმავლობაში მაინც არ არის მოსალოდნელი საზოგადოების ან იურიდიული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხეების შექმნა.

ნარკოტიკების მოხმარების სისხლისსამართლებრივი შეფასება საქართველოში

გიორგი მახარაძე, ადვოკატი

I. შესავალი

აღნიშნულ სტატიაში განვიხილავთ ქართულ სამართალში ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დასჯადობას და მასთან დაკავშირებულ პრობლემათიკას, ასევე, შევხებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით, რომელმაც პრაქტიკულად გახსნა ასპარეზი ნარკოტიკების მოხმარების საკითხზე სხვაგვარი, ქართული სამართლებრივი სივრცისთვის უჩვეულო და საინტერესო მსჯელობების განვითარებისათვის.

სტატიაში ძირითადად ვისაუბრებთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება), 273¹ (მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღება) და 260-ე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) მუხლებზე და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება) მუხლებზე. ასევე, შევხებით რამდენიმე კანონქვემდებარე აქტს, რომელიც პირდაპირ კავშირშია ნარკოტიკების მოხმარების კრიმინალიზების საკითხთან.

II. ნარკოტიკების მოხმარების სამართლებრივი შეფასება

ნარკოტიკული საშუალების მოხმარება კანონიერია, თუ ეს ხდება ექიმის დანიშნულებით¹. კანონმდებელი ნარკოტიკების მოხმარებას ადმინისტრაციულად და სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად აცხადებს მხოლოდ მაშინ, თუ ეს ხდება ექიმის დანიშნულების გარეშე. ნარკოტიკების მოხმარების პირველი შემთხვევა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ისჯება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით, ხოლო ნარკოტიკების მოხმარება დანაშაულია (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი), თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის სახდელდადებული პირის მიერ ერთი წლის განმავლობაში ხდება იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა, ანუ ნარკოტიკების მოხმარების სისხლისსამართლებრივ დასჯადობას წინ უნდა უსწრებდეს ადმინისტრაციული პრეიუდიცია, ან პირი ამ დანაშაულისთვის წარსულში უნდა იყოს ნასამართლევ. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობით, ნარკოტიკების მოხმარება არ მიიჩნევა იმდენად მნიშვნელოვან კანონდარღვევად, რომ პირველივე შემთხვევისას სისხლისსამართლებრივი მექანიზმები ამოქმედდეს და კანონმდებელი მხოლოდ ადმინისტრაციულ სახდელს სჯერდება. ამ შემთხვევაში, პრობლემურია, რომ ნასამართლობა ან ადმინისტრაციულ სახდელდადებულობა წარმოადგენს ქმედების დამაფუძნებელ გარემოებას, რადგან თანამედროვე სისხლის სამართალი, რომელიც ქმედების სამართალია, ემყარება კლასიკური სკოლის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც კრიმინალიზაციის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ქმედება, პიროვნებას და მის მახასიათებელ თვისებებს კი მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს ენიჭება მნიშვნელობა², ამ შემთხვევაში კი, ნასამართლობა ან ადმინისტრაციულ სახდელდადებულობა არის დანაშაულის შემადგენლობის განმსაზღვრელი.

1 ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჭ“ ქვეპუნქტი.

2 ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, 2013, 350.

რაც შეეხება, ზოგადად, მოხმარების ფაქტის დადგენას, პროცედურა შემდეგია: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების 2006 წლის 24 ოქტომბრის №1244–№278/ნ ერთობლივი ბრძანების მე-2 მუხლით განსაზღვრულია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენის წესი, რომლის მიხედვით: „ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენა ხდება კლინიკური ან/და ლაბორატორიული (ქიმიო-ტოქსიკოლოგიური) გამოკვლევის გზით; პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ კლინიკური ან/და ლაბორატორიული (ქიმიო-ტოქსიკოლოგიური) გამოკვლევით დადასტურდება მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.“

საერთო სასამართლოები ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას განმარტავენ, როგორც პირის ბიოლოგიურ მასალაში აღმოჩენილი კვალის არსებობას და არა მოხმარების პროცესს (მოწვევას და სხვა). ამ საკითხთან მიმართებით ძალიან საინტერესო აღმოჩნდა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში, საქმეზე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ³, „მოხმარებად“ უშუალოდ მოწვევის პროცესიც მიიჩნია, რაც, ცხადია, ლოგიკური და სამართლიანია.

სისხლისსამართლებრივი, კერძოდ პროცედურული პრობლემატიკა სწორედ მოხმარების ფაქტის დადგენის მექანიზმიდან იწყება, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 ნაწილის⁴ თანახმად, არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით. ამ კონსტიტუციური ნორმის თანახმად, ნებისმიერ პირს უფლება აქვს, უარი თქვას ნარკოლოგიური კვლევის კაბინეტში, როგორც ბიოლოგიური მასალის ჩაბარებაზე, ისე კლინიკურ დათვალიერებაზე. ანუ პრაქტიკაში, თუ პირმა კარგად იცის თავისი უფლებების შესახებ, გამოძიება უძღურია დაადგი-

3 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3875278?publication=0> (ნანახია 6.5.19).

4 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> (ნანახია 6.5.19).

ნოს მოიხმარა თუ არა მან ნარკოტიკული საშუალება, შესაბამისად, გამოძიება შედეგის დადგომისთვის მხოლოდ პირის საკუთარი უფლებების არცოდნის ანაბარაა დარჩენილი, რაც ბუნებრივად წარმოშობს მსჯელობის დაწყების აუცილებლობას, ზოგადად ყველა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზების მიზნით, მით უფრო, რომ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზების თაობაზე.

მართალია, სახელმწიფოს უფლება აქვს გამოიყენოს გარკვეული იძულებითი ღონისძიებები, თუმცა, პრობლემას სწორედ ის ფაქტი ქმნის, რომ ასეთი ღონისძიებების გამოიყენების თანაზომიერებასთან დაკავშირებით მყარი პრაქტიკა არ არსებობს, რამაც საბოლოო ჯამში, შესაძლოა დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობამდეც კი მიგვიყვანოს.

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ეხება ნარკოტიკულ დანაშაულს ზოგადად, და მათ შორის, ყველაზე მძაფრად, წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების ოდენობების უმეტეს შემთხვევაში განუსაზღვრელობა, ხოლო იშვიათ შემთხვევაში, არასამართლიანი განსაზღვრა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს კანონმდებლობით ნარკოტიკული საშუალებები და მათი ადმინისტრაციული, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები განსაზღვრულია საქართველოს კანონით ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ. აღნიშნულ კანონში ასევე მოცემულია უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხა (დანართი 2), რომლითაც განსაზღვრულია 228 ნარკოტიკული საშუალება, რომელთაგან მხოლოდ 58-ს გააჩნია მცირე (ადმინისტრაციული) ოდენობა. შესაბამისად, მაგალითად ამფეტამინის (რომელსაც არ აქვს განსაზღვრული მცირე ოდენობა) მოლეკულის აღმოჩენაც კი ავტომატურად მიიჩნევა მის დიდ ოდენობად და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 8 წლამდე ვადით სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოტიკული საშუალების მიღებისათვის გამოყენებულ ჭურჭელზე (სამედიცინო შპრიცი, შესაყნოსი მილები და ა.შ.)

რჩება ამა თუ იმ ნარკოტიკული საშუალების კვალი, რაც ქართული კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექენა/შენახვას და თუ გავითვალისწინებთ ოდენობების დაურეგულირებლობას, მაგალითად, ცარიელი სამედიცინო შპრიცის აღმოჩენის შემთხვევაში, რომლითაც პირმა ინტრავენურად მოიხმარა ამფეტამინი და ქიმიური ექსპერტიზით დადგინდა ამფეტამინის მიკროსკოპული ოდენობაც კი, პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექენა/შენახვისათვის (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) და არა მოხმარებისთვის. ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის #1/8/696 გადაწყვეტილება საქმეზე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელშიც პირი გასამართლებული იყო 0.00009 (გამოყენებულ საინექციო შპრიცზე არსებული დებომორფინის კვალი) გრამი დებომორფინის შექენა-შენახვისათვის და სასჯელის სახით განსაზღვრული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 400 საათის ოდენობით (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მოქალაქე მიუთითებდა აღნიშნული სანქციის არაკონსტიტუციურობაზე, ვინაიდან ის ეწინააღმდეგებოდა მაშინ მოქმედი კონსტიტუციის მე-17 მუხლს: დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მისი არგუმენტები და არაკონსტიტუციურად სცნო სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშნვა ზემოხსენებული ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შექენა-შენახვისათვის.

ერთ-ერთი მთავარი გასარკვევი საკითხი აღნიშნულ კაზუსში არის ასევე ის, წარმოადგენს თუ არა გამოყენებულ საინექციო შპრიცში არსებული მიკროსკოპული კვალი ნარკოტიკული საშუალების შექენა-შენახვის, თუ მოხმარების შემადგენლობას?

თუ ზემოხსენებულ ქმედებას მივიჩნევთ შექენა-შენახვად, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ, რომ გამოყენებისათვის უვარგისი ოდენობის შემთხვევაში, დანაშაულს არ გააჩნია მიზანი, ვინაიდან, როგორც საქმეში

ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ⁵, სასამართლოში გამოცხადებულმა ექსპერტმა განმარტა, მიკროსკოპული ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, ძირითადად მოხმარებისთვის უგარგისია, შესაბამისად, ობიექტურად, მისი შენახვით, არც ერთ სისხლის სამართლის კოდექსით დაცულ სიკეთეს არ ექმნება საფრთხე.

თუ მოხმარებულ სამედიცინო შპრიცს განვიხილავთ როგორც მოხმარებას, მაშინ წინააღმდეგობაში მოვალთ დღეს მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოხმარება განიმარტება, როგორც ბიოლოგიურ მასალაში ნარკოტიკული საშუალების კვალის აღმოჩენად, ლაბორატორიული კვლევის შედეგად.

შესაბამისად, ზემოხსენებულ შემთხვევაში, საკითხი უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ და უნდა მივიღეთ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენას არ აქვს ადგილი, ვინაიდან საფრთხე არ და ვერ დაემუქრება ვერც ერთ კანონით დაცულ სიკეთეს. ამ პრობლემების თავიდან ასარიდებლად, სასიცოცხლოდ აუცილებელია, ადეკვატურად განისაზღვროს ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობები.

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ნაწილში, ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის #1/3/282 გადაწყვეტილება⁶, რომელიც მარიხუანის მოხმარების ადმინისტრაციული დასჯადობის გაუქმებას ეხება. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ: „35. თუმცა, სასამართლო არ გამოიციხავს სხვათა მიმართ გარკვეულ საფრთხეს მარიხუანის განსაზღვრულ გარემოებებში მოხმარების დროს, მაგალითად, სკოლებში მარიხუანის მოხმარებისას ან სხვა ვითარებაში, კერძოდ, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში და/ან მათი თანდასწრებით, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მოზარდზე, გააღვიძოს მასში მარიხუანის მიმართ ინტერესი და მოახდინოს მარიხუანის მოხმარების ერთგვარი პროვოცირება. შესაბამისად, გამართლებულია მარიხუანის მოხმარების შეზღუდვა მისი მაგნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა

5 იქვე.

6 <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-3-1282-saqartvelos-moqalaeqeebi-zurab-djafaridze-da-vaxtang-megrelishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmddeg.page> (ნანახია 10.5.2019).

დასაცავად, მათი ჯანსაღი განვითარების ინტერესების უზრუნველსაყოფად. ასევე, გამართლებულია მარიხუანის მოხმარების შეზღუდვა სხვა სასწავლო, სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არმიაში, სამედიცინო, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებებში, აგრეთვე, სამოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ ადგილას (მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში), სამოგადოებრივი ჯანდაცვისა და საჯარო წესრიგის ინტერესების დასაცავად.“

აქ მნიშვნელოვანია, დავინახოთ თუ როგორ ხედავს საკონსტიტუციო სასამართლო ნარკოტიკული საშუალების (ამ შემთხვევაში მარიხუანის) მოხმარებას. ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ცხადია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს მოხმარებას როგორც პროცესს, ამ შემთხვევაში მოწვევას, რადგან ახსენებს მოხმარებას სამოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სამოგადოებრივ ტრანსპორტში, არასრულწლოვანთა თანდასწრებით და სხვა. ეს განმარტება აფართოებს ზოგადად მოხმარების დეფინიციას და მას წარმოადგენს როგორც კონკრეტული სუბსტანციის მოხმარების პროცესს და არა მხოლოდ ბიოლოგიურ მასალაში მის აღმოჩენას, რაც ლოგიკურია. სამწუხაროდ, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებში ახალ სტანდარტს განმარტებისათვის ჯერ არ მიუცია ბიძგი, რათა მომხდარიყო მოხმარების ამგვარი გაგება. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს მოხმარების ამგვარი განმარტების მიუხედავად, არც საკანონმდებლო ორგანოს მიუღია ხელშესახები ზომები, განესაზღვრა და განემართა მოხმარების ახლებური რეგულაცია. ეს გარემოება შესაძლოა პრობლემური აღმოჩნდეს ზოგიერთ სიტუაციაში, მაგალითად, თუ პირი მოიხმარს სიგარეტში გახვეულ მარიხუანას, რომლის წონაც 5 გრამს აღემატება (მცირე (ადმინისტრაციულ) ოდენობას). ამ შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობით, მოხმარებას ადგილი არ აქვს, ვინაიდან დღეს მოქმედი კანონი მოხმარების პროცესს (მოწვევას) არ მიიჩნევს მოხმარებად და ამას აღიქვამს, როგორც შექენა-შენახვას. შესაბამისად, შეიქმნება სამართლებრივი ვაკუუმი, რომლისგან გამოსვლაც მხოლოდ ზოგადი სისხლისსამართლებრივი პრინციპების გამოყენებით მოხერხდება ან/და სასამართლო განმარტავს ნორმას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

ასევე საინტერესო საკითხი 273-ე მუხლთან (ნარკოტიკული საშუალე-

ბის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება) მიმართებით არის ის, რომ მუხლის დისპოზიციაში (განსხვავებით სსკ-ის 260-ე მუხლისგან (ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა)) არ გვხვდება გასაღება და, ზოგადად, 273-ე მუხლის ამოქმედების საფუძველი, ადსკ-ის 45-ე მუხლიც, არ განიხილავს აკრძალული ნივთიერების მცირე ოდენობით გასაღებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად. გასაღება მხოლოდ 260-ე მუხლით გათვალისწინებული ოდენობებისთვის არის დასჯადი.

მოცემულობა შემდეგია - 260-ე მუხლის ამოქმედებისთვის საჭიროა ე.წ. სისხლის სამართლის საწყისი ოდენობა, ხოლო ადსკ-ის 45-ე მუხლით დასჯადია მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გადაზიდვა-გადაგზავნა-დამზადება და არა გასაღება. შესაბამისად, თუ პირი გაასაღებს ადმინისტრაციულ ოდენობა ნარკოტიკულ საშუალებას, მას ვერ დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ვინაიდან სახეზე არ არის სისხლის სამართლის საწყისი ოდენობა. ამავდროულად, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაც ვერ მოხდება, ვინაიდან ადმინისტრაციული ოდენობის ნარკოტიკული საშუალების გასაღება არ ისჯება.

ამგვარად, კანონმდებლობაში არის ხარვეზი, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, ლეგალიზებულია მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების გასაღება, ხოლო მეორე მხრივ დასჯადია მოხმარება, რომელიც ზემოხსენებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, არ უქმნის საფრთხეს სისხლის სამართლით დაცულ რომელიმე სიკეთეს.

III. დასკვნა

რაც შეეხება ზოგადად ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების კრიმინალიზებას, ამასთან მიმართებით, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის ტენდენციების გათვალისწინებით, იმგვარი ქმედება, რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს სხვა პირისათვის და ამით ზიანი ადგება მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელ პირს, გაუგებარია, რა მიზნით არის კრიმინალიზებული

ზემოხსენებული ქმედება, მით უფრო, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ განიმარტა, რომ „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ნებას რთავს ადამიანს, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, გადაწყვიტოს, თუ რომელი ტიპის გასართობი თუ რეკრეაციული აქტივობით დაკავდება იგი. ეჭვგარეშეა, რომ ადამიანის გასართობი აქტივობები მიეკუთვნება მისი პირადი ავტონომიის სფეროს. შესაბამისად, პიროვნების ზემოქმედება საკუთარ თავზე და ამგვარად გართობის ან სიამოვნების მიღება თავისთავად ხდება მისი თავისუფალი განვითარების სფეროში. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირის უფლება, თავად შეარჩიოს მისთვის სასურველი განტვირთვის სახე და განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, მათ შორის, მოიხმაროს მარიხუანა, წარმოადგენს პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს“⁷. მართალია, ზემოხსენებული ციტატა ეხება მხოლოდ მარიხუანას, თუმცა, თუ არ არსებობს აკრძალული ნივთიერების გავრცელების რისკი და შესაბამისად, სხვისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა, რა მნიშვნელობა აქვს ნივთიერების სახეობას?! კანონმდებლის გაცხადებული მიზანი, ნარკოტიკების მოხმარების კრიმინალიზებით, სწორედ პირისა და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვაა. ამ მიზნის სისხლისსამართლებრივი დაცვის საკითხი კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებებით.

7 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3875278?publication=0> (ნანახია 15.5.2019).

პირადი სფეროს სისხლისსამართლებრივი დაცვა გერმანიაში

პროფ. დოქტ. კაი კორნელიუსი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი

I. შესავალი

პირადი სფერო წარმოადგენს საკმაოდ ფართო და გერმანულ იურიდიულ მეცნიერებაში ჯერ კიდევ ბოლომდე განუმარტებელ ცნებას. აღნიშნული ცნება არც გერმანიის ძირითად კანონსა და არც ჩვეულებრივ კანონებში გამოიყენება¹. „პირადი სფეროს“ დაცვა ხდება ძირითადი უფლებების შესახებ რამდენიმე ნორმის ერთობლივი მოქმედებით. ეს ნორმებია: პიროვნული უფლება-გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი აბზაცი პირველი მუხლის პირველ აბზაცთან ერთობლიობაში, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო მიმონწერის საიდუმლოება - გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლი და ბინის ხელშეუხებლობა - გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლი². ამგვარად, სისხლისსამართლებრივად აკრძალულია „სხვა პირის მშვიდ ცხოვრებაში“ ჩარევა (შეად. გსსკ-ის § 123 ბინის ხელშეუხებლობის დარღვევის შესახებ)³. თუმცა, წინამდებარე ნაშრომი აღნიშნულ საკითხს არ ეხება. ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცევა გსსკ-ის მე-15 თავი. ჯერ კიდევ ხსენებული თავის სახელწოდება გვიჩვენებს, რომ საქმე ეხება „ადამიანის პირადი ცხოვრებისა და საიდუმლო სფეროს დარღვევას“, საიდანაც გამომდინარეობს, რომ დანაშაულის მსხვერპლის პირადი სფერო ნებისმიერ შემთხვევაში დაცულია⁴.

მიუხედავად ამისა, კანონმდებლის მიერ შერჩეული სახელწოდება „ადამიანის პირადი ცხოვრებისა და საიდუმლო სფეროს დარღვევა“ სრუ-

1 *Geminn/Roßnagel*, JZ 2015, 703 კანონის კონკრეტული მაგალითებით ახალი, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვანი ნორმების თაობაზე Fn. 6 bis 8.

2 *Geminn/Roßnagel*, JZ 2015, 703.

3 *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, Strafrecht Besonderer Teil, 3. Aufl. 2015, § 8 Rn. 1.

4 *Kargl*, in: NK StGB, 5. Aufl. 2017, Vor §§ 201 ff. Rn. 4; *Hoyer*, in: SK StGB, 9. Aufl. 2017, Vor § 201 Rn. 1.

ლიად ზუსტი არ არის, ვინაიდან დაცვის ქვეშ მხოლოდ ინდივიდუალური პირადი სფერო არ მოიაზრება⁵. დაცვის ქვეშ ასევე ექცევა საუბრის კონფიდენციალურობის დარღვევა (გსსკ-ის § 201) და საქმიანი ან პროფესიული ინტერვოების გადაღება ან ფარული მიყურადება, საფოსტო მიმოწერის საიდუმლოების დაცვა გსსკ-ის § 202-ის შესაბამისად, ასევე სამთავრობო ფოსტის ან საქმიანი წერილების გახსნა და პირად სფეროს მიუკუთვნებელი მონაცემების მოპოვება გსსკ-ის § 202a შესაბამისად; გსსკ-ის § 203 - მიუხედავად იმისა, რომ ნორმა უშუალოდ პირადი საიდუმლოს დარღვევას უსვამს ხაზს - ცხადად ეხება „საწარმოო და საქმიანი საიდუმლოების დაცვას“, რაც მას „პირადი ცხოვრების დაცვის სფეროთი მოცულ საიდუმლოდ“ აქცევს⁶. თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის პირველ და მეორე მუხლებსა და ძირითადი უფლების სახით ჩამოყალიბებულ საფოსტო და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის შესახებ ძირითადი კანონის მე-10 მუხლს, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ პირადი სფეროს დაცვას შორის კავშირის საფუძველზე, ცალსახად შესამჩნევია, რომ ფოკუსი პირად სფეროზე გაკეთებული⁷. პერსონალური გამოხატვისათვის თავისუფალი სივრცე მაშინ გვევლინება სათანადოდ დაცულად, როდესაც არსებობს პირად სფეროში ჩარევისაგან დაცვის სხვადასხვა სახის სისხლისსამართლებრივი მექანიზმები⁸.

წინამდებარე ნაშრომში სისხლისსამართლებრივი დაცვის სხვადასხვა მექანიზმს განვიხილავთ შემდეგ ნორმებზე დაყრდნობით: სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და სატელეფონო კომუნიკაციისათვის ხელის შეშლა (გსსკ-ის § 201), პირადი სფეროს დარღვევა განსაკუთრებით დაცული სივრცეების ვიდეოგადაღებითა და უბედური შემთხვევის მსხვერპლის ფოტოგადაღებით (გსსკ-ის § 201a), მიმოწერის საიდუმლოების დარღვევა (გსსკ-ის § 202) და ელექტრონული მიმოწერის ფარული კონტროლი (განსაკუთრებით გსსკ-ის § 206), ასევე მონაცემთა მოპოვება

5 *Häger*, Der formalisierte Schutz des allgemeinen Persönlichkeitsrechts durch das Strafrecht, 2018, S. 17.

6 *Hoyer* (Fn. 4), Vor § 201 Rn. 1.

7 *Kargl* (Fn. 4), Vor §§ 201 ff. Rn. 4.

8 *Kargl* (Fn. 4), Vor §§ 201 ff. Rn. 4.

(გსსკ-ის § 202d). თითქმის იმავე მნიშვნელობის მატარებელ ნორმებს წარმოადგენს გსსკ-ის § 202a - მონაცემთა შპიონაჟი, გსსკ-ის § 202b - მონაცემთა ხელში ჩაგდება და პროფესიული საიდუმლოს შენახვამე ვალდებული პირის მხრიდან პირადი საიდუმლოების დარღვევა გსსკ-ის § 203-ის მიხედვით. აღნიშნულ ნორმებს სტატიაში დეტალურად არ შევხებით.

II. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და მისთვის ხელის შეშლა (გსსკ-ის § 201)

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისას (როგორცაა მაგ. რეალურ დროში მოსმენა ან სათანადო ჩანაწერების გაკეთება) საქმე გვაქვს ნათქვამის კონფიდენციალურობის დარღვევასთან გსსკ-ის § 201-ის მიხედვით. დანაშაულის აღნიშნული შემადგენლობა მოიცავს სატელეფონო კომუნიკაციის რეალურ დროში მოსმენას ან ჩანწერას სატელეფონო კომუნიკაციის მონაწილეთა მხრიდან თანხმობის გარეშე. მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ კონკრეტულად რა სახით და როგორ ხორციელდება სატელეფონო კავშირი (მაგ. გამოიყენება ჩვეულებრივი ტელეფონი, მობილური ტელეფონი თუ ინტერნეტ მომსახურების ისეთი საშუალება, როგორცაა, მაგ. WhatsApp). კვალიფიკაციისთვის არაა აუცილებელი რაიმე სახით განსაზღვრული ერთგულების ვალდებულების დარღვევის ფაქტი (როგორც ეს გვხვდება მაგ. ტელეფონის პროვაიდერის შემთხვევაში - ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გსსკ-ის § 206). გსსკ-ის § 201-ის პირველი აბზაცის პირველ ნაწილში წარმოდგენილი დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით დასჯადია სხვა პირის არასაჯარო საუბრის ხმისჩამწერი საშუალებით ჩანწერა. დანაშაულის შემადგენლობა განხორციელებულად ითვლება ხმისჩამწერ (მათ შორის ციფრულ) ხელსაწყოზე ჩანწერისთანავე⁹. ამასთანავე, არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, თუ კონკრეტულად გამოხატული აზრები რა მნიშვნელობას ატარებენ. დანაშაულის შემადგენლობა მოიცავს ნებისმიერ არასაჯაროდ წარმოქმულ (გაცხადებულ) სიტყვას. აღნიშნული წინაპირობა მაშინ ითვლება შესრულებულად, როდესაც ნათქვამი არ იყო განკუთვნილი ფართო საზოგადოებისთვის და

9 შეად. *Kargl* (Fn. 4), § 201 Rn. 10.

პირადი თუ საქმიანი ურთიერთობებით შემოსაზღვრულ პირთა წრის გარეთ მისი გასვლა ამგვარად არ უნდა განხორციელდებულყო¹⁰. აღნიშნულისაგან განსხვავებით, გსსკ-ის § 201-ის მეორე აბზაცის პირველი ნაწილი მოიცავს კერძო საუბრის ფარულ მიყურადებას, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია, რომ საკანონმდებლო ნორმის ერთმნიშვნელოვნად ფორმულირებულ ტექსტზე დაყრდნობით, საქმე ეხება არა მონაცემების მოსმენას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სიტყვების მოსმენას. მაშასადამე, ნორმის მიხედვით, უბრალო მიყურადებაც კი საკმარისია დასჯადობისთვის, თუკი ამისათვის ტექნიკური საშუალებები გამოიყენება (მაგ. ხმის ჩამწერი მოწყობილობა)¹¹.

III. პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სფეროს დარღვევა გადაღების მეშვეობით (გსსკ-ის § 201a)

ვიდეოგადაღებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ კადრების გადაღებისას პირადი ცხოვრების ხელყოფა თავიდან იქნას აცილებული¹². გსსკ-ის § 201a-ს პირველი აბზაცის პირველ ნაწილში მოცემულ სისხლისსამართლებრივ დასჯადობასთან გვაქვს საქმე, როდესაც სათანადო უფლებამოსილების გარეშე ხორციელდება საცხოვრებელ ბინაში ან სხვაგვარად გარეშე თვალთახედვიდან განსაკუთრებით დაცულ სივრცეში მყოფი პირის გადაღება ან გადაღებული ჩანაწერების გავრცელება და ამგვარად პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პიროვნული სფეროს დარღვევა. შესაბამისად, დანაშაულის შემადგენლობიდან გამოირიცხება საჯაროდ ხელმისაწვდომი მომსახურების და სამუშაო სივრცეები, რომელთა ნახვაც ნებისმიერ პირს შეუძლია¹³. თუმცა, განსაკუთრებით დაცულ სივრცეებს განეკუთვნება, მაგ. ტანსაცმლის გამოსაცვლელი ადგილები და საპირფარეშოები¹⁴. გსსკ-ის § 201a-ში მოცემული დანაშაულის

10 *Beck*, MMR 2008, 77, 78 f.

11 *Heuchemer*, in: BeckOK StGB, 42. Edition 01.05.2019, § 201 StGB Rn. 2.1.

12 შეად. BGH NStZ 2015, 391.

13 *Eisele*, Datenschutzstrafrecht, 2012, S. 98.

14 ამ ცნებების მნიშვნელობის განსაზღვრის თაობაზე იხ.: *Kargl*, ZStW 117 (2005),

შემადგენლობის განხორციელება მოითხოვს ჩანერილი პირის „პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სფეროს“ დარღვევის ფაქტის არსებობას. ამასთან, მთავარი ფოკუსი მიმართულია ინტიმური სფეროსკენ. როგორც წესი, ნორმა ეხება ავადმყოფობას, სიკვდილსა და სქესობრივ სფეროს, მაშინ, როდესაც ადამიანის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ისეთი ფაქტები, როგორცაა რელიგიური შეხედულება ან ოჯახური მდგომარეობა, დანაშაულის შემადგენლობაში არ შედის¹⁵. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ნორმით სისხლისსამართლებრივად დასჯადი არ არის პირის უტაქტო გადაღება მისთვის სამარცხვინო სიტუაციაში¹⁶.

გარდა ამისა, გსსკ-ის § 201-ის მიხედვით, დამატებით საუბრის კონფიდენციალურობის დარღვევასთანაც გვექნება საქმე, თუკი ვიდეოჩანანერი, მაგ., შეიცავს სათანადო ხმოვან კვალს. ამგვარი სახის ჩანერა დასჯადია გსსკ-ის § 201-ის პირველი აბზაცის პირველი ნაწილის მიხედვით (აღნიშნულთან დაკავშირებით შეად. სტატიის წინა თავი).

სულ უფრო და უფრო სწრაფად პროგრესირებადი დიგიტალიზაცია, მისი თანამდევი მინიატურიზაცია და კადრების ცხოვრების ნებისმიერ სიტუაციაში გადაღებისა და გავრცელების შესაძლებლობების საოცარი სისწრაფით გამარტივება სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში. კანონმდებელმა სწორედ აღნიშნულზე სათანადო პასუხის გაცემის მიზნით, ახლახან, გსსკ-ის § 201a-ს პირველი აბზაცის მეორე ნაწილის სახით ახალი ნორმა შემოიღო, რომელიც სხვა მიზნებთან ერთად, ემსახურება უკვე არსებული (და აღმოჩენილი) სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ხარვეზების ამოვსებას პირადი უფლებების დაცვის გარანტირებისათვის¹⁷. აღსანიშნავია, რომ მაგ. კამერის შემცველი სმარტფონების ყოვლისმომცველი გავრცელების საფუძველზე განსაკუთრებით გაიზარდა უბედური შემთხვევის მსხვერპლთათვის გადაღებული ფოტოების გავრცელების შემთხვევები. სწორედ ამიტომ, გსსკ-ის § 201a-ს პირველი აბზაცის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იმ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც სათანადო უფლებამოსილების გარეშე საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის

324, 330 ff.

15 *Eisele*, JR 2005, 6, 9.

16 *Koch*, GA 2005, 589, 597.

17 შეად. *Bosch*, in: SSW StGB, 4. Aufl. 2019, § 201a, Rn. 1.

ფოტოჩანაწერს, რომელზეც ჩანს სხვა პირის უმწეობა ან ამგვარ ჩანაწერს სხვას გადასცემს, რასაც შედეგად ჩანაწერზე ასახული პირის პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პიროვნული სფეროს დარღვევა მოჰყვება.

IV. საფოსტო მიმონერის ფარული თვალთვალი

პირადი ფოსტის საიდუმლოება დაცულია გსსკ-ის § 202-ის მიხედვით. მესამე პირი არ არის უფლებამოსილი გახსნას პირადი წერილები ან დალუქული დოკუმენტები ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მიიღოს ინფორმაცია მათი შინაარსის შესახებ, თუ ისინი არ არის განკუთვნილი მისთვის გასაცნობად. ამგვარი ქმედების განხორციელებისას დგება გსსკ-ის § 202-ით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დასჯადობის საკითხი. გსსკ-ის § 202 მისი სიტყვასიტყვითი შინაარსიდან გამომდინარე, არ მოიცავს ელექტრონულ შეტყობინებებს¹⁸. პირველი აბზაცის ბოლოს მოცემული სუბსიდიარობის დათქმის თანახმად, გსსკ-ის § 202-ით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დასჯადობა ზედმეტია, როდესაც დანაშაულის მიმართ უკვე შესაძლებელია დადგეს გსსკ-ის § 206-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საფოსტო და სატელეკომუნიკაციო მიმონერის საიდუმლოების დარღვევის საფუძველზე.

V. ელექტრონული მიმონერის ფარული თვალთვალი

1. ჩარევა სატელეკომუნიკაციო საუბრის კონფიდენციალურობაში

ელექტრონულ მიმონერაზე ფარული მედამხედველობისას დღის წესრიგში დგება სისხლისსამართლებრივი დასჯადობა გერმანიის ტელეკომუნიკაციების შესახებ კანონის §§ 89, 148-ის და/ან გსსკ-ის § 206-ის მიხედვით¹⁹. თუკი საქმე ეხება ელექტრონული შეტყობინების შინაარსის გაცნობას, მაშინ უნდა შემოწმდეს გერმანიის ტელეკომუნიკაციების შესახებ კანონ-

18 *Kargl* (Fn. 4), § 202 Rn. 6.

19 აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე შეად.: *Cornelius/Tschoepe*, K&R 2005, 269 ff.; *Heidrich/Tschoepe*, MMR 2004, 75; *Hoeren*, NJW 2004, 3513; *Spindler/Ernst*, CR 2004, 437.

ნის შემდეგი პარაგრაფები: 89, 148. აღნიშნულის საპირისპიროდ, თუკი ინფორმაციის სხვაზე გადაცემა განხორციელდა ან ინფორმაციის გაგზავნისთვის ხელის შეშლასთან გვაქვს საქმე, მაშინ სისხლისსამართლებრივი დასჯადობა ხორციელდება გსსკ-ის § 206-ის მიხედვით²⁰. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვა, სწორად გამოთქმული მოსამრების თანახმად, ასევე ეხება ელექტრონული შეტყობინებების ურთიერთგაცვლას²¹. ასე რომ E-Mail-ებით განხორციელებული მიმოწერის შემთხვევაშიც სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვა ხორციელდება²². გსსკ-ის § 201-ის შემადგენლობა ამ შემთხვევაში არ გამოიყენება, ვინაიდან ამ შემადგენლობით მხოლოდ და მხოლოდ არასაჯარო ნათქვამის კონფიდენციალურობაა დაცული²³ და სწორედ ამიტომ ისეთი წარმოუთქმელი ტელეკომუნიკაცია, როგორცაა წაკითხული E-Mail-ები, არ ექცევა ამ მუხლით დაცულ სფეროში²⁴. ელექტრონული მიმოწერის თვალთვალით გსსკ-ის § 202b-ს შემადგენლობაც ხორციელდება (მონაცემების გაცნობა), თუმცა, ფორმალური სუბსიდიარულობის დათქმიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი სხვა მუხლის შემადგენლობის განხორციელების გამო, მისი გამოყენება გამოირიცხება.

2. სპეციალური შემადგენლობა სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელთან მიმართებაში გსსკ-ის § 206-ის მიხედვით და მიმღებ ოპერატორთან მიმართებაში გერმანიის ტელეკომუნიკაციების შესახებ კანონის § 89-ის მიხედვით

გსსკ-ის § 206-ის შემადგენლობა დასჯადობისთვის მოითხოვს, რომ სუბიექტი კომპანია სამეწარმეო საქმიანობის ფორმით ახორციელებდეს საფოსტო და სატელეკომუნიკაციო მომსახურებას. გერმანიის ფოსტის შესახებ კანონის § 4-ის მეოთხე ნაწილისა და გერმანიის ტელეკომუნიკაციების

20 *Eisele* (Fn. 13), S. 97; დაკავშირების მონაცემების გაცემის დასჯადობის თაობაზე იხ. BGH NJW 2013, 402.

21 *Cornelius/Tschoepe*, K&R 2005, 269, 270; *Altenhain*, in: MüKo StGB, Bd. 6/1, 2. Aufl. 2015, § 148 TKG Rn. 9; *Eisele*, in: Schönke/Schröder, StGB, 30. Aufl. 2019, § 206 Rn. 20; OLG Karlsruhe K&R 2005, 181, 183; a.A. *Kargl* (Fn. 4), § 206 Rn. 31.

22 BVerfGE 120, 274, 306 f.; BVerfG NJW 2009, 2431, 2432.

23 *Kargl* (Fn. 4), § 201 Rn. 2, 5; *Eisele* (Fn. 21), § 201 Rn. 5.

24 *Cornelius*, JZ 2015, 693, 695.

შესახებ კანონის § 3-ის მე-10 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული სახეზეა მაშინ, როდესაც იგი მესამე პირს სთავაზობს სატელეკომუნიკაციო და ასევე ინფორმაციის გადაცემის სხვაგვარი გზებით განგრძობადი ვადით მომსახურების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ მოგების მიღების მიზანს მნიშვნელობა არ აქვს²⁵.

ასეთ კომპანიებში მოიაზრებიან, როგორც ტიპური საფოსტო და სატელეკომუნიკაციო მომსახურების განმახორციელებელი კომპანიები, ასევე სხვა საწარმოები, საადვოკატო ფირმები ან საავადმყოფოები, Over-the-top (OTT) მომსახურებების მიმწოდებლები (მაგ. როგორცაა Facebook და WhatsApp)²⁶. ამასთანავე, საჯარო ფორმით მოქმედი ისეთი დაწესებულებები, როგორცაა უნივერსიტეტები (საჯარო-სამართლებრივი კორპორაციები), გსკ-ის § 206-ის გაგებით საწარმოებად გვევლინებიან მაშინ, როდესაც ისინი თავიანთ სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებს მხოლოდ მათთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად კი არ იყენებენ, არამედ როდესაც ისინი სამეცნიერო, სამოხელეო, სტუდენტური, პირადი ან ასევე ეკონომიკური მიზნებისათვის მათ სხვადასხვა მომხმარებელთა ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომს ხდიან²⁷.

3. საფოსტო მიმწერისა და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში ჩარევისას წარმოქმნილი ფაქტობრივი მდგომარეობა

გერმანიის ტელეკომუნიკაციების შესახებ კანონის § 148-ის პირველი აბზაცის პირველი ნაწილი ამავე კანონის § 89-თან ერთობლიობაში მიზნად ისახავს საფოსტო მიმწერისა და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში ჩარევისაგან დაცვას და ზოგადი პირადი უფლების უზრუნველყოფას. თუმცა, გსკ-ის § 202b-სგან განსხვავებით, აქ საქმე ეხება მხოლოდ უკაბელო გზით გადაცემულ შეტყობინებებს²⁸. აღნიშნული გამომდინარეობს

25 *Cornelius*, in: Münchener Anwaltshandbuch IT-Recht, 3. Aufl. 2013, Teil 10 Rn. 282; *Wuermeling/Felixberger*, CR 1997, 230 f.

26 *Altenhain*, in: MüKo StGB, Bd. 4, 3. Aufl. 2017, § 206 StGB Rn. 13; *Sassenberg/Lammer*, DuD 2008, 461, 461 f.

27 OLG Karlsruhe MMR 2005, 178, 180; *Altenhain* (Fn. 26), § 206 StGB Rn. 13; *Cornelius/Tschoepe*, K&R 2005, 269; a.A. *Fischer*, StGB, 66. Aufl. 2019, § 206 Rn. 2; *Weidemann*, in: BeckOK StGB, 42. Edition 01.05.2019, § 206 StGB Rn. 6.

28 *Altenhain* (Fn. 21), § 148 TKG Rn. 6.

გერმანიის ტელეკომუნიკაციების შესახებ კანონის § 89-იდან, რომელიც კრძალავს უკაბელო სისტემის გამოყენებით შეტყობინებების მოსმენას ან შეტყობინების თაობაზე ამგვარად მოპოვებული ინფორმაციის გადაცემას ან მის მიღებას. ეს ნორმები არ მოიცავს ე.წ. კაბელზე მიბმული საზედა-ხედველო მოწყობილობის გამოყენების შემთხვევას²⁹.

მიუხედავად ამისა, კომპანია, როგორც ოპერატორი, მაინც არ უნდა გაეცნოს იმ ელექტრონული შეტყობინების შინაარსს, რომელიც მისთვის არ არის განკუთვნილი. ამით უკვე გსსკ-ის § 202b-ში მოცემული დანაშაულის შემადგენლობა ხორციელდება. ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა ელექტრონული შეტყობინებების უნებართვოდ ნახვა ფარულად მოხდება თუ გსსკ-ის § 202a-ით გათვალისწინებული კოდის მოხსნის გზით.

გარდა ამისა, დასჯადია გსსკ-ის § 206-ის მეორე აბზაცის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შეტყობინების გაგზავნისთვის ხელის შეშლა. აღნიშნულის წინაპირობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კომპანიას შეტყობინებების გაგზავნის უზრუნველყოფა წინასწარ უნდა ჰქონდეს მინდობილი. E-Mail-ების შემთხვევაში გაგზავნისათვის ხელის შეშლის არსებობა შესაძლოა სახეზე გქონდეს, როდესაც შეტყობინებების გაგზავნის, გადაცემის ან მიღების ტექნიკურ პროცესში ხდება ჩარევა სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების გამოყენებით. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, როდესაც აღნიშნული ქმედებით შეტყობინება სრულყოფილად და დაზიანების გარეშე ვერ აღწევს ადრესატამდე³⁰.

4. ონლაინ-ჩხრეკა და ფარული სატელეკომუნიკაციო თვალთვალი

ინფორმაციას, რომელსაც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოები გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 100b-ს შესაბამისად ჩატარებული ონლაინ-ჩხრეკის შედეგად იღებენ, შესაძლოა ასევე გსსკ-ის § 206-ის მეოთხე აბზაცე ეხებოდეს, თუკი ღონისძიების საფუძველზე საფოსტო მიმონერისა და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში ხორციელდება ჩარევა³¹. ონლაინ-ჩხრეკის მეშვე-

29 *Altenhain* (Fn. 21), § 148 TKG Rn. 29 f.; *Cornelius*, JZ 2015, 693, 695; *Graf*, in: BeckOK StPO, 33. Edition 01.04.2019, § 148 TKG Rn. 3; a.A. *Eisele* (Fn. 13), S. 63.

30 *Eisele* (Fn. 21), § 206 Rn. 20b.

31 ონლაინ-ჩხრეკის შესახებ იხ.: *Großmann*, GA 2018, 439.

ობით, შესაძლებელია საინფორმაციო-ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე ჩაწერილი მონაცემების შემოწმება. აღნიშნული არ წარმოადგენს საფოსტო მიმონერასა და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში ჩარევას, რადგან ამ შემთხვევაში სატელეკომუნიკაციო დაკავშირების პროცესი უკვე, როგორც წესი, დასრულებულია³². ამ დროს კი მონაცემები მხოლოდ ადრესატის ბატონობის სფეროში იმყოფება და შესაბამისად, ისინი გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცის ან გსსკ-ის § 206-ით დაცულ სფეროში აღარ ექცევიან. თუმცა, ონლაინ-ჩხრეკა გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 100b-ით მოცემული საინფორმაციო-ტექნიკური სისტემების ინფილტრაციის მეშვეობით იძლევა რეალურ დროში განხორციელებული კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესაძლებლობას. ამით ისევ მივიღვართ გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველ აბზაცამდე და გსსკ-ის § 206-მდე³³.

ე.წ. ფარული სატელეკომუნიკაციო თვალთვალი (ე.წ. Quellen-TKÜ-ის შესახებ იხ. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 100a, პირველი აბზაცის მეორე წინადადება) უზრუნველყოფენ მიმდინარე კომუნიკაციაზე რეალურ დროში მიყურადების განხორციელებას - განსაკუთრებით ნაწილობრივ დაშიფრული საკომუნიკაციო მონაცემების გადაცემისას (მაგ. WhatsApp-ის შემთხვევაში, როგორცაა ე.წ. end-to-end encryption). ამ დროსაც საქმე გვაქვს საფოსტო მიმონერისა და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში ჩარევასთან (გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცი)³⁴. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 100a-ს პირველი აბზაცის მესამე წინადადების თანახმად, ე.წ. წყაროებზე სატელეკომუნიკაციო ზედამხედველობისას შესაძლებელია დაშვების მიღება არა მხოლოდ რეალურ დროში მიმდინარე კომუნიკაციის მონაცემებზე, არამედ უკვე კომუნიკაციის დასრულების შემდეგ ჩაწერილ მონაცემებზეც. ამგვარი ჩარევის დროს უნდა შემოწმდეს არა გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცი, არამედ საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების კონფიდენციალურობისა და მთლიანობის შესახებ ძირითადი უფლება (რომელიც გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის მეორე მუხლის პირვე-

32 *Preuß*, Die Kontrolle von E-Mails und sonstigen elektronischen Dokumenten im Rahmen unternehmensinterner Ermittlungen, 2016, S. 140.

33 BT-Drucks. 18/12785, S. 47; *Großmann*, GA 2018, 439, 446 f.

34 შეაღ. *Graf* (Fn. 29), § 100a StPO Rn. 105 f., 109.

ლი აბზაცისა და პირველი მუხლის პირველი აბზაცისაგან)³⁵. ამ გზით მოპოვებული მონაცემების მესამე პირზე (არაუფლებამოსილი) გადაცემის შემთხვევაში, სახეზე გვექნება არა გსსკ-ის § 206-ის მე-4 აბზაცის შემადგენლობა, არამედ (მხოლოდ) გსსკ-ის § 203-ის მეორე აბზაცის პირველი წინადადების პირველი ნაწილის შემთხვევა.

VI. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მონაცემებით ვაჭრობა

მონაცემთა შენახვის შესახებ კანონით 2015 წლის 18 დეკემბრიდან გერმანიაში შემოღებულ იქნა შემადგენლობა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მონაცემებით ვაჭრობის შესახებ (გსსკ-ის § 202d). კანონმდებელი ამ შემთხვევაში დასჯადად აცხადებს არამართლმოიჭერი გზით მოპოვებული მონაცემების (განსაკუთრებით საკრედიტო ბარათების მონაცემები, Online-Banking-ზე დაშვების მონაცემები, E-Mail-მომსახურების სერვისების ან სოციალური ქსელების შესახებ მონაცემები) გამოყენებას. აღნიშნულით ასევე შესაძლებელია ამ მონაცემების მოპოვებასა და გამოყენებას შორის მყოფი შუამავალი პირების გამოვლენა³⁶. მიუხედავად ამისა, მონაცემთა გადამცემი პირების უამრავი ქმედება შესაძლო თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ფორმებით ისედაც უკვე ასახული იყო კანონმდებლობაში. შესაბამისად, ახალი სისხლისსამართლებრივი შემადგენლობის შემოღების ლეგიტიმურობის საკითხი შედარებით სადავოა³⁷. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, დაცულ სიკეთეს წარმოადგენს მონაცემთა საიდუმლოების ფორმალური დაცვა და უფლებამოსილი პირის განკარგვის ფორმალური უფლებამოსილება, რის გამოც იგი შესაბამისობაში მოდის გსსკ-ის § 202a-სა და მის შემდგომ ნორმებთან³⁸.

გსსკ-ის § 202d-ის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დასჯადობა ეკისრება პირს, რომელიც საჭაროდ ხელმიუწვდომელ და სხვა პირის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ მოპოვებულ „მონაცემებს“ (გსსკ-ის § 202a

35 *Singelstein/Derin*, NJW 2017, 2646, 2648.

36 *Stam*, StV 2017, 488, 489.

37 შეად. მოპარული მონაცემების დამუშავების შესახებ ნორმების თაობაზე: *Beck/Meinicke*, CR 2015, 481 f.

38 დეტალურად იხ. BT-Drucks. 18/5088, S. 45; *Kargl* (Fn. 4), § 202d Rn. 5.

მეორე აბზაცი) თავისთვის ან სხვა პირისათვის დაეუფლება, სხვა პირს გადასცემს, დაამუშავებს ან მასზე დაშვებას სხვაგვარად შესაძლებელს გახდის, რათა თავად ან მესამე პირმა მიიღოს სარგებელი ან სხვა პირი რომ დააზიანოს“. მართლსაწინააღმდეგო გზით მოპოვებული მონაცემებით ვაჭრობა, ისევე როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნა, სხვა (წინარე) დანაშაულებთან დაკავშირებულ დელიქტს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ ნორმით დადგენილი სასჯელი არ შეიძლება იმაზე მძიმე იყოს, ვიდრე იმ დანაშაულისათვის შესაძლოა ყოფილიყო გათვალისწინებული, რომელიც მის წინაპირობას წარმოადგენს (მეორე აბზაცი). მესამე აბზაცის მიხედვით, ქმედებები პირველი აბზაცის მიხედვით არ არის სისხლისსამართლებრივად დასჯადი, თუკი ისინი „ემსახურებიან მართლზომიერი სამოხელეო ან პროფესიული მიზნების განხორციელებას“. გსსკ-ის § 202d-ს მესამე აბზაცის მეორე წინადადების თანახმად, კანონმდებელი აღნიშნულის ქვეშ მოიაზრებს „თანამდებობის პირების ან მათი წარმომადგენლების იმ ქმედებებს, რომელთა მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს მონაცემების მხოლოდ შეფასება საგადასახადო პროცესის მიმდინარეობისას, სისხლის სამართალწარმოებისას ან ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას. ასევე აქ მოიაზრება პროფესიული ქმედებები, განხორციელებული გერმანიის საპროცესო კოდექსის § 53-ის პირველი აბზაცის პირველი წინადადების მე-5 ნაწილში ჩამოთვლილი იმ პირების მხრიდან, რომლებიც იღებენ, ამუშავებენ და აქვეყნებენ მონაცემებს.“

VII. დასკვნა

მე-15 თავიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ ზოგადად, მნიშვნელობა არ აქვს მოპოვებული მონაცემების ობიექტურ ღირებულებას. აქ საქმე არ გვაქვს ქონებრივ დანაშაულებებთან. გსსკ-ის §§ 201-202b-ში მოცემული დანაშაულების სუბიექტია ნებისმიერი პირი, ვინც ახორციელებს ჩარევას მსხვერპლის პირად სფეროში. ფორმალურ-სამართლებრივ მდგომარეობაში ჩარევა უკვე საკმარისად მიიჩნევა დანაშაულის დამთავრებისთვის (საიდუმლოების ფორმალური დაცვა მისი შინაარსობრივი

მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად)³⁹. აღნიშნულის საპირისპიროდ, გსსკ-ის § 206-ის (საფოსტო მიმონერისა და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დარღვევა) და გსსკ-ის § 203-ის (პირადი საიდუმლოების დაცვა) შემთხვევებში საქმე გვაქვს განსაკუთრებულ დანაშაულებთან, რომლებიც მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ერთგულების ვალდებულების მექონე დამნაშავეების მიმართ. ამ პირებმა სამართლებრივი გზით მოიპოვეს სამართლებრივი სიკეთის ობიექტზე წვდომა, თუმცა მათ დაარღვიეს თავიანთი ვალდებულებები და ეს უფლებები ბოროტად გამოიყენეს⁴⁰.

კანონმდებლის მიერ შერჩეული სახელწოდება „ადამიანის პირადი ცხოვრებისა და საიდუმლო სფეროს დარღვევა“ ბუნდოვანია, ვინაიდან, სულ მცირე, იმაზე ვერ მოვახდენთ აპელირებას, რომ დაცვის ქვეშ მხოლოდ ინდივიდუალური პირადი სფერო შეიძლება მოიაზრებოდეს. თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის პირველი და მეორე მუხლების, ძირითადი უფლების სახით ჩამოყალიბებულ გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლში მოცემულ საფოსტო მიმონერისა და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვას და აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითადი კონვენციის მე-8 მუხლს შორის არსებულ ცხად კონტექსტს თავისუფლად მივყავართ ინდივიდუალურად განსაზღვრულ სამართლებრივ სიკეთესთან.

წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ ფრაგმენტულად იქნა წარმოდგენილი სატელეკომუნიკაციო თვალთვალის, განსაკუთრებით დაცულ სივრცეებში ვიდეთვალთვალის, უბედური შემთხვევის მსხვერპლის გადაღების, წერილობით და ელექტრონულად განხორციელებული მიმონერის ფარული კონტროლისა და ასევე არამართლზომიერად მოპოვებული მონაცემებით ვაჭრობის შემადგენლობები. აღნიშნული შემადგენლობების განხილვის საფუძველზე დადგინდა, რომ პირადი სფეროს ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა სახის სისხლის-სამართლებრივი დაცვის მექანიზმი არსებობს. თუმცა, მონაცემთა დამუშავების საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობების სწრაფი ზრდის პარალელურად, კვლავ დგას მონაცემთა შეუზღუდავი მოპოვების, ჩაწერის, გამოყენების ან გადაცემისაგან ეფექტიანი დაცვის მექანიზმების

39 Hoyer (Fn. 4), Vor § 201 Rn. 11.

40 Hoyer (Fn. 4), Vor § 201 Rn. 10.

არსებობის საჭიროება. გარდა ამისა, ასევე აუცილებელია საერთაშორისო დონეზე ერთობლივი ღონისძიებების გატარება.

საარჩევნო სისხლის სამართალი, როგორც დემოკრატიის ქვაკუთხედი

პროფ. დოქტ., საპატიო დოქტ. **მარტინ პაულ ვასმერი**, კიოლნის
უნივერსიტეტი

საარჩევნო დანაშაულები იმ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა ჩადენაც არჩევნებსა და საყოველთაო გამოკითხვებთან დაკავშირებით ხორციელდება. საარჩევნო სისხლის სამართალს გერმანიაში არეგულირებს გსსკ-ის 107-108d პარაგრაფები. საარჩევნო სამართლის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია, ვინაიდან არჩევნები და საყოველთაო გამოკითხვები, როგორც ნებისმიერი დემოკრატიის საფუძველი, ხშირად ექცევა მართლსაწინააღმდეგო მანიპულაციების ყურადღების ცენტრში, რის გამოც ისინი სისხლის სამართალმა მაქსიმალურად ყოვლისმომცველად უნდა დაიცვას¹.

I. ზოგადი მიმოხილვა

საარჩევნო დანაშაულები უხეშად შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ: თუკი არჩევნების ან საყოველთაო გამოკითხვის კანონის ფარგლებში ჩატარება გსსკ-ის 107-107c² პარაგრაფებით არის გათვალისწინებული, გსსკ-ის §§ 108, 108a იცავს ხმის მიცემის პროცესის თავისუფლებას და § 108b კი ხმის მიცემის ობიექტურობას³. მაშასადამე, ერთი მხრივ, დაცულია ნების თავისუფლად ფორმირებისა და გამოხატვის საზოგადოებრივი ინტერესი,⁴ ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეული პირების მიერ გადაწყვეტილების თავისუფლებად მიღების შესაძლებლობა.

საარჩევნო დანაშაულების ჩადენას სისხლის სამართალი ეფექტურად უნდა დაუპირისპირდეს. სახელმწიფოს არსებობისათვის მათ განსაკუთ-

1 *Zimmermann*, ZIS 2011, 982.

2 BGHSt 29, 380, 386.

3 BGHSt 33, 336, 338.

4 BGHSt 39, 54, 60.

რებული მნიშვნელობა ენიჭებათ. აღნიშნულზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ საარჩევნო დანაშაულები გერმანიაში დღეის მდგომარეობით მხოლოდ მცირე პრაქტიკულ მნიშვნელობას ატარებენ. საარჩევნო დანაშაულებს პოლიცია იხილავს, როგორც ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. შესაბამისად, ამ დანაშაულების სტატისტიკა საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკის მიხედვით კი, 2017 წელს „საარჩევნო დანაშაულისათვის“ (გსსკ-ის §§ 107-108b), ექვს სრულწლოვანს (ხუთ მამაკაცსა და ერთ ქალს) დაედო მსჯავრი (რვა გასამართლება; ერთი საქმის წარმოების დროებითი შეჩერება; ერთი გამამართლებელი განაჩენი). განსასჯელების უმეტესობის ასაკი საშუალოზე მეტს შეადგენდა (ერთ შემთხვევაში 25-დან 30 წლამდე; ორ შემთხვევაში 50-60 წლის ასაკის; ორ შემთხვევაში 60-დან 70 წლამდე; ერთ შემთხვევაში 70 წლის ასაკის)⁵. გამოყენებული სასჯელები შედარებით მსუბუქი ხასიათის იყო. ორი პირი დასჯილ იქნა თავისუფლების აღკვეთით პირობითი გამოსაცდელი ვადით, ოთხი პირი კი ფულადი ჭარბით⁶. თავისუფლების აღკვეთის ვადა შეადგენდა ერთ წელზე ნაკლებ პერიოდს (ერთ შემთხვევაში ექვსიდან ცხრა თვემდე პერიოდს; მეორეში კი ცხრა თვიდან ერთ წლამდე პერიოდს); ფულადი ჭარბის დღიური განაკვეთებიც დაბალი იყო (ორ შემთხვევაში 16-დან 30-მდე; ერთ შემთხვევაში 31-დან 90-მდე; ერთ შემთხვევაში 181-დან 360-მდე)⁷. განსჯილი საქმეების ოდენობა ნათელს ხდის, რომ საარჩევნო მანიპულაციები გერმანიაში იშვიათია, რაც ძალიან კარგის ნიშანია! აღნიშნულისგან განსხვავებით, საარჩევნო დანაშაულებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ 1990-იან წლებში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაშლის შემდგომ, გარდამავალ პერიოდში. გაბატონებული შეხედულების თანახმად,⁸ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის

5 Statistisches Bundesamt, Rechtspflege, Strafverfolgung 2017, S. 26 f., 60 f.

6 Statistisches Bundesamt (Fn. 5), S. 94 f.

7 Statistisches Bundesamt (Fn. 5), S. 162 f., 202 f.

8 გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის § 211 და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის § 107 შორის არსებულ უმართლობის უწყვეტობას შეეხო BGHSt 39, 54 (65 ff.); აღნიშნული ასევე დადასტურდა: BVerfG NJW 1993, 2524; იხ. ასევე *Eser*, in: Schönke/Schröder, StGB, 27. Aufl. 2006, Vor §§ 3-7 Rn. 105; a.A. *Arnold/M. Kühl*, NJ 1992, 476, 478 f.; monografisch *J. Müller*, Symbol 89 – Die DDR-

ადრეულ ეტაპზე ხშირად ვხვდებით არჩევნების გაყალბების შემთხვევებს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით საფრთხილოდ მიიჩნევა ხმის მიცემა ფოსტის მეშვეობით, რომელიც უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება. ხმის მიცემის ამ სახის დროს ყველაზე რთულია არსებული დარღვევების გამოვლენა⁹.

II. არჩევნები და საყოველთაო გამოკითხვები (გსსკ-ის § 108d)

გსსკ-ის 107-108c პარაგრაფების მოქმედების სფერო საკმაოდ ვიწროა. § 108d-ის პირველი წინადადების თანახმად, სისხლისსამართლებრივი რეგულაციები მოიცავს არჩევნების შემდეგ სახეებს: სახალხო წარმომადგენლობისა და ევროპარლამენტის არჩევნები¹⁰, ფედერაციაში მიმდინარე სხვა არჩევნები და საყოველთაო გამოკითხვები (ბუნდესტაგი), ფედერალური მიწების (მიწის პარლამენტი, ბრემენისა და ჰამბურგის საქალაქო, ბერლინის სამხარეო პარლამენტის) არჩევნები, კომუნალურ ერთეულებში (თვითმმართველობები, მიწის ცალკეული რაიონები, ოლქები) მიმდინარე არჩევნები, ქვეყნის კონკრეტულ ნაწილებში მიმდინარე არჩევნები და საყოველთაო გამოკითხვები ანდა კომუნალური იურიდიული პირებისა და ასევე სოციალური დაზღვევის პირდაპირი გზით არჩევნები (გერმანიის სოციალური სამართლის კოდექსის § 43 და შემდეგი). მაშასადამე, ნორმებით დაცულია მხოლოდ საყოველთაო არჩევნები და გამოკითხვები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირდაპირი დემოკრატიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.

აღნიშნული დანაშაულების მოქმედების სფეროში არ ექცევა სახელმწიფო ორგანოების შიგნით მიმდინარე არჩევნები თუ გამოკითხვები, როგორცაა, მაგ. გერმანიის ფედერალური კანცლერის არჩევა ბუნდესტაგის მიერ. აგრეთვე, გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებაც ხდება არაპირდაპირი დემოკრატიის ფარგლებში. აქ გამოიყენება გსსკ-ის § 108e - ქრთა-

Wahlfälschungen und ihre strafrechtliche Aufarbeitung, 2001.

9 Müller, in: MüKo StGB, Bd. 3, 3. Aufl. 2017, Vor § 107 Rn. 4.

10 გაბატონებული შეხედულების თანახმად, მხოლოდ გერმანულ დეპუტატთა დაკავშირებით იხ. Kargl, in: NK StGB, 5. Aufl 2017, § 108d Rn. 4; a.A. Anders/Mavany, in: AnwK StGB, 3. Aufl. 2019, § 108d Rn. 3; Zimmermann, ZIS 2011, 982, 983 f.

მის აღება და სათანადო მანდატის მფლობელების მოსყიდვა. გარდა ამისა, აღნიშნული დანაშაულები არ მოიცავს (გამონაკლისს წარმოადგენს სოციალური დაზღვევის პრაიმერი, რომლის დროსაც კანონმდებელი ნების ფორმირებას და ამით თვითმმართველობის ორგანოების შემადგენლობას განსაკუთრებული დაცვის ღირსად მიიჩნევს) საჯარო მართვის ორგანოებში მიმდინარე სხვა სახის არჩევნებს, მაგ. როგორცაა ეკლესიის არჩევნები, საქარხნო კომიტეტების არჩევნები, პროფესიულ და მოქალაქეობრივ ორგანოებში მიმდინარე არჩევნები (ექიმები, ადვოკატები, ხელოსანთა პალატა და ა.შ.). ასევე, იგივე ითქმის, როგორცაა მაგ. სადაზღვევო კომპანიებზე, სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების ორგანოების შიგნით არსებულ გაერთიანებებზე (მაგ. სამოსამართლო კოლეგიები)¹¹. ჩვენი მოსაზრებით, დღეისათვის არსებული კატალოგი უნდა გაფართოვდეს¹², ვინაიდან აღნიშნული არჩევნებიც წარმოადგენენ ფუნქციონირებადი დემოკრატიის გამოხატულებას, რომლებიც იმსახურებენ სისხლისსამართლებრივი გზით დაცვას. ახლანდელისგან განსხვავებით, გსსკ-ის § 108-ის ძველი, 1.10.1953-მდე მოქმედი ვერსია, მოიცავდა „საჯარო საქმეების“ ცნებას, რომელიც საკმაოდ ფართოდ¹³ განიმარტებოდა.

არჩევნების ქვეშ მოიაზრება პირადი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება ცალკეული პირების არჩევა. საყოველთაო გამოკითხვები კი წარმოადგენს კონკრეტულ საგნობრივ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ზოგადსახელმწიფოებრივ საკითხებს ეხება¹⁴. ფედერალურ დონეზე რეფერენდუმებს მხოლოდ მცირე მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისინი მხოლოდ ფედერალური მიწების ახლებურ განაწილებასთან დაკავშირებით ინიშნება (გერმანიის ძირითადი კანონის 29-ე, 118-ე და 118a მუხლები). აღნიშნულისგან განსხვავებით, ადგილობრივ, ფედერალური მიწების დონეზე სახალხო ინიციატივებსა და გამოკითხვებს უფრო ხშირად იყენებენ (იხ. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის კონსტიტუციის მეორე მუხლი). იგივე სურათია ადგილობრივ თვითმმარ-

11 BT-Drucks. 7/4122, S. 39.

12 შეად. Härtl, Wahlstraftaten, 2006, S. 171, 200; Kargl (Fn. 10), § 108d Rn. 3; კრიტიკულად: Zimmermann, ZIS 2011, 982, 984.

13 ob. Dreher, JZ 1953, 421, 427 m.w.N.

14 ob. Anders/Mavany (Fn. 10), § 108d Rn. 2.

თველობებშიც (იხ. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ რეგულაციის 26-ე მუხლი).

გსსკ-ის § 108-ის მეორე წინადადება, დამატებით, ასევე ეხება საარჩევნო წინადადებაზე ხელმოწერას (არჩევნების შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის § 20, მეორე და მესამე აბზაცები) და საყოველთაო ხმის მიცემაზე ხელმოწერას. აღნიშნულით ჯერ კიდევ არჩევნებისა და საყოველთაო ხმის მიცემის წინარე ეტაპზეა გარანტირებული სათანადო სისხლისსამართლებრივი დაცვა.

III. პროცედურის კანონის ფარგლებში ჩატარების უზრუნველყოფა

1. არჩევნებისთვის ხელის შეშლა (გსსკ-ის § 107)

გსსკ-ის § 107 კრძალავს არჩევნებსა და გამოკითხვებზე ზემოქმედებას. აღნიშნულ ნორმა გსსკ-ის § 240-ში მოცემულ იძულებასთან შედარებით უფრო სპეციალურია¹⁵. ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში კი მინიმუმ 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით, ისჯება პირი, რომელიც ძალადობით ან ძალადობის მუქარით დაბრკოლებას უქმნის ან ხელს უშლის (პირველი აბზაცი) ან ცდილობს დაბრკოლება შეუქმნას (მეორე აბზაცი) არჩევნებს ან მისი შედეგების დადგენას.

მაშასადამე, დაცულია არჩევნების მთლიანი პროცესი, დაწყებული მისი მომზადებიდან,¹⁶ დამთავრებული მისი შედეგების დადგენით. ქმედება მიმართული უნდა იყოს საარჩევნო პროცედურისაკენ და შესაბამისად, ხელს უნდა უშლიდეს საარჩევნო უფლების მრავალი - კონკრეტულად არაიდენტიფიცირებადი - პირების მიერ განხორციელებას¹⁷. ამომრჩევლის იძულების მუხლი იცავს არჩევნების თითოეულ მონაწილეს (გსსკ-ის § 108). არჩევნების განხორციელების ხელშეშლაში მოიაზრება მისი განხორციელების სრული შეუძლებლობა, მაგ. საარჩევნო უბნის ბლოკირე-

15 *Kargl* (Fn. 10), § 107 Rn. 3.

16 *Eser* (Fn. 8), § 107 Rn. 5; a.A. *Härtl* (Fn. 12), S. 29 ff.; *Müller* (Fn. 9), § 107 Rn. 6.

17 *Eser* (Fn. 8), § 107 Rn. 4.

ბა¹⁸. არჩევნების განხორციელების დაბრკოლებაში კი მოიაზრება ქმედება, რომლის შედეგადაც არჩევნების მიმდინარეობა ფერხდება ან დროში ყოვნდება¹⁹. აქვე იგულისხმება საარჩევნო ბიულეტენების განადგურება ან საარჩევნო ყუთების მოპარვა²⁰.

2. არჩევნების გაყალბება (გსსკ-ის § 107a)

გსსკ-ის § 107a ეხება უშუალოდ არჩევნების ან ხმის დათვლის პროცესზე ზემოქმედებას. ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება პირი, რომელიც სათანადო უფლების არარსებობის მიუხედავად, მონაწილეობას იღებს არჩევნებში ან სხვაგვარი ქმედებით ცდილობს არჩევნების არასწორი შედეგის გამოწვევას ან შედეგის გაყალბებას (პირველი აბზაცი). სისხლისსამართლებრივად ისჯება ასევე პირი, რომელიც არჩევნების არასწორ შედეგს გამოაცხადებს ან ხელს შეუწყობს არასწორი შედეგების გამოცხადებას (მეორე აბზაცი). თავის მხრივ, დანაშაულის მცდელობაც დასჯადია (მესამე აბზაცი).

აუცილებელია, რომ არჩევნების არასწორი შედეგების გამოწვევა (პირველი აბზაცის პირველი ალტერნატივა) არჩევნების დასრულებამდე მოხდეს. არაუფლებამოსილი პირის მიერ ხმის მიცემაც ამის ერთ-ერთი მაგალითია²¹. აღნიშნული მოიცავს შემთხვევებს, როდესაც დამნაშავე ირჩევს ისე, რომ მას არ აქვს ხმის მიცემის უფლება²², ირჩევს რამდენჯერმე²³ ან სხვისი სახელით²⁴. გარდა ამისა, ამაში იგულისხმება ის შემთხვევებიც, როდესაც დამნაშავე საფოსტო გზის გამოყენებით ხმის მიცემისას საარ-

18 *Bauer/Gmel*, in: LK StGB, Bd. 4, 12. Aufl. 2011, § 107 Rn. 3.

19 *Eser* (Fn. 8), § 107 Rn. 4.

20 *Eser* (Fn. 8), § 107 Rn. 5.

21 BGHSt 29, 380, 383.

22 BGHSt 29, 380, 382.

23 RGSt 37, 297, 298; 37, 380, 384 f.; ასევე, როგორც რამდენიმე ევროკავშირის წევრის სახელმწიფოს მოქალაქე ევროპარლამენტის არჩევნებისას, *Müller* (Fn. 9), § 107a Rn. 11.

24 BGHSt 29, 380, 382.

ჩვენო ხმის მქონე (სხვა) პირის ბიულეტენს თავის გემოზე ავსებს და აგზავნის²⁵. არასწორი შედეგის მიღწევა სხვა ხერხებითაც შეიძლება, რითაც ხმათა სხვაგვარი პროპორცია მიიღება²⁶. მაგ. დამატებითი ბიულეტენების შერევა ან ბიულეტენით უკვე მიცემული ხმის გამოცალკევება, შევსებული ბიულეტენების დარიგება²⁷ ან საარჩევნო ხმის უფლების მქონე პირზე გავლენის სხვაგვარად მოხდენა²⁸. აღნიშნულისგან განსხვავებით, ნორმაში არ მოიაზრება საარჩევნო შედეგებზე არაპირდაპირი ზეგავლენა არჩევნების წინარე ეტაპზე, როგორცაა მაგ. ე.წ. Fake News-ების და Social Bot-ების გამოყენება²⁹. მანიპულაციის აღნიშნული ფორმებიდან მომდინარე მზარდ საფრთხეებს დღეისათვის არსებული სისხლისსამართლებრივი ნორმები ვერ უპირისპირდება.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, საარჩევნო შედეგების გაყალბების (პირველი აბზაცის მეორე ალტერნატივა) წინაპირობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არჩევნები, როგორც ასეთი, უკვე დასრულებული უნდა იყოს. მანიპულაციები შესაძლოა გამოიხატოს, მაგ. საარჩევნო ბიულეტენების ამოღებაში ან დამატებაში, მათ არასწორ დათვლაში, ოქმის არასწორად შედგენაში ან სათანადო ძალის არმქონე საარჩევნო ბიულეტენების ძალის მქონედ ჩათვლაში³⁰.

დადგენილი წესების მიხედვით ჩატარებული არჩევნების შედეგის არასწორად გამოცხადება ან არასწორად გამოცხადებისათვის ხელის შეწყობა (მეორე აბზაცი) შესაძლოა განახორციელოს მხოლოდ ისეთმა პირმა, რომელსაც გააჩნია არჩევნების შედეგების საყოველთაო გაცნობის ოფიციალური უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, პარტიების თავმჯდომარეები ან ჟურნალისტები, რომლებიც არასწორ შედეგებს ავრცელებენ, სისხლისსამართლებრივად არ ისჯებიან. გარდა ამისა, გაბატო-

25 BGH NJW 2011, 2448.

26 OLG Celle BeckRS 2012, 01600; OLG Zweibrücken NStZ 1986, 554, 555; *Eser* (Fn. 8), § 107a Rn. 5.

27 *Bauer/Gmel* (Fn. 18), § 107a Rn. 4.

28 OLG Zweibrücken NStZ 1986, 554; OLG Koblenz NStZ 1992, 134.

29 *Liberius*, ZUM 2018, 20, 24; *Sinn*, in: SK StGB, 9. Aufl. 2018, § 107a Rn. 4.

30 *Kargl* (Fn. 10), § 107a Rn. 4.

ნებული შეხედულების თანახმად, სუბიექტთა წრე³¹ არ მოიცავს იმ პირს, რომელიც ამ უფლებამოსილებას უბრალოდ საკუთარ თავზე მიიწერს.

3. საარჩევნო დოკუმენტების გაყალბება (გსსკ-ის § 107b)

გსსკ-ის § 107b გსსკ-ის § 107a-სთან ერთად წარმოადგენს დამხმარე სახის ნორმას, რომელიც დასჯადად მიიჩნევს განსაკუთრებით საშიშ მოსაზრებულ ქმედებებს. სასჯელის ზომა საკმაოდ მცირეა. კერძოდ, გათვალისწინებულია ექვს თვემდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ან ფულადი ჯარიმა.

ნორმა, პირველ რიგში, ეხება საარჩევნო სიით მანიპულირებას (პირველი აბზაცის 1-3 ნაწილები). ამ დროს დამნაშავეს ამომრჩეველთა სიაში (საარჩევნო ბარათზე) საკუთარ თავზე შეაქვს (არჩევნების შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის § 17 და ფედერალური არჩევნების შესახებ რეგულაციის § 14) მცდარი მონაცემები (მაგ. ასაკი, მოქალაქეობა, ცხოვრების ხანგრძლივობა) (პირველი ნაწილი). გარდა ამისა, შესაძლოა დამნაშავემ საარჩევნო სიაში ჩაწეროს სხვა პირი, რომელსაც არ აქვს საარჩევნო სიაში ყოფნის უფლებამოსილება (მეორე ნაწილი). ან ის ხელს უშლიდა საარჩევნო უფლების მქონე პირის ამომრჩევლად დარეგისტრირებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფლობს ინფორმაციას ამ პირის არჩევნებში მონაწილეობის უფლების შესახებ (მესამე ნაწილი). სოციალური დაზღვევის არჩევნებისას საარჩევნო დოკუმენტების მომზადება გათანაბრებულია საარჩევნო სიაში შეტანასთან (მეორე აბზაცი), რადგან ამ დროს არ ხდება საარჩევნო სიების წარმოება. გარდა ამისა, ნორმა მოიცავს სხვაგვარ მანიპულაციებს, მიმართულს არჩევადობისადმი (პირველი აბზაცის მეოთხე ნაწილი), როცა დამნაშავე კანდიდატად ცდილობს თავის წარმოჩენას, მიუხედავად იმისა, რომ მისი არჩევა დაუშვებელია.

31 *Eser* (Fn. 8), § 107a Rn. 7; anders *BT-Drucks. I/1307 S. 41*; *Fischer*, StGB, 66. Aufl. 2019, § 107a Rn. 3.

4. არჩევნების ფარულობის დარღვევა (გსსკ-ის § 107c)

გსსკ-ის § 107c ხელს უწყობს საარჩევნო ფარულობის დაცვას. ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება პირი, რომელიც უხეშად არღვევს მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებს. დამნაშავე ამ დროს გამიზნულად უნდა მოქმედებდეს, რათა თვითონ გაიგოს ან სხვას მიაწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვისთვის იქნა ხმა მიცემული.

არჩევნების დაცვის შესახებ ნორმებს შეიცავენ როგორც არჩევნების შესახებ კანონები, ისე ფედერალურ და მიწების დონეზე არსებული სათანადო დებულებები. ამგვარად, მაგ. არჩევნების შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის § 33-ის პირველი აბზაცის მიხედვით, აუცილებელია გატარებულ იქნას სათანადო ღონისძიებები იმისათვის, რომ ამომრჩევლებმა საარჩევნო ბიულეტენის შემოხაზვა და დაკეცვა ყოველგვარი გარე ზედამხედველობის გარეშე შეძლონ, მაგ. საარჩევნო კაბინების გამოყენებით (ფედერალური არჩევნების შესახებ რეგულაციის § 50); საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად უნდა მოხდეს საარჩევნო ურნების გამოყენება (ფედერალური არჩევნების შესახებ რეგულაციის § 51). არჩევნების შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის § 34-ის მიხედვით, არჩევა უნდა განხორციელდეს ოფიციალური საარჩევნო ბიულეტენის გამოყენებით, რომელიც მერე ამომრჩეველმა ისე უნდა გადაკეცოს, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მისცა ხმა (ფედერალური არჩევნების შესახებ რეგულაციის § 56-ის მეორე აბზაცის პირველი წინადადება); საარჩევნო კაბინაში დაუშვებელია ფოტო- და ვიდეოგადაღება (ფედერალური არჩევნების შესახებ რეგულაციის § 56-ის მეორე აბზაცის მეორე წინადადება); ამასთან, საარჩევნო კაბინაში მხოლოდ ერთი ამომრჩევლის ყოფნა დაიშვება (ფედერალური არჩევნების შესახებ რეგულაციის § 56-ის მეორე აბზაცის მესამე წინადადება). ფედერალური არჩევნების შესახებ რეგულაციის § 45-ის მიხედვით, საარჩევნო ბიულეტენის ქალაქი იმგვარი სახის უნდა იყოს, რომ ამომრჩევლის მიერ მისი შემოხაზვისა და დაკეცვის შემდეგ, სხვა პირებმა ვერ შეძლონ დაადგინონ, თუ ვის მისცა მან ხმა. ამავე რეგულაციის § 57-ის მესამე აბზაცის მიხედვით, პირები, რომლებიც ამომრჩევლებს ეხმარებიან ხმის მიცემის პროცესში შესაძლო წინაღობების გადალახვაში,

ვალდებულნი არიან საიდუმლოდ შეინახონ ის ინფორმაცია, რომელსაც ისინი ამ პროცესში იღებენ.

სისხლისსამართლებრივი დაცვის დღეისათვის არსებული მექანიზმი ფრაგმენტულია და არ მოიცავს ყველა ქმედებას, რითაც შესაძლებელია ფარულობის დარღვევა. ასეთია მაგ. შემთხვევა, როდესაც ამომრჩეველზე ხორციელდება თვალთვალი საფოსტო გზით ხმის მიცემისას გასაგზავნი დოკუმენტების შევსებისას³². დასჯადი არ არის აგრეთვე ნათესავის მიერ განხორციელებული მოკვლევა³³. გარდა ამისა, დასჯადობის წინაპირობაა ის ფაქტი, რომ დამნაშავე და ამომრჩეველი არ უნდა წარმოადგენდნენ ერთსა და იმავე პირს. აქედან გამომდინარე, საკუთარი ბიულეტენისათვის ფოტოს გადაღება სოციალურ ქსელში გამოქვეყნების მიზნით და მისი თანამდევი გამოქვეყნება ჯერ კიდევ არ განეკუთვნება დასჯად ქმედებას³⁴. და ბოლოს, დასჯადი არაა შემთხვევა, როცა პირი სხვის მიერ ხმის მიცემის თაობაზე მიიღებს ინფორმაციას ამის წინასწარი მიზნის გარეშე³⁵.

IV. გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებისა და ობიექტურობის დაცვა

1. ამომრჩევლის იძულება (გსსკ-ის § 108)

განსხვავებით გსსკ-ის § 107-ისგან, რომელიც არჩევნების მთლიან პროცესს ეხება, გსსკ-ის § 108 იცავს საარჩევნო უფლების მქონე ცალკეული პირების გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას იმასთან დაკავშირებით, მისცენ თუ არა ხმა საერთოდ არჩევნებზე და თუ კი - როგორ. გაბატონებული შეხედულების თანახმად,³⁶ აღნიშნული ნორმა ასევე გსსკ-ის § 240-ზე წინ დგას. ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი

32 OLG Celle NdsRpfl. 1961, 134.

33 სხვა დაცვითი ნორმების მიღების აუცილებლობის შესახებ იხ. *Bauer/Gmel* (Fn. 18), § 107c Rn. 2; *Müller* (Fn. 9), § 107c Rn. 3.

34 *Valerius*, in: BeckOK StGB, 40. Edition 01.11.2018, § 107c Rn. 2.

35 *Kargl* (Fn. 10), § 107c Rn. 3; a.A. *Anders/Mavany* (Fn. 10), § 107c Rn. 4; გასათვალისწინებელია (ასევე) დასჯადობა გსსკ-ის § 203 მეორე აბზაცის მიხედვით.

36 *Kargl* (Fn. 10), § 108 Rn. 7; a.A. *Fischer* (Fn. 31), § 108 Rn. 2.

ჯარიმით ისჯება პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ, ზეგავლენის მომხდენი ძალადობის, პროფესიული ან ეკონომიკური დამოკიდებულების ან სხვაგვარი ეკონომიკური ზეწოლის გამოყენებით ახდენს ამომრჩევლის იძულებას ან ხელს უშლის მას არჩევანის გაკეთებაში ან საკუთარი საარჩევნო უფლების გამოყენებაში (ან როცა აღნიშნულის მცდელობას აქვს ადგილი; მეორე აბზაცი). განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში თავისუფლების აღკვეთის სასჯელი შესაძლოა ერთიდან ათ წლამდე მერყეობდეს. დანაშაული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. ამასთანავე, გაბატონებული შეხედულების თანახმად,³⁷ ყურადღება უნდა გამახვილდეს გსკ-ის § 240-ის მეორე აბზაცში მოცემულ ე.წ. დასაძრახობის დათქმაზე.

ეკონომიკური ზეწოლა, როგორც ხერხი, გაბატონებული შეხედულების თანახმად,³⁸ დამოუკიდებელი სახით არ გვხვდება, რადგან ის მუქარის ქვეშ ისედაც მოიაზრება. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით,³⁹ აუცილებელია, რომ ზეწოლა ერთმნიშვნელოვან მითითებას წარმოადგენდეს. თუმცა, ყოვლისმომცველი დაცვის არსებობის ინტერესიდან გამომდინარე, შესაძლოა საკმარისად ჩაითვალოს კონკრეტული ეკონომიკური ზარალის მიყენების მუქარა, რაც ამომრჩეველთა კონკრეტულად განსაზღვრულ ჯგუფზე ზეგავლენას მოახდენდა⁴⁰. აქედან გამომდინარე, დანაშაულის შემადგენლობა განხორციელებულად ითვლება, როდესაც კომპანია აანონსებს, რომ არჩევნების კონკრეტული შედეგის დადგომის შემთხვევაში იგი თავის საწარმოს მთლიანად ან ნაწილობრივ სხვაგან გადაიტანს, გააუქმებს ან დასაქმებულებს გაათავისუფლებს⁴¹. აღნიშნულისგან განსხვავებით, დანაშაულის შემადგენლობა არ მოიცავს უბრალო გაფრთხილებებს (პოლიტიკოსე-

37 *Eser* (Fn. 8), § 108 Rn. 6; krit. *Kargl* (Fn. 10), § 108 Rn. 6; *Müller* (Fn. 9), § 108 Rn. 14; a.A. *Bauer/Gmel* (Fn. 18), § 108 Rn. 5; *Sinn* (Fn. 29), § 108 Rn. 5.

38 *Fischer* (Fn. 31), § 108 Rn. 3; a.A. *Kühl*, in: Lackner/Kühl/Heger, StGB, 29. Aufl. 2018, § 108 Rn. 2.

39 BVerfGE 66, 369, 384; zust. *Fischer* (Fn. 31), § 108 Rn. 4; *Sinn* (Fn. 29), § 108 Rn. 3; *Vogler*, in: Satzger/Schluckebier/Widmaier, StGB, 4. Aufl. 2019, § 108 Rn. 3.

40 *Bauer/Gmel* (Fn. 18), § 108 Rn. 3; *Eser* (Fn. 18), § 108 Rn. 6; *Kargl* (Fn. 10), § 108 Rn. 3; *Oppermann*, JuS 1985, 519, 521 f.

41 *Bauer/Gmel* (Fn. 18), § 108 Rn. 3; *Zimmermann*, ZIS 2011, 982, 989 Fn. 82.

ბის, საწარმოების მხრიდან) კონკრეტულ არჩევნებს თანამდევნი ზოგადი ეკონომიკური შედეგების თაობაზე⁴².

2. ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანა (გსსკ-ის § 108a)

გსსკ-ის § 108a არა მხოლოდ გადაწყვეტილების თავისუფლად მიღების შესაძლებლობას, არამედ, გაბატონებული შეხედულების თანახმად,⁴³ არჩევნების შედეგების გაყალბების თავიდან აცილებასაც ეხება. ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება პირი, რომელიც კონკრეტული ამომრჩევლის შეცდომაში განზრახ შეყვანით ახერხებს, რომ იგი ხმის მიცემისას ცდება საკუთარი ნების შინაარსში ან საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ირჩევს ან მის მიერ გაკეთებული არჩევანი არ არის სამართლებრივი ძალის მქონე (პირველი აბზაცი). ამ დანაშაულის მცდელობაც სისხლისსამართლებრივად დასჯადია (მეორე აბზაცი). ნორმას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საარჩევნო უფლების მქონე იმ პირისათვის, რომელიც არჩევნებისას საჭიროებს რჩევას ან დახმარებას, განსაკუთრებით სათანადო ცოდნის არარსებობის, უძლურობის ან უნარშემზღველობის გამო⁴⁴.

საკუთარი ნების გამოვლენაში შეცდომასთან (პირველი ალტერნატივა) გვაქვს საქმე, როდესაც შეცდომაში წინასწარ გაზრახ შეყვანილი ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენზე მისი სურვილის შეუსაბამოდ ხაზავს კონკრეტულ გრაფას ან მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ისე აძლევს ხმას, რომ ამას თავად ვერც კი აცნობიერებს⁴⁵. მეორე ალტერნატივა შეცდომაში შეყვანილი პირი, რომელიც საერთოდ ვერ იღებს მონაწილეობას არჩევნებში, ვინაიდან სწორედ შეცდომის გამო არჩევნების თარიღს გამოტოვებს⁴⁶. დანაშაულის მესამე ალტერნატივა ამომრჩევლის შეც-

42 Müller (Fn. 9), § 108 Rn. 11.

43 BGHSt 9, 338, 340; Eser (Fn. 8), § 108a Rn. 1; a.A. (Allgemeininteresse Schutzreflex) Anders/Mavany (Fn. 10), § 108a Rn. 1; Kargl (Fn. 10), § 108a Rn. 1; (Allgemeininteresse im Vordergrund) Sinn (Fn. 29), § 108a Rn. 1.

44 Eser (Fn. 8), § 108a Rn. 1.

45 BGHSt 9, 338.

46 Eser (Fn. 8), § 108a Rn. 2.

დომში შეყვანა ისე, რომ მან პროცედურულად არასწორად მისცეს ხმა, მაგ. რამდენჯერმე შემოხაზოს საარჩევნო ბიულეტენი, რითაც მას ძალა ეკარგება. ზემოაღნიშნული ნორმა არ მოიცავს შემთხვევებს, როდესაც პირს ცრუ საარჩევნო პროპაგანდა აიძულებს კონკრეტული სუბიექტის სასარგებლოდ მისცეს ან არ მისცეს ხმა. აღნიშნული უნდა შეფასდეს, როგორც შეცდომა მოტივში⁴⁷. არსებული სისხლისსამართლებრივი ნორმები მანიპულაციის ამ ფორმებთან მიმართებით არ ითვალისწინებენ სათანადო დაცვის მექანიზმს.

3. ამომრჩევლის მოსყიდვა (გსსკ-ის § 108b)

გსსკ-ის § 108b კორუფციისგან დამცავი ნორმაა. პირველი აბზაცი ეხება ე.წ. „ხმების მყიდველს“. ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება პირი, რომელიც სხვა პირს საჩუქრებს ან სხვა სახის სარგებელს პპირდება ან აძლევს, თუკი იგი ხმის მიცემის უფლებას გამოიყენებს მისი სურვილის შესაბამისად. მეორე აბზაცი კი ეხება ე.წ. „ხმების გამყიდველს“, მაშასადამე, საარჩევნო ხმის უფლების მქონე პირს, რომელიც ითხოვს საჩუქრებს ან სხვა სარგებელს, იღებს დაპირებას ან აღნიშნულ სარგებელს. დასჯადობის წინაპირობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არჩევნები ჯერ კიდევ წინ არის („ავირჩევ“) და სახეზე გვაქვს შეთანხმება უმართლობის თაობაზე („აღნიშნულისათვის“). შესაბამისად, აუცილებელია, რომ „მყიდველსა“ და „გამყიდველს“ შორის არსებობდეს ან დამყარდეს პირადი კავშირი, რომელიც საბოლოოდ მიგვიყვანს სარგებლის მიღების (თუნდაც მხოლოდ ემოციური სახის) დავალდებულებამდე⁴⁸.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, ნორმა არ მოიცავს პირთა განუსაზღვრელი ჯგუფების მიმართ განხორციელებულ დაპირებებს ან შემოწირულობებს, იმის მიუხედავადაც კი, რომ არჩევნებზე არსებითი გავლენა მხოლოდ ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა ფართო მასაზე ზემოქმედების შედეგად შეიძლება განხორციელდეს. შესაბამისად, საარჩევნო პო-

47 BGHSt 9, 338, 339.

48 BGHSt 33, 336, 339; *Eser* (Fn. 8), § 108b Rn. 2; *Kargl* (Fn. 10), § 108b Rn. 2; *Müller* (Fn. 9), § 108b Rn. 6.

ლიტიკური დაპირება, რომელიც პირადად ვინმესკენ არ არის მიმართული, არ ექცევა დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებში⁴⁹. მსგავს დაპირებას მნიშვნელობა შესაძლოა ჰქონდეს გადასახადების დაწვევასთან ან საერთოდ დავალიანებისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. იგივე მოქმედებს საარჩევნო კანდიდატებთან დაკავშირებული ნებისმიერი იმ ღონისძიების მიმართ, რომელიც შესაძლოა კონკრეტული საარჩევნო გადაწყვეტილების ინიცირებისთვის გამოიყენებოდეს და უფლებამოსილების მართლზომიერი განხორციელების ფარგლებში დასაშვებად მიიჩნეოდეს⁵⁰. გამომდინარე იქიდან, რომ ამას ემოციური ვალდებულების წარმოქმნა არ სდევს თან, ნორმის შემადგენლობა არ მოიცავს მცირე ღირებულების საჩუქრების წინასწარ დარიგებას (მაგ. საწერი კალმები; ბუშტები) ე.წ. „ქუჩის საარჩევნო ბრძოლაში“⁵¹. ამ შემთხვევაში „სოციალური ადეკვატურობის“⁵² თვალსაზრისით არაა სამართლებრივი ჩარევა აუცილებელი. და ბოლოს, ნორმის შემადგენლობა არ მოიცავს საჭაროდ ფულის დაპირებას არჩევნებში მხოლოდ მონაწილეობის მიღების სანაცვლოდ, ვინაიდან აღნიშნულს თან არ ახლავს საკმარისი მოლოდინი იმის თაობაზე, რომ ამომრჩევლები ხმას მაინცდამაინც კონკრეტულ სუბიექტებს მისცემენ⁵³.

V. პროცესუალური საკითხები

სისხლის სამართლის პროცესში დროდადრო ისმის კითხვა, წარმოდგენილი კონკრეტული ღონისძიებები არის თუ არა დასაშვები ან არსებობს თუ არა საფუძველი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

49 *Müller* (Fn. 9), § 108 Rn. 6.

50 *Kargl* (Fn. 10), § 108b Rn. 3.

51 *Bauer/Gmel* (Fn. 18), § 108b Rn. 2; *Müller* (Fn. 9), § 108 Rn. 6; შვაბი დიასახლისებისთვის სამზარეულოს დასაჭრელი ხის დაფების დარიგების თაობაზე იხ. BVerfGE 21, 196 ff.

52 Hierfür *Anders/Mavany* (Fn. 10), § 108b Rn. 3; *Eser* (Fn. 8), § 108b Rn. 2; *Fischer* (Fn. 31), § 108b Rn. 3; *Vogler* (Fn. 39), § 108b Rn. 4.

53 *Fischer* (Fn. 31), § 108b Rn. 2.

გამოძიების ფარგლებში პირად დღიურში განხორციელებული ჩანაწერების ჩამორთმევა, პირად ცხოვრებაში ჩარევის ხარისხის გამო არათანაზომიერია, თუკი გამოსაძიებელი დანაშაულის კატეგორია გადაცდომას მიეკუთვნება და იგი მძიმე კრიმინალად არ მიიჩნევა⁵⁴. შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიებები დაიშვება მხოლოდ არჩევნებისათვის ხელის შეშლის ან ამომრჩევლის იძულების განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებისას (გსსკ-ის § 107, 108).

გსსკ-ის § 107-108-ში მოცემულ დანაშაულებზე სისხლის სამართალწარმოებისას შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს ამომრჩევლის მიერ მიცემული ხმის შინაარსის თაობაზე მტკიცებულების წარმოდგენის საკითხი. თუმცა, ამ დროს, მტკიცებულების ამოღების აკრძალვის საკითხი წამოიჭრება⁵⁵, ვინაიდან საარჩევნო საილუმლოს მიმართ კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის მექანიზმი მოქმედებს (ბუნდესტაგის არჩევნებთან დაკავშირებით იხ. გერმანიის ძირითადი კანონის 38-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადება). ამას რომ ასე ფართოდ მივუდგეთ, მივიღებთ აბსურდულ მდგომარეობას და სისხლისსამართლებრივი ნორმების არსებობას აზრი დაეკარგება. აქედან გამომდინარე, გაბატონებული შეხედულების თანახმად, სამართალმა აირჩია შუალედური გზა და ამომრჩევლებს მიანიჭა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის არა ყოვლისმომცველი⁵⁶, არამედ ხმის მიცემის შინაარსთან დაკავშირებით ცალკეული ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის უფლება⁵⁷.

VI. საარჩევნო უფლების დაკარგვა (გსსკ-ის § 108c)

თუკი დამნაშავეს გსსკ-ის § 107, 107a, 108 ან 108b-ს შესაბამისად დაეკისრება თავისუფლების აღკვეთა მინიმუმ ექვსი თვის ვადით, გსსკ-ის 108c-ის მიხედვით, სასამართლომ შესაძლოა დამატებითი სანქციის სახით მას ჩამოართვას არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლება (პასიუ-

54 Zu § 107a StGB VerfGH Berlin NJW 2004, 593.

55 აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. *Böckenförde*, NJW 1967, 239.

56 *Tiedemann*, NJW 1967, 1013, 1014; ეთანხმება: *Bauer/Gmel* (Fn. 18), § 107c Rn. 4; *Härtl* (Fn. 12), S. 258 ff.

57 იხ. *Müller* (Fn. 9), § 107c Rn. 7; ღიად იქნა დატოვებული: BGHSt 29, 380, 386.

რი საარჩევნო უფლება, § 45, მეორე აბზაცი) და არჩევნებში ხმის მიცემის უფლება (აქტიური საარჩევნო უფლება § 45, მეხუთე აბზაცი). სასამართლოს შეუძლია ამ უფლებების ცალ-ცალკე ჩამორთმევა⁵⁸. გაბატონებული შეხედულების თანახმად, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დამატებით სასჯელთან, რომლებიც „ოპტიკური საფუძვლებიდან გამომდინარე“⁵⁹ შეგვიძლია დანაშაულის გვერდით შედეგებად მოვიხსენიოთ. მათი დანიშვნისას (მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 5 წლის ვადით) სასჯელის შეფარდების ზოგადი წესები გამოიყენება. სახელწოდებაზე დავა მიმდინარეობს იმის გამო, რომ არ არსებობს ერთიანი მოსაზრება იმის შესახებ, საერთოდ უნდა გამოიყენებოდეს თუ არა ამგვარი სანქციები⁶⁰. ჩვენი მოსაზრებით, აღნიშნულის სასარგებლოდ მეტყველებს სწორედ ის გარემოება, რომ საზოგადოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, სრულიად სამართლიანია მძიმე საარჩევნო დანაშაულის ჩამდენ პირს გარკვეული დროით ჩამოერთვას საარჩევნო უფლება. მას ამით ეზღუდება საარჩევნო დანაშაულების ჩადენის შესაძლებლობა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკაში საარჩევნო უფლების ჩამორთმევა დიდად რელევანტური არ არის.

VII. დასკვნები

1. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო დანაშაულების პრაქტიკული მნიშვნელობა ფუნქციონირებად დემოკრატიაში მცირეა, მათზე უარის თქმა გამორიცხებულია.
2. გერმანული საარჩევნო დანაშაულები თანმიმდევრულად იცავენ მხოლოდ საყოველთაო არჩევნებსა და საყოველთაო გამოკითხვებს. არაპირდაპირი არჩევნებისა და საყოველთაო გამოკითხვების მანიპულაციებისგან დაცვა სხვა გზით უნდა განხორციელდეს. სხვა საჯარო დაწესებულებებში მიმდინარე არჩევნებიდან მხოლოდ სოციალური დაზღვევის არჩევნები ექცევა სისხლისსამართლებრივი დაცვის ქვეშ.

58 *Kühl* (Fn. 38), § 108c Rn. 1.

59 *Bauer/Gmel* (Fn. 18), § 180c Rn. 1; *Kühl* (Fn. 38), § 45 Rn. 3.

60 *Kühl* (Fn. 38), § 45 Rn. 6.

ამდენად, სასურველია სისხლისსამართლებრივი შემაღვენლობების სხვა სფეროებზე განვრცობაც.

3. საარჩევნო დანაშაულები იცავენ ზოგად და იმავდროულად ინდივიდუალურ ინტერესებს, ვინაიდან ისინი როგორც არჩევნებისა და საყოველთაო გამოკითხვების, ასევე არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირების გადანწყვეტილების თავისუფლებასა და ობიექტურობას ემსახურებიან.
4. გსსკ-ის §§ 107-108b საკმარისად იცავენ მინიმუმ მათი შემაღვენლობის ქვეშ მოქცეულ არჩევნებსა და საყოველთაო გამოკითხვებს გაყალბებისგან, იძულებისგან, მოტყუებისგან, კორუფციისა და საარჩევნო უფლების საიდუმლოების დარღვევისგან.
5. ე.წ. Fake News-ებს და Social Bots-ებს, ცრუ საარჩევნო პროპაგანდასა და საექვო პოლიტიკურ დაპირებებს სამართალი დღეის მდგომარეობით ვერ უმკლავდება.

სატრანსპორტო დანაშაულები და ბრალის პრინციპი გერმანიაში

პროფ. ინგვე გიოკენიანი, ბოხუმის რურის უნივერსიტეტი

I. შესავალი

წინამდებარე სტატიის სათაურში სატრანსპორტო დანაშაულებისა და ბრალეულობის პრინციპის სახით წარმოდგენილია ერთდროულად ორი ძალიან მნიშვნელოვანი თემა, რომლებიც თავიანთი შეხების წერტილებიდან გამომდინარე მრავალმხრივ კითხვებს ბადებენ. წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ საკითხების ურთიერთმიმართებას ეხება. პირველ რიგში, ნაშრომი მიმოიხილავს ბრალის პრინციპის გერმანულ სამართალში არსებულ გაგებას (II), რითაც, თავის მხრივ, საქართველოში არსებულ სამართლებრივ მდგომარეობასთან შედარების შესაძლებლობაც მოგვეცემა. აღნიშნულს თან მოჰყვება სატრანსპორტო დანაშაულების ზოგადი მიმოხილვა (III) და საბოლოოდ, ყურადღებას გვაგამახვილებთ გაუფრთხილებლობასთან დაკავშირებით არსებულ სპეციფიკურ პრობლემებზე (IV).

თემატიკის უკეთ წარმოსაჩინად აუცილებელია შესავალშივე განხილულ იქნას ბერლინის ე.წ. „Raser-Fall“¹-ის სახელით ცნობილი შემთხვევა, რომელმაც გერმანულ მედიაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ხსენებული საქმე ნათლად წარმოაჩინს როგორც ბრალის პრინციპის, ისე სატრანსპორტო დანაშაულების მნიშვნელობას.

2016 წელს ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა ქ. ბერლინში შუალამისას სპონტანურად გადაწყვიტა, რომ თავიანთი სწრაფმავალი ავტომანქან-

1 საქმესთან დაკავშირებით შეად. ბერლინის მიწის სასამართლოს 2017 წლის 27 თებერვლის პირველი გადაწყვეტილება NStZ 2017, 471, გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება, BGHSt 63, 88 და ასევე ბერლინის მიწის სრულიად ახალი (ჯერ კიდევ სამართლებრივი ძალის არმქონე) 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთება ჯერჯერობით არ არის წარმოდგენილი).

ბის მეშვეობით მოეწყოთ არალეგალური ავტორბოლა და დაახლოებით 170 კმ/სთ სიჩქარით ემართათ ავტომანქანები ქ. ბერლინის ცენტრში. გამართული რბოლისას სიჩქარის შემცირების გარეშე მათ გადაკვეთეს არაერთი წითელი შუქნიშანი. მძღოლებიდან ერთ-ერთი შეეჯახა წესების დაცვით მოძრავ სხვა ავტომანქანას, რომელში მჯდარი 69 წლის ასაკის მძღოლი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

მოგვიანებით მიმდინარე სისხლის სამართალწარმოებისას ბერლინის მიწის სასამართლოს ისეთ რთულ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი, როგორიცაა: გააჩნდათ თუ არა განსასჯელებს - მინიმუმ არაპირდაპირი – განზრახვა მკვლელობასთან მიმართებით. მაშინ როდესაც, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში: გსსკ) § 222-ის მიხედვით მაქსიმუმ 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით შესაძლოა დაისაჯოს, მკვლელობის განზრახვის არსებობის შემთხვევაში სახეზე გვექნება განზრახი მკვლელობა, რომელიც გსსკ-ის § 212-ის მიხედვით მინიმუმ ხუთი წლით, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში კი უვადო თავისუფლების აღკვეთით ისჯება. თუკი განზრახ მკვლელობასთან ერთად სახეზე გვაქვს მკვლელობის ისეთი ნიშანი, როგორიცაა საყოველთაო საშიშროება, მაშასადამე, დამნაშავის კონტროლქვეშ ვერმოქცევადი საშუალებების გამოყენება, გსსკ-ის § 211-ის მიხედვით სამართლებრივ შედეგს აუცილებლად წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთა სიცოცხლის ბოლომდე.

ბერლინის მიწის სასამართლო 2017 წლის თებერვალში მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განსასჯელებმა სხვა საგზაო მომხმარებლების სიკვდილი „შინაგანად დასაშვებად მიიჩნიეს“, რაც სასამართლო პრაქტიკის მიხედვით არაპირდაპირი განზრახვის არსებობისთვის სრულიად საკმარისია². ამასთანავე, მათი ქმედება საყოველთაოდ საშიში საშუალებებით ჩადენილი მკვლელობის ნიშნებს შეიცავდა³. გამომდინარე აქედან, სასამართლომ 2017 წელს ორივე მათგანის მიმართ დაადგინა თანაამსრულებლობით ჩადენილი მკვლელობა (გსსკ-ის § 211) ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელ ჯანმრთელობის დაზიანებასა (გსსკ-ის §§ 223 1-ელი აბზაცი, 224 1-ლი აბზაცი

2 LG Berlin NStZ 2017, 471, 473 ff

3 LG Berlin NStZ 2017, 471, 477.

მე-2 და მე-5 ნაწილები) და საგზაო მოძრაობისთვის განზრახ საფრთხის შექმნასთან (გსსკ-ის § 315ც პირველი აბზაცის მეორე ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები) ერთობლიობაში (გსსკ-ის § 52) და ორივე განსასჯელს მიუსაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა⁴. აღნიშნული გადაწყვეტილებით, გერმანიის მასშტაბით, პირველად დადგინდა ასეთი სასჯელი ავტორბოლის შედეგად დამდგარი სასიკვდილო შედეგის გამო. მსგავსი შემთხვევების არსებობისას სასამართლოები, გარდა მძღოლის მხრიდან სუიციდის განზრახვის არსებობისა, აქამდე მკვლევლობის განზრახვის არსებობას უარყოფდნენ, ვინაიდან მიიჩნევდნენ, რომ განსასჯელი იმ იმედით მოქმედებდა, რომ არაფერი არ მოხდებოდა, საკუთარ სიცოცხლეზე ზრუნვის სურვილიდან გამომდინარე.

მსჯავრდებულების მხრიდან სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ შეამოწმა ზემოხსენებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში იყო თუ არა სამართლებრივი შეცდომა დაშვებული და დაადგინა ნაკლოვანებები ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას, არაპირდაპირი განზრახვისა და თანაამსრულებლობის საკითხების დასაბუთებისას. შესაბამისად, ბერლინის მიწის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2018 წლის მარტში გაუქმებულ იქნა და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა ბერლინის მიწის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სხვა პალატას⁵.

ბერლინის მიწის სასამართლომ მის მიერ 2019 წლის მარტში მიღებულ ხელახალ გადაწყვეტილებაში კვლავ დაადასტურა მსჯავრდებულთა მხრიდან სიცოცხლის მოსპობის განზრახვის არსებობის საკითხი და უფრო მეტიც, მკვლევლობის კიდევ ორი დამატებითი ნიშნის (გერაცობა და მდაბიო მოტივები) არსებობასაც მიემხრო⁶. შესაბამისად, სასამართლომ განსასჯელებს ერთობლივად ჩადენილი მკვლევლობის გამო დანაშაულის ერთობლიობით სხეულის საშიშ დამიანებასა და საგზაო უსაფრთხოებისათვის განზრახ საფრთხის შექმნისთვის, კვლავ უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განსასჯელების მხრიდან აღნიშნული

4 LG Berlin NStZ 2017, 471, 473 ff.

5 BGHSt 63, 88.

6 Urteil des LG Berlin vom 26. März 2019 – 532 Ks 9/18.

გადანწყვეტილება ხელმეორედ იქნა გასაჩივრებული. სწორედ ამიტომ, სასამართლო გადანწყვეტილებას ჯერ კიდევ არ გააჩნია სამართლებრივი ძალა. შესაბამისად, დისკუსია (არაპირდაპირი) განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გამიჯვნის თაობაზე კიდევ დიდხანს დარჩება ღიად⁷.

ზემოხსენებული საქმე წინამდებარე სტატიიში განსახილველ თემებთან მიმართებით ორმაგად არის მნიშვნელოვანი: პირველ რიგში, იგი ნათელს ჰფენს იმას, რომ სწორედ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობასა და მკვლელობას შორის რთულ გამიჯვნაზე არის დამოკიდებული (კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულ) დანაშაულის უმართლობისა და ბრალის შინაარსის დადგენა. გარდა ამისა, იგი გვიჩვენებს, რომ ნორმების ფართო სპექტრი, რომელთა მეშვეობითაც ფასდება სატრანსპორტო დანაშაულები, მოიცავს არა მხოლოდ სპეციფიკურ სატრანსპორტო შემადგენლობებს, არამედ მძიმე გადაცდომების შემთხვევაში ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის შესახებ ნორმებსაც.

II. ბრალის პრინციპი გერმანულ სისხლის სამართალში

1. ბრალის პრინციპი, როგორც სახელმწიფოს მხრიდან დასჯადობის საფუძველი და ამავდროულად მისი ფარგლები

ბრალის პრინციპი გერმანული სისხლის სამართლის სისტემის ერთ-ერთ მთავარ ფუნდამენტს წარმოადგენს. მისი არსებობა ნებისმიერი სასჯელის წინაპირობაა („nulla poena sine culpa“)⁸. შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგებო ქმედება მხოლოდ მაშინაა დასჯადი, როცა ის ბრალეული პირის მიერაა ჩადენილი, ანუ მას პერსონალურადაც შეეარაცხება. სასჯელი არ წარმოადგენს ღირებულებებთან მიმართებით ინდიფერენტული

7 განხილულ საქმეზე მკვლელობის არაპირდაპირი განზრახვის არსებობის დასაშვებობასთან დაკავშირებით იხ. *Kubiciel/Hoven*, NStZ 2017, 439; აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ *Jäger*, JA 2017, 786; *Momsen*, KriPoZ 2018, 76; *Sasse*, NJW 2017, 387; *T. Walter*, NJW 2017, 1350, sowie *ders.*, NStZ 2018, 412 (Anm. zu BGHSt 63, 88).

8 BVerfGE 9, 167, 169; 20, 323, 331; 45, 187, 228; 90, 145, 173; 120, 224, 241; 123, 267, 413; 133, 168, 197; BGHSt 2, 194, 200; 10, 259, 262.

დამოკიდებულების მქონე უბრალო რეაქციას ადამიანურ ქმედებაზე, არამედ, ის მჭიდროდ არის დაკავშირებული გაკიცხვასთან, სოციალურ-ეთიკურ ცენზურასთან⁹. ამგვარი სახის გაკიცხვა ლეგიტიმური მხოლოდ მაშინაა, როდესაც დამნაშავე უპირისპირდება სამართლებრივად დადგენილ ვალდებულებებს და ამაზე ინდივიდუალურად არის პასუხისმგებელი¹⁰. წმინდა სახის პასუხისმგებლობის დადგენა შედეგის მიმართ ბრალის არსებობის გარეშე – თითქოსდა პასუხისმგებლობის ალების ვალდებულებაზე დაყრდნობით, მხოლოდ კაუზალური, მაგრამ არაბრალეულად გამოწვეული საბიანო შედეგისათვის – არასწორი იქნებოდა. მაშასადამე, ბრალი წარმოდგენს სასჯელის დადგენის წინაპირობას; ამ ფუნქციის გამო ის სასჯელის დამაფუძნებელ ბრალად იწოდება¹¹.

სწორედ ბრალეულობის პრინციპიდან გამომდინარეობს ასევე ის ფაქტი, რომ დანაშაულის შემადგენლობა და სამართლებრივი შედეგი ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. აუცილებელია, რომ სასჯელი სამართლიან ურთიერთკავშირში იყოს დანაშაულის სიმძიმესა და დამნაშავის ბრალეულობასთან. ამ თვალსაზრისით, სასჯელს ბრალის სამართლიანი გათანაბრება ევალება. ბრალი უნდა გაიზომოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და შემდგომ განსაზღვრული ოდენობის სასჯელში აისახოს. მაშასადამე, შეგვიძლია სასჯელის განმსაზღვრელ ბრალზეც ვისაუბროთ¹².

კანონიერების პრინციპისაგან განსხვავებით, (გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მეორე აბზაცი) ბრალის პრინციპი გერმანიის ძირითად კანონში გამოკვეთილად არ არის წარმოდგენილი. თუმცა, იგი კონსტიტუციურ რანგში არის აყვანილი ადამიანის ღირსების დაცვიდან (გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი აბზაცი), ძირითადი უფლებებიდან და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე (გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის შესამე აბზაცი და 28-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადება)¹³. აღნიშ-

9 *Eisele*, in: Schönke/Schröder, 30. Aufl. 2019, Vor §§ 13 ff. Rn. 103/104 m.w.N.

10 ბევრისაგან განსხვავებით იხ. *Eisele* (Fn. 9), Vor §§ 13 ff. Rn. 103/104 m.w.N.; *Rengier*, Strafrecht Allgemeiner Teil, 10. Aufl. 2018, § 24 Rn. 1.

11 შეად. *Eisele* (Fn. 9), Vor §§ 13 ff. Rn. 111; *Roxin*, Strafrecht Allgemeiner Teil I, 4. Aufl. 2006, § 19 Rn. 54.

12 *Eisele* (Fn. 9), Vor §§ 13 ff. Rn. 112; *Roxin* (Fn. 11), § 19 Rn. 54.

13 BVerfGE 20, 323, 331; 57, 250, 275; 90, 145, 173; 123, 267, 413; 133, 168, 197.

ნულზე დაყრდობით, იგი ექვემდებარება გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მესამე აბზაცში მოცემულ ე.წ. მუდმივობის გარანტიას¹⁴.

ბრალის პრინციპს საფუძვლად ედება – როგორც ამას ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მუდამ ხაზგასმით აღნიშნავს – ადამიანების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის არსებობა. აღნიშნულის მიხედვით, ადამიანი თავად განსაზღვრავს საკუთარ ქმედებას და ნების თავისუფლების საფუძველზე თვითონ აკეთებს არჩევანს სამართალსა და უმართლობას შორის¹⁵. აღნიშნულ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ იურიდიულ შეხედულებას, ადამიანის სურვილისა და გადაწყვეტილების თავისუფლების არსებობის დაშვებას, ახალი ნეირომცენიერული დასკვნები სულ უფრო და უფრო მეტი გამოწვევის წინაშე აყენებს¹⁶. წინამდებარე ნაშრომი, რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის გაკეთებას, არ აცხადებს პრეტენზიას რაიმე ახალი წვლილი შეიტანოს გემო-აღნიშნულთან დაკავშირებით დღეის მდგომარეობით არსებული დავის გადაწყვეტაში. თუმცა, უფლებას ვიტოვებთ აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება უმეტესწილად ბრალის ნორმატიულ ცნებას ეყრდნობა და არ ეხება ეგზისტენციალური მეცნიერებით გადაწყვეტელ პრობლემებს¹⁷. უდავო სოციალურ რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადამიანს აქვს უნარი მიმართოს საკუთარი გადაწყვეტილებები სოციალ-ეთიკური მსოფლმხედველობისა და წესების შესაბამისად. აღნიშნული გაგების საფუძველზე, ბრალს შეგვიძლია ვუწოდოთ მაგ. „უმართლო ქმედება ნორმატიული ანგარიშვალდებულების მიუხედავად“¹⁸. მაშასადამე, საქმე ეხება ნორმატიულ მიდგომას, რომელიც უფრო მეტად მისაღებია, ვიდრე ადამიანის ხატება, რომელსაც ეყრდნობა სამართლებრივი წესრიგი. მიდგომას, რომელიც ღირებულებით გადაწყვეტილებას წარმოადგენს და არა ემპირიულად გადასინჯვად ჰიპოთეზას¹⁹.

14 BVerfGE 123, 267, 413.

15 BVerfGE 45, 187, 227; 123, 267, 413; 133, 168, 197; ასევე BGHSt 2, 194, 200 f.; 10, 259, 262.

16 შეად. მხოლოდ *Eisele* (Fn. 9), Vor §§ 13 ff. Rn. 110a m.w.N.

17 ბრალის ფსიქოლოგიური ცნებიდან ნორმატიულ ცნებამდე განვითარების თაობაზე იხ. *Roxin* (Fn. 11), § 19 Rn. 10 ff.

18 So *Roxin* (Fn. 11), § 19 Rn. 36 ff.; *ders.*, ZStW 96 (1984), 641, 650 ff.; *ders.*, GA 2015, 489.

19 *Baumann/Weber/Mitschl Eisele*, Strafrecht Allgemeiner Teil, 12. Aufl. 2016, § 16 Rn. 24; *Eisele* (Fn. 9), Vor §§ 13 ff. Rn. 110.

2. ბრალუნარიანობა

ბრალეული ქმედების წინაპირობას ბრალუნარიანობა წარმოადგენს. სრულწლოვანი პირების შემთხვევაში, ბრალუნარიანობა ნორმატიულად ივარაუდება; საკანონმდებლო დონეზე განმარტებულია მხოლოდ გამო-ნაკლისები ნორმიდან და მათი წინაპირობები. გსსკ-ის § 19-ის მიხედვით, უდავო პრეზუმფციას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნებისმიერი ბავშვი 14 წელს ქვემოთ უდანაშაულოდ ითვლება, მისი მომწიფების ხარისხის მიუხედავად. რაც შეეხება არასრულწლოვნებს, მაშასადამე პირებს, რომლებიც მინიმუმ 14 წლის არიან, თუმცა არ მიუღწევიათ 18 წლის ასაკისათვის, მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია მათ მორალურ და სულიერ განვითარებაზე (არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ კანონის §3-ის პირველი წინადადება). ყველა სხვა პირი ბრალუნარიანია, თუკი დანაშაულის განხორციელების მომენტში გამო-ნაკლისის სახით სახეზე არ გვაქვს სულიერი აშლილობა გსსკ-ის § 20-ის გაგებით. ამგვარად, ისეთი ფსიქიკური დაავადებები, როგორცაა მაგ. შიზოფრენია, დამნაშავეს ართმევენ საკუთარი ქცევის მართვისა და შეფასების უნარს, რასაც თავისთავად ბრალუნარობამდე მივყავართ²⁰. თუკი ნაკლოვანება ბრალეულობას მთლიანად კი არ გამოორიცხავს, არამედ ამცირებს, მაშინ გსსკ-ის § 21-ის მიხედვით, ბრალის ფაქტობრივ შემსუბუქებასთან გვაქვს საქმე.

ბრალის გამომრიცხავი ან შემამსუბუქებელი გარემოება შესაძლოა ალკოჰოლით ან ნარკოტიკით გამოწვეულ გაბრუებაშიც აისახოს; როგორც ცნობილია, ამგვარი შემთხვევები სატრანსპორტო დანაშაულები-სათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სისხლში ალკოჰოლის ოდენობის შემცველობის მკაცრად განერილი კონკრეტული ზღვარი, რომელიც ბრალეულობის შემცირების ან გამორიცხვის საფუძველს წარმოადგენს, არ არსებობს. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნებისმიერი ადამიანი ინდივიდუალურად რეაგირებს ალკოჰოლის მი-ღებაზე²¹. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკამ დაამკვიდრა სის-

20 ბრალეულობაზე ფსიქოლოგიური მიზეზების შესაძლო გავლენის შესახებ შეად. *Fischer, StGB*, 66. Aufl. 2019, § 20 Rn. 6 ff.

21 BGHSt 43, 66; BGH NJW 1998, 3427; BGH NSZ 1997, 591; NSZ 2000, 193; NSZ

ხლში ალკოჰოლის შემცველობის კონკრეტული ოდენობა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას მტკიცებისათვის²². 3.0%-იდან, როგორც წესი, აუცილებელია შევამოწმოთ სახეზე ხომ არ არის ბრალის გამომრიცხავი სიმთვრალის მდგომარეობა²³; სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული მძიმე ძალადობრივი დანაშაულების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი გადასალახი დაბრკოლებების გათვალისწინებით იზრდება 3.3%-მდე²⁴. 2.0%-დან, ხშირ შემთხვევაში, ბრალის შემსუბუქების წინაპირობების არსებობა უნდა შემოწმდეს²⁵; ამ შემთხვევაშიც, სიცოცხლის წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმებისას მაჩვენებელი 2.2%-ითაა დადგენილი და შესაბამისად, უფრო მაღალია²⁶. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო პრაქტიკა ალკოჰოლის საფუძველზე საკუთარი ქცევის მართვისა და შეფასების უნარის შეზღუდვის შემთხვევაში უარყოფს სასჯელის შემცირებას გსსკ-ის § 21-ის მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავემ სიმთვრალის მდგომარეობაში ბრალეულად თავად ჩაიყენა თავი²⁷. თუკი სისხლში ალკოჰოლის შემცველობის ოდენობის ზუსტი დადგენა შეუძლებელია, მაშინ ბრალუწარაიანობის შეფასებისათვის აუცილებელია in dubio pro reo პრინციპის მიხედვით შეფასებისას შედარებით უფრო დიდ ოდენობას დავეყრდნობ²⁸.

დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის ბრალუწარაიანო დამნაშავე არ შეიძლება დაისაჯოს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემდეგ. თუმცა, გამონაკლისია ე. წ. actio libera in causa-ს შემთხვევები. საკანონმდებლო დონეზე არარეგლამენტირებული ამ სამართლებრივი ფიგურის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედება, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის ბრალუწარაიანობის არარსებობისა, შესაძლოა პირს ბრალეულად შეერაცხოს. ამ დროს

2002, 532; NStZ 2005, 329; NStZ 2015, 634; BGH NStZ-RR 2016, 102.

22 დაწვრ. შუად. Fischer (Fn. 20), § 20 Rn. 19 ff.

23 BGHR StGB § 20 BAK 20; BGH NStZ-RR 2013, 272

24 BGH NStZ 1991, 126, 127.

25 BGHSt 37, 231, 234 f.; BGH NStZ 1992, 78; NStZ-RR 2008, 105.

26 BGHSt 37, 231, 235; BGH StV 1995, 407.

27 St. Rspr., BGHSt 34, 29, 33; 43, 66, 78; BGH NStZ-RR 1997, 163, 165; BGH NStZ 1993, 537; 2003, 480; 2004, 678.

28 Streng, in: MüKo StGB, 3. Aufl. 2017, § 20 Rn. 30 und 72.

დამნაშავე ბრალის გამომრიცხავი გარემოების ინიცირებას თავად ახდენს განზრახ, რათა შემდგომში ჩაიდინოს დანაშაული (განზრახი *actio libera in causa*) ან/და როდესაც იგი როგორც ბრალუუნარობის, ასევე მისი თანმდევი დანაშაულის ჩადენისადმი გაუფრთხილებლობით მოქმედებს (გაუფრთხილებელი *actio libera in causa*)²⁹.

აღნიშნულ სამართლებრივ ინსტიტუტზე მსჯელობისას რამდენიმე მიდგომა განიხილება³⁰; აქ საკმარისია მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მისი კონსტიტუციურობის საკითხი, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მეორე აბზაცში მოცემულ სასჯელის დამამძიმებელი ჩვეულებითი სამართლის აკრძალვასთან მიმართებით (*nullum crimen, nulla poena sine lege scripta*), დიდ კითხვის ნიშანს აჩენს³¹. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შერაცხვა *actio libera in causa*-ს შესაბამისად, მინიმუმ იმ შემთხვევებშია გამორიცხული, როცა კანონი თავად აღწერს განსაზღვრულ წინაპირობებს (მაგ. გსსკ-ის § 315c, 316-ში მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა) – ნებისმიერ შემთხვევაში ასეთ დროს არ შეიძლება საკუთარი თავის დათრობაში დანაშაულებრივი ქმედება დაგინახოთ³².

გსსკ-ის §323a-ში მოცემული პათოლოგიური სიმთვრალე ერთ-ერთ განზოგადებას წარმოადგენს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, უნდა დაისაჯოს პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ალკოჰოლური სასმელების ან თრობის სხვაგვარი საშუალებების გამოყენებით თავს იყენებს ბრალუუნარო მდგომარეობაში და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ახორციელებს. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული გაბატონებული შეხედულების თანახმად, წარმოადგენს ე.წ. სისხლისსამართლებრივი დასჯადობის წინაპირობას³³. დანაშაულის შემადგენლობაში აღწერილი უმართლობა ამ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი თავის დათრობაში აისახება და საქმე გვაქვს ე.წ. აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთან³⁴.

29 ამასთან დაკავშ. იხ. *Perron/Weißer* (Fn. 9), § 20 Rn. 36 und 38.

30 ზოგადი მიმოხილვისათვის იხ. *Perron/Weißer*, (Fn. 9), § 20 Rn. 33 ff.

31 ამავე მოსაზრებას ეხმარება *Perron/Weißer* (Fn. 9), § 20 Rn. 35 ff.

32 BGHSt 42, 235, 238 ff.

33 *Fischer* (Fn. 20), § 323a Rn. 17 m.w.N.

34 *Fischer* (Fn. 20), § 323a Rn. 2

აუცილებელია აღიარებულ იქნას, რომ სიმთვრალის ნებისმიერი მდგომარეობა ქმნის გარკვეულ საფრთხეს, რომელიც სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიმყენებელ ქმედებებში შესაძლოა აისახოს. თუმცა, ყველა შემთხვევაში არ არის მარტივი, საკუთარი თავის დათრობაში, როგორც ასეთში – ვგულისხმობთ სიმთვრალეში კონკრეტულად განხორციელებული ქმედების გათვალისწინების გარეშე – დასჯადი უმართლობის დანახვა. ამასთანავე, როდესაც სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული პათოლოგიური სიმთვრალის უმართლობაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს (და აღნიშნულს იგი ახდენს არამხოლოდ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის სასჯელის ფარგლებს განსაზღვრის მიმართ (გსსკ § 323a, მეორე აბზაცი), მაშინ შესაძლოა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული აღარ განვიხილოთ, როგორც ბრალეულობისათვის არარელევანტური ობიექტური დასჯადობის წინაპირობა³⁵. ჩვენი მოსაზრებით, ეს დილემა, *de lege lata*, შეუძლებელია, რომ გადაწყდეს.

3. ბრალის სხვა წინაპირობები

ბრალი, ამასთანავე, შეიძლება აღინეროს, როგორც დანაშაულის მიკუთვნებადობა მასში გამოხატულ სამართლებრივად მიუღებელ პოზიციასთან. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ დამნაშავემ ქმედების სამართლებრივი აკრძალვა უნდა იცოდეს. ამ უმართლობის შეცნობადობის არსებობა სწორედ ისე, როგორც ბრალუნარიანობა, კანონის საფუძველზე ივარაუდება. თუკი დამნაშავეს თავიდან აუცილებადი შეცდომის აკრძალვის გამო არ აქვს გაცნობიერებული, რომ იგი უმართლობას სჩადის, მაშინ გსსკ-ის § 17-ის პირველი წინადადების თანახმად, ბრალი არ გვაქვს სახემე. თუკი შესაძლებელია შეცდომის თავიდან აცილება - მაგ. სამართლებრივი რჩევის მიღებით ან უკვე მრავალჯერ ციტირებული „სინდისის სათანადო დაძაბვით“³⁶, მაშასადამე, ინტენსიური ფიქრით – მაშინ არსებობს სასჯელის შემცირების შესაძლებლობა გსსკ-ის § 17-ის მეორე წინადადების შესაბამისად.

35 *Hecker* (Fn. 9), § 323a Rn. 1 m.w.N.

36 BGHSt 2, 194, 202; 9, 164, 172; 21, 18, 20; BGH NJW 2006, 2422, 2423.

კონკრეტულ დამოკიდებულებას მნიშვნელობა შესაძლოა ასევე არ მიენიჭოს მაშინ, როდესაც დამნაშავეს ქმედების ჩადენის მომენტში ამოძრავებს ისეთი განსაკუთრებული მოტივაცია, რის გამოც კანონმდებელი ითმენს მის ქმედებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეულ შემთხვევებში, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების მიუხედავად, კანონმდებლის აზრით, არ არსებობს პრევენციული დასჯის საჭიროება³⁷. უპირველეს ყოვლისა, შესაძლოა ეს იყოს გსსკ-ის § 35-ით გათვალისწინებული საპატიო უკიდურესი აუცილებლობა ან გსსკ-ის § 33-ით დადგენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადამეტება; აღნიშნული ნორმები ბრალის გამომრიცხავ გარემოებებად მიიჩნევა³⁸.

4. ბრალის ფორმები

როგორც შესავალში უკვე აღინიშნა, ბრალი წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედების შემადგენლობის დასჯადობის წინაპირობას. ამავდროულად, ბრალის შინაარსი განისაზღვრება უმართლობის ხარისხის მიხედვით და მისი ნებისმიერი ზრდა თუ შემცირება არაპირდაპირ მოქმედებს ბრალეულობის სიმძიმეზე. მართალია, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა დღეისათვის გაბატონებული შეხედულების თანახმად, აღარ წარმოადგენენ ბრალის ელემენტებს და მათი შემოწმება ხდება, როგორც უმართლობის განხორციელების წინაპირობების,³⁹ თუმცა, რადგან უმართლობა და ბრალი ერთმანეთს ეხება, მაინც არსებობს ურთიერთკავშირი ქმედების ფორმასა და დასჯადი ქმედების ბრალის ფორმას შორის. ამგვარად, განზრახვას ან/და გაუფრთხილებლობას, როგორც ქცევის ფორმას, ასევე შეესაბამება განზრახვის ან/და გაუფრთხილებლობის ბრალი, როგორც ბრალის ფორმა⁴⁰. აღნიშ-

37 *Roxin* (Fn. 11), § 22 Rn. 6 ff.

38 გსსკ-ის § 35-ის პირველი აბზაცის პირველი წინადადებისგან განსხვავებით („მოქმედებს ბრალის გარეშე“) კანონმდებელმა სისტემატური განთავსების საკითხი ღიად დატოვა; თუმცა, გსსკ-ის § 33-სთან მიმართებაში უმეტესწილად მიიჩნევა, რომ საქმე ეხება ბრალის გამომრიცხავ გარემოებას, შეად. *Perron/Eisele* (Fn. 9), § 33 Rn. 2 m.w.N.

39 *Eisele* (Fn. 9), Vor §§ 13 ff. Rn. 52/53 ff. m.w.N

40 *Eisele* (Fn. 9), Vor §§ 13 ff. Rn. 120/121.

ნული განსაკუთრებულ როლს თამაშობს ბრალის, როგორც სასჯელის განსაზღვრის საფუძვლის შეფასებაში. კერძოდ, იგი გამოიხატება იმაში, რომ თუკი დანაშაულის შემადგენლობა გაუფრთხილებლობით განხორციელდება, იგი, როგორც წესი, ბევრად უფრო ნაკლებად ისჯება, ვიდრე დანაშაულის განზრახ ჩადენა⁴¹.

III. სატრანსპორტო დანაშაულები გერმანულ სისხლის სამართალში

კონკრეტულად თუ რა სახის სატრანსპორტო დარღვევები არსებობს და რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება მათ, გერმანიაში ერთიან დოკუმენტში არ არის კოდიფიცირებული. სათანადო ნორმები გვხვდება ისეთ საკანონმდებლო აქტებში, როგორიცაა საგზაო მოძრაობის შესახებ კანონი (StVG), დადგენილება საგზაო მოძრაობის შესახებ (StVO), წესები საგზაო მოძრაობის დასაშვებობის შესახებ (StVZO), სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონი (PflVG) და ასევე სისხლის სამართლის კოდექსი (StGB).

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

მარტივი სატრანსპორტო დარღვევები, რომელთაც თან არ მოჰყოლიათ განსაკუთრებული ზიანი, დადგენილია ისეთი სამართალდარღვევების სახით, რომლებიც არა სისხლისსამართლებრივი სასჯელით, არამედ მხოლოდ ფულადი ჯარიმით ისჯება. ამგვარ სამართალდარღვევებს მიეკუთვნება საგზაო მოძრაობის წესების წინააღმდეგ მიმართული განზრახი ან გაუფრთხილებელი ისეთი დარღვევები, როგორიცაა მაგ. დასაშვები სიჩქარის გადაჭარბება ან უპირატესი გავლის უფლებისათვის ყურადღების არმიქცევა (§ 24 StVG § 49 StVO-სთან ერთობლიობაში: 2000 ევრომდე ფულადი ჯარიმა). მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს აგრეთვე პი-

41 გამონაკლისს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების მართვა ნასვამ მდგომარეობაში გსსკ-ის § 316-ის მიხედვით, რომელიც სასჯელის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ ასხვავებს ქმედების განზრახ (პირველი აბზაცი) და გაუფრთხილებელ (მეორე აბზაცი) ჩადენას.

რი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით საგზაო მოძრაობისას მართავს ავტოსატრანსპორტო საშუალებას, მიუხედავად იმისა, რომ მის სისხლში ალკოჰოლის შემცველობის ოდენობა 0.5%-ს აღწევს ან მასზე მეტია (§ 24a StVG: 3000 ევრომდე ფულადი ჯარიმა).

2. განსაკუთრებული სატრანსპორტო დანაშაულები

მძიმე დარღვევების მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელი გამოიყენება. ასეთია მაგ. მართვის მონმობის გარეშე ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა (§ 21 StVG), ანდა პასუხისმგებლობის დაზღვევის გარეშე ავტომანქანის მართვა (§ 6 PflVG).

სისხლის სამართლის კოდექსიც შეიცავს ცალკეულ დანაშაულის შემადგენლობებს, რომლებიც ავტოსაგზაო მოძრაობის წესების სერიოზული დარღვევებისათვის სათანადო სასჯელებს ითვალისწინებენ. ამგვარად, ავტომანქანის ნასვამი მართვა წარმოადგენს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ხასიათის სამართალდარღვევას, არამედ გსსკ-ის § 316-ის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით ან ფულადი ჯარიმით ისჯება, თუ ალკოჰოლის სისხლში არსებობამ მართვის უნარი დააქვეითა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მართვის უნარის დაქვეითება, როგორც დანაშაულის შემადგენლობის წინაპირობა, სისხლში ალკოჰოლის შემცველობის 1.1% ან მეტი კონცენტრაციისას, უდავოდ იგარაუდება⁴². სისხლში ალკოჰოლის ნაკლები შემცველობის დროსაც სასამართლო პრაქტიკა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უნარის არასტაბილურობას ადგენს, თუკი ამის გარკვეული გარეგნული გამოვლინებებიც არის სახეზე⁴³. ხოლო, თუკი სხვა ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ნივთებს კონკრეტული საფრთხე შეექმნებათ, დანაშაული შესაძლოა დაკვალიფიცირდეს გსსკ-ის § 315c-ს პირველი აბზაცის მიხედვით, როგორც საგზაო მოძრაობისათვის საფრთხის შექმნა და დაისაჯოს 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი სასჯელით. 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი სასჯელით, ასევე,

42 BGHSt 37, 89; 44, 219, 222.

43 BGHSt 31, 42; 44, 219, 225.

შესაძლოა დაისაჯოს საგზაო მოძრაობაში გარედან ჩარევა, როცა აღნიშნულს კონკრეტულ საფრთხესთან მივყავართ (გსსკ-ის § 315b-ს პირველი აბზაცი).

ისეთმა ე.წ. „Raser-Fälle“-ების შემთხვევებში, როგორცაა ჩვენს მიერ შესავალში განხილული ბერლინის შემთხვევა, საჭარო დებულებები გამოიწვია. აღნიშნული დისკუსიის შედეგი ჯერ კიდევ 2017 წელს აისახა ახალი შემადგენლობის შექმნაში (გსსკ-ის § 315), რომელიც სატრანსპორტო საშუალებებით დაუშვებელ რბოლას კრძალავს⁴⁴. ბერლინის შემთხვევაზე დანაშაულის ეს ახალი შემადგენლობა, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მეორე აბზაციდან გამომდინარე უკუძალის აკრძალვის გამო, არ ვრცელდება. იმ შემთხვევაში, თუკი ნორმის გამოყენება დასაშვები იქნებოდა, სამართლებრივი შედეგი მაინც არ შეიცვლებოდა, ვინაიდან სიკვდილის გამო, მაინც სასჯელის აბსოლუტურ ოდენობასთან, უვადო თავისუფლების აღკვეთასთან გვექნებოდა საქმე.

3. ზოგადი სისხლისსამართლებრივი შემადგენლობები

ბერლინის ე. წ. „Raser-Fall“ ასევე გვიჩვენებს, რომ საგზაო უსაფრთხოების განსაკუთრებით მძიმე ფორმებით დარღვევისას ზოგადი, მაშასადამე, არამხოლოდ „საგზაო უსაფრთხოებისათვის“ შექმნილი – დანაშაულის შემადგენლობები გამოიყენება. თუკი საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეების დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევები დადგება, მაშინ მიიჩნევა, რომ ძირითადად მხოლოდ საფრთხის შემქმნელი დელიქტები გვექნება სახეზე (სხეულის გაუფრთხილებლობით დაზიანება გსსკ-ის § 229-ის შესაბამისად ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი სიცოცხლის მოსპობა გსსკ-ის § 222 შესაბამისად). მხოლოდ ბერლინის შემთხვევის მსგავსი გამონაკლისებისას ჩნდება კითხვა, საგზაო მოძრაობის მონაწილეების მიმართ (მინიმუმ პირობითად) განზრახ განხორციელდა თუ არა ქმედება. თუკი განზრახვის არსებობა დადგინდება, მაშინ სახეზეა სხეულის დაზიანება (გსსკ-ის § 223, 224 მიხედვით) ან განზრახ მკვლელობა (გსსკ-ის § 212)

44 შემოღებულ იქნა სისხლის სამართლის ცვლილების შესახებ 56-ე კანონით 2017 წლის 30 სექტემბერს, BGBl. I, S. 3532.

ან დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა (გსსკ-ის § 211).

4. განსაკუთრებული სასჯელები

სატრანსპორტო დანაშაულების შემთხვევაში, ძირითად სასჯელებთან, ფულად ჯარიმასა ან თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, ხშირად გამოიყენება ისეთი ორი სპეციფიკური სანქცია, როგორებიცაა მართვის აკრძალვა (გსსკ-ის § 44) და მართვის მოწმობის ჩამორთმევა (გსსკ-ის § 69). ორივე სასჯელს ის აქვს საერთო, რომ მათი გამოყენებით ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა შესაძლოა აიკრძალოს. თუმცა, თუკი მართვის აკრძალვა ე. წ. „ჭკუის სასწავლებელ“ მქონე სასჯელად მიიჩნევა და მის წინაპირობას ბრალის არსებობა წარმოადგენს, მართვის მოწმობის ჩამორთმევა ბრალის არსებობისაგან დამოუკიდებელი გამოსწორებისა და უსაფრთხოების ე. წ. ზოგადი წესია. ამასთანავე, ორივე სანქციას ახასიათებს მნიშვნელოვანი განსხვავებები დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტულ წინაპირობებსა და მათ სამართლებრივ შედეგებთან მიმართებაში⁴⁵.

IV. განსაკუთრებით ხაზგასასმელი: გაუფრთხილებლობა

სატრანსპორტო დანაშაულების შემთხვევაში გაუფრთხილებლობა, როგორც ქცევისა და ბრალის ფორმა განსაკუთრებულ როლს თამაშობს. გაუფრთხილებლობასთან დაკავშირებით არსებული დოგმატური სირთულეები დანაშაულის აღნიშნულ სფეროში განსაკუთრებით იჩენს თავს.

ერთი მხრივ – როგორც ეს ბერლინის შემთხვევამ ნათლად ცხადყო – მძიმე სატრანსპორტო დანაშაულებისათვის გამოწვევას წარმოადგენს (შეგნებულ) გაუფრთხილებლობასა და (არაპირდაპირ) განზრახვას შორის ზღვარის გავლება. აღნიშნული შესაძლებელია შეფასდეს, როგორც გაუფრთხილებლობის „ზემოთ“, მაშასადამე ზედა ზღვარზე აწევა. სისხლის სამართლის მეცნიერებას და ამასთანავე უმაღლეს მართლმსა-

45 შეად. დანჯრილებით *Meier*, *Strafrechtliche Sanktionen*, 4. Aufl. 2015, S. 149, 280; *Kett-Straub/Kudlich*, *Sanktionenrecht*, 1. Aufl. 2017, § 13 Rn. 3 ff., § 17 Rn. 24 ff.

ჯულებას კვლავ მოუწევს მათი ერთმანეთისაგან განცალკევების კრიტერიუმებზე, განსაკუთრებით არაპირდაპირი განზრახვის ვოლუნტატურ ელემენტზე მსჯელობა.

გარდა ამისა, ყოველდღიური დანაშაულების შემთხვევაში, რომლებთანაც საგზაო მიმოსვლისას საკმაოდ ხშირად გვაქვს შეხება, საკმაოდ რთულია, გაუფრთხილებლობისა და არდასჯადობის საზღვრების დადგენა. აღნიშული შესაძლოა შეფასდეს, როგორც გაუფრთხილებლობა „ქვემოთ“. აქ აუცილებელია არსებობდეს სხვა სამართლებრივ-დოგმატური დასაბუთებები, რათა წინდახედულობის დარღვევის წინაპირობები და წინასწარი განჭვრეტადობა კარგად განისაზღვროს და მათი სამართალში გამოყენება შევძლოთ⁴⁶.

ჩვენი მოსაზრებით, სისხლის სამართალზე დოგმატური მუშაობისას, აუცილებელია სამართალგამოყენების ფსიქოლოგიური პირობების გათვალისწინებაც. ნებისმიერ, როგორც გაუფრთხილებლობის, ასევე განზრახვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უკან დგას წინასწარი განჭვრეტადობის შეფასება ანდა რისკის აწონ-დაწონვა. თუმცა, სამართლის ნორმის გამომყენებელი აღნიშნულს ახორციელებს უკვე მაშინ, როდესაც მოვლენების განვითარებას ზიანი მოჰყვა. სოციალური ფსიქოლოგიიდან ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი ex tunc განხორციელებული შეფასება მნიშვნელოვან დამახინჯებას იწვევს (ე.წ. ქმედებისშემდგომი ხედვის შეცდომა ან *hindsight bias*)⁴⁷. შესაბამისად, აღნიშნულ სფეროში ფსიქოლოგიური და იურიდიული დასკვნები უფრო და უფრო მეტად უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს.

46 აღნიშნულთან დაკავშირებით შეად.: *Duttge* „ნაქეზების მომენტის“ საჭიროების შესახებ, in: *MüKo StGB*, 3. Aufl. 2017, § 15 Rn. 121 f.

47 აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. დეტალურად: *Goetzenjan/Oeberst*, *Recht & Psychiatrie* 2016, 27; *Oeberst/Goetzenjan*, *Psychology, Public Policy, and Law* 2016, 271.

უმოქმედობის მიზეზობრიობის გოგიერთი სადავო საპითხი სატრანსპორტო დანაშაულში

პროფ. ნონა თოდუა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში უმოქმედობის მიზეზობრიობა ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება. ამ თვალსაზრისით, არ იქნება ინტერესს მოკლებული, განვიხილოთ, თუ როგორ უნდა შეფასდეს მოძრაობის უსაფრთხოების ან ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დამრღვევი მძღოლის ქმედება, როცა იგი დახმარების გარეშე დატოვებს ავარიისაგან დაზარალებულს.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის საკითხი დგება მაშინ, როცა მძღოლის გაუფრთხილებელი ქმედება გამოიწვევს სხვა პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას (რადგან ასეთი ხარისხის დაზიანება საშიშია სიცოცხლისათვის) და იგი დახმარების გარეშე მიატოვებს დაშავებულს.¹

ლიტერატურაში ეს საკითხი რამდენიმე ვარიანტშია განხილული, რომელთაგანაც საინტერესო და სადავოა გოგიერთი მათგანი.

პირველი ვარიანტი: მძღოლმა თავისი გაუფრთხილებლობით მძიმედ დააზავა რა მოქალაქე, მიატოვა იგი დახმარების გარეშე, რადგან შეეშინდა პასუხისმგებლობის. ამავე დროს არაფერზე და არავისზე არ ამყარებდა იმედს, ვინაიდან ამ დროს შემთხვევის ადგილზე არავინ იმყოფებოდა. ამდენად, იგი უშვებდა, რომ მიყენებულ დაზიანებას (და არა მის შემდგომ უმოქმედობას) შეიძლება მოჰყოლოდა მძიმედ დაშავებულის გარდაცვალება.

მოცემულ ვითარებაში ქმედება კვალიფიცირდება სსკ-ის 276-ე მუხლის მეოთხე ნაწილითა და (მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) და განსაცდელში მიტოვებით (მუხ. 128). საქმე იმაშია რომ განსაცდელში მიტოვებისას სამარ-

1 მამულაშვილი/თოდუა, წიგნი: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, 2019, 194; თოდუა, წიგნი: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, 2017, 142-143.

თლებრივ გარანტს მოსალოდნელ შედეგთან - სიკვდილთან (რომელიც სსკ-ის 128-ე მუხლის – განსაცდელში მიტოვების გარეთაა), შესაძლოა აკავშირებდეს არა მარტო გაუფრთხილებლობა, არამედ არაპირდაპირი განზრახვაც.² ამ შემთხვევაშიც ქმედების სსკ-ის 128-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, გადარჩა თუ არა დაშავებული. ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ქმედების სსკ-ის 276-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით (მეთხე - რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, თუ მეექვსე ნაწ. - რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა) კვალიფიკაციისათვის.

საკითხავია, მაინც რატომ არ დაკვალიფიცირდება სიკვდილის დადგომის შემთხვევაში ეს ქმედება - დაშავებულის მიტოვება, როგორც მკვლევლობა, რაც ჩადენილია უმოქმედობით და არაპირდაპირი განზრახვით (მუხ. 108)?

გასაგებია, რომ სანამ არ დამდგარა სასიკვდილო შედეგი, მანამ ამ ქმედებას მკვლევლობის მცდელობით ვერ დავაკვალიფიცირებთ, რადგან მცდელობის საკითხი არაპირდაპირი განზრახვისას სადავოა და ქართულ სინამდვილეში გაბატონებული შეხედულებით, არაპირდაპირ განზრახვას იგი არ ახასიათებს.³ თუმცა, შედეგის დადგომის შემთხვევაში, რა უშლის ხელს ქმედების მკვლევლობით კვალიფიკაციას?

საქმე ისაა, რომ ასეთი კვალიფიკაცია გაუმართლებელი იქნება რამდენიმე გარემოების გამო, რომელთაგანაც ზოგიერთი არის მატერიალური, ხოლო ზოგიერთი - პროცესუალური გარემოება:

2 ამ საკითხზე იხ. *მამულაშვილი*, წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, 2019, 194.

3 არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში მცდელობის შეუძლებლობის საკითხზე იხ. *ნერეთელი*, სისხლის სამართლის პრობლემები, პირველი ტომი, 2007, 486-493; *გამყრელიძე*, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, 2013, 244-246; *მჭედლიშვილი-ჭედრიხი*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, 70-83; *მამულაშვილი*, წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, 2019, 177-188; ხოლო ამგვარ დანაშაულში მცდელობის შესაძლებლობის საკითხზე იხ. *ტურავა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2013, 310-311; *ხარანაული*, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, წიგნი II, 147-182.

- ა) სასიკვდილო შედეგი ამ შემთხვევაში უშუალოდ გამოიწვია მძღოლის მიერ გაუფრთხილებლობით ჩადენილმა ქმედებამ - მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევამ, რასაც ჯერ მოჰყვა დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, შედეგ კი – მისი სიკვდილი. ამდენად, სასიკვდილო შედეგი უშუალოდ არ გამოწვევია მძღოლის მიერ ჩადენილ უმოქმედობას – დაზარალებულის მიტოვებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა იყო ის თავდაპირველი დაზიანება, რაც მძღოლმა მიაყენა პირს თავისი გაუფრთხილებლობით (მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევით) და რომლის ბუნებრივად განვითარებამ გამოიწვია ეს შედეგი. შესაბამისად, მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა არ იყო მძღოლის უმოქმედობა (დაშავებულის განსაცდელში მიტოვება)*;
- ბ) შეუძლებელია მძღოლს დავუსაბუთოთ, რომ როცა იგი დახმარების გარეშე ტოვებდა დაზარალებულს, გაცნობიერებული ჰქონდა დაზარალებულის გადარჩენის შესაძლებლობა, თუკი მას შესაძლებლობის ფარგლებში გაუწევდა დახმარებას. სამაგიეროდ, ადვილია იმის დასაბუთება, რომ მძღოლს გაცნობიერებული ჰქონდა მიყენებული დაზიანების შედეგად სიკვდილის დადგომის შესაძლებლობა (რაც მას არ სურდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა), ასევე გაცნობიერებული ჰქონდა მისი მხრიდან დახმარების ფაქტობრივი შესაძლებლობა.

ამდენად, შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ მძღოლს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ დახმარების შემთხვევაში შეძლებდა დაშავებულის გადარჩენას. სამაგიეროდ, მოცემულ ვითარებაში ადვილად შესაძლებელი და უფრო სარწმუნოა, მძღოლს ეფიქრა, რომ სანამ სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდოდა, სანამ დაშავებულს მიიყვანდნენ საავადმყოფოში, ან მედიცინის მუშაკები შეეცდებოდნენ მის დახმარებას, დაშავებული გარდაიცვლებოდა;

- გ) ქმედების განსაცდელში მიტოვებით კვალიფიკაციისათვის არა აქვს

4 საერთოდ, თუ რატომ არაა უმოქმედობა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა, ამ საკითხზე ქვემოთ იქნება საუბარი.

მნიშვნელობა, სამართლებრივ გარანტს ჰქონდა თუ არა იმის რწმენა, რომ შეძლებდა პირის გადარჩენას. მთავარია, მან იცოდა ის, რომ დახმარება მისი შესაძლებლობის ფარგლებში იყო;

დ) განსახილველ ვარიანტში მძღოლს არ ამოძრავებდა დაზარალებულის სიკვდილის მიმართ პირდაპირი განზრახვა (არც პირველი ხარისხის და არც ე.წ. მეორე ხარისხის). ამდენად, არც სურდა ეს შედეგი და არც გაცნობიერებული ჰქონდა მისი დადგომის გარდაუვალობა.

ჩამოთვლილ მიზეზთაგან ყველაზე მთავარია პირველი მიზეზი – სასიკვდილო შედეგთან უშუალო მიზეზობრივ კავშირშია მძღოლის გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება (მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა), რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და არა მისი შემდგომი უმოქმედობა (დაზარალებულის მიტოვების ფაქტი).

ამდენად, ეს შემთხვევა არსებითად განსხვავდება ისეთი შემთხვევისაგან, როცა პირი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედებით აფუძნებს საფრთხეს, რაც იწვევს სასიკვდილო შედეგს.

მაგალითად, ხალხმრავალ ქუჩაში გასართობად გამოსულმა პეტრემ ცეცხლსასრული იარაღიდან რამდენიმე ტყვია დაუშინა ყრუ კედელს, რადროსაც ითვალისწინებდა, რომ ამ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, შეიძლებოდა მოჰყოლოდა მართლსაწინააღმდეგო შედეგი. მათ შორის სხვა პირის სიკვდილიც, რაც მას არ სურდა, მაგრამ გულგრილი იყო ასეთი შედეგის მიმართ (არაპირდაპირი განზრახვა). მართლაც, კედლიდან ასხლეთილი ერთი ტყვია მოხვდა იქვე მდგარ პირს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. სახეზეა მკვლელობა, ჩადენილი არაპირდაპირი განზრახვით. აქ პეტრეს ქმედებასა (ტყვიების სროლა ყრუ კედლის მიმართულებით) და დამდგარ შედეგს შორის უშუალო მიზეზობრივი კავშირია, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზეზობრიობის დამაფუძნებელია მის მიერ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედება (ტყვიების უმისამართო გასროლა).

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს შემდეგი: როცა მძღოლი დახმარების გარეშე ტოვებს მისი გაუფრთხილებელი ქმედებით მძიმედ დაზავებულს და არაფერზე ამყარებს იმედს, მას გაცნობიერებული ის კი არა აქვს, რომ მისი ეს უმოქმედობა გამოიწვევს სასიკვდილო შედეგს (ანუ მოქმედების

შემთხვევაში იგი შეძლებს ამ შედეგის აცილებას), არამედ ის აქვს გაცნობიერებული, რომ მიყენებული ტრავმა გამოიწვევს ასეთ შედეგს.

მეორე ვარიანტი: მძლოლმა თავისი გაუფრთხილებლობით მძიმედ დააზავა რა მოქალაქე, მივიდა მასთან დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ მოულოდნელად მასში შეიცნო მისი მტერი, რომლის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. მას გაუხარდა, რომ იგი მძიმედ დაზავებული ნახა და შეგნებულად მიატოვა დახმარების გარეშე, თუმცა მისი საავადმყოფოში წაყვანა უპრობლემოდ შეეძლო.

როგორც ვხედავთ, ამ დროს მოსალოდნელი შედეგის (სიკვდილის) მიმართ მძლოლს ამოძრავებს პირდაპირი განზრახვა (კერძოდ, ე.წ. პირველი ხარისხის), რაც გამორიცხავს მისი ქმედების კვალიფიკაციას სსკ-ის 128-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვება). ჩვენს სს-ის კოდექსში საფრთხის ამ დელიქტის არსებობის დანიშნულება ისაა, რომ სამართლებრივი შეფასების გარეშე არ დარჩეს ის შემთხვევა, როცა პირს გაცნობიერებული აქვს დაზარალებულის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა, მაგრამ მოსალოდნელი შედეგის (სიკვდილის) მიმართ არ ამოძრავებს პირდაპირი განზრახვა.⁵ მოსალოდნელი შედეგის (მაგ. სიკვდილის) მიმართ მას შეიძლება ამოძრავებდეს ან არაპირდაპირი განზრახვა, ან გაუფრთხილებლობა.

შესაბამისად, ეს შემთხვევა სსკ-ის 276-ე მუხლის მე-4 ნაწილთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით, როგორც უმოქმედობით ჩადენილი მარტივი მკვლელობის მცდელობა (და არა დამამძიმებელ გარემოებაში - წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობის მცდელობა, მუხ. 19, 109).

რატომ მარტივი მკვლელობის მცდელობით? პასუხი ასეთია:

რადგან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობა მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვლება იმდენად, რამდენადაც ამ დროს მკვლელი სარგებლობს პირის უმწეობით. კერძოდ იმით, რომ მსხვერპლს

5 ბრალის საკითხზე საფრთხის დელიქტი იხ. *წერეთელი*, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-4, 216-220; *უგრეხელიძე*, ბრალი საფრთხის დელიქტში, 1982, 12-41; *მამულაშვილი*, წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, 2019, 177-183; *ცქიტიშვილი*, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, 2015, 142-158.

არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლის გამო და მოკვლის განზრახვით, თავისი ქმედებით აფუძნებს საფრთხეს მის მიმართ, რაც იწვევს სიკვდილს. ანდა თავისი ქმედებით აჩქარებს მის სიკვდილს. მაგალითად, პეტრემ დანის გამოყენებით მოკლა ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი, რომელიც მართალია, მაინც მალე გარდაიცვლებოდა, მაგრამ არა ამჯერად. ანდა, ზემოთხსენებულმა მძღოლმა დაშავებულში ამოიციწო რა მისი მტერი, ხრამში გადააგდო იგი, რამაც მისი სიკვდილი დააჩქარა. ანდა, დამრღვევმა მძღოლმა შემთხვევის ადგილზევე იარაღის გამოყენებით მოკლა დაშავებული, რომელიც რამდენიმე საათში მაინც გარდაიცვლებოდა.

ამდენად, ამ დამამძიმებელი გარემოების გამოყენებისათვის აუცილებელია, მკვლელმა მსხვერპლის უმწეობა გამოიყენოს მკვლელობის გასაადვილებლად, რაც როგორც წესი, ხდება მოქმედებით ჩადენილი მკვლელობისას.⁶ ასეთ ვითარებას კი ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სწორედ ამიტომ აღიარებულია, რომ სახეზე არაა ეს დამამძიმებელი გარემოება მაშინ, როცა მკვლელი თავად ჩააგდებს მსხვერპლს უმწეო მდგომარეობაში (მაგალითად, შეუკრავს ხელ-ფეხს), რათა ამით გაიადვილოს მისი მოკვლა⁷.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცნობილია, რომ უმოქმედობისას სამართლებრივი გარანტიის ნება და მისი უმოქმედობა არაა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა. სწორედ ამიტომაც ეს საკითხი ლიტერატურაში სადავო და ზოგიერთი ქვეყანა (მაგ. საფრანგეთი) არ ცნობს უმოქმედობის მიზეზობრიობას.

საკითხავია, საერთოდ რატომ არაა უმოქმედობა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა? საქმე შემდეგშია:

უმოქმედობისას მიზეზობრიობას სხვა ძალა აფუძნებს და სხვა ძალა წარმართავს. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხი მხოლოდ მაშინ დგება, როცა სახეზეა სპეციალური სუბიექტი

6 ამ საკითხზე იხ. *ლევკვიძელი/თოდუა*, წიგნი: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, 2019, 55-57.

7 იხ. იქვე

- სამართლებრივი გარანტი. შესაბამისად, უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხი სისხლის სამართალში არ დგება, როცა სახეზეა საერთო სუბიექტი.

უმოქმედობა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა რომ იყოს, მაშინ მისი სუბიექტი იქნებოდა ნებისმიერი 14 წელს მიღწეული ბრალუნარიანი პირი, როგორც ამას ადგილი აქვს მოქმედების მიზეზობრიობის დროს.

ამასთანავე, უმოქმედობის მიზეზობრიობის არსებობისათვის აუცილებელია, სამართლებრივ გარანტს შეეძლოს თავისი მოვალეობის შესრულება. თუმცა, არც ესაა საკმარისი მიზეზობრივი კავშირის არსებობისათვის.

ასევე აუცილებელია დადგინდეს, რომ ამ სავალდებულები და შესაძლო ქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული (საქართველოს სსკ-ის მე-8 მ-ის მე-3 ნაწ.).

სწორედ აქ ისმის კითხვა: რომელი შედეგი იქნებოდა აცილებული? რა თქმა უნდა ის შედეგი, რისი დადგომაც უკვე იყო განპირობებული სხვა ფაქტორების ზეგავლენით, რადგან გამორიცხულია, ერთი ქმედებით (ამ შემთხვევაში უმოქმედობით) შესაძლებელი იყოს როგორც რაიმე შედეგის დაფუძნება, ისე ამავე დროს მისი თავიდან აცილება.

მაგალითად, მედიცინის მუშაკს, როგორც სამართლებრივ გარანტს, ევალუება, იზრუნოს საავადმყოფოში მიყვანილ მძიმედ დაშავებულზე. თუ იგი მას მიატოვებს აუცილებელი დახმარების გარეშე და ეს სიცოცხლის მოსპობით დამთავრდება, დადგება საკითხი მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირობის დამტკიცებისა (სავალდებულო და შესაძლო ქმედებით თუ იქნებოდა თავიდან აცილებული ის მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომლის დადგომის საფრთხე სხვა გარემოებით იყო დაფუძნებული?).

ამდენად, ეს მესამე პირობა აშკარად ხაზს უსვამს იმას, რომ დამდგარი შედეგის წარმმართველია სულ სხვა ძალა, რომლის განეიტრალება ევალუება მხოლოდ სამართლებრივ გარანტს. რაც შეეხება სისხლის სამართლის საერთო სუბიექტს, მისთვის ამ ძალების განეიტრალება არაა სამართლებრივი მოვალეობა, არამედ მხოლოდ სოლიდარული (მოქალაქეობრივი) ვალია.

ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში მიზეზობრიობის წარმართველი ძალა იყო ავარიის შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გამო ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური მოვლენები და არა მძლოლის უმოქმედობა. ამდენად, მძლოლი სიკვდილის პირას მყოფის მიმართ უმოქმედობის გამოჩენის ფაქტით არ ცდილობდა (და ვერც შეცდებოდა) დაეფუძნებინა ახალი საფრთხე და დაეჩქარებინა სასიკვდილო შედეგი - დაშავებული ისედაც იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში (ანუ სიკვდილის პირას) და აუცილებელი იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარება. შესაბამისად, მძლოლი ახალ საფრთხეს უმოქმედობით ვერც დააფუძნებდა და ვერც შექმნილ საფრთხეს აამაღლებდა. მისი კონფლიქტი სამართალთან მხოლოდ იმაში გამოვლინდა, რომ თავისი უმოქმედობით შეგნებულად ხელი არ შეუშალა საფრთხის ბუნებრივი გზით განვითარებას.

მოცემულ შემთხვევაში ახალი საფრთხის დაფუძნება ან შექმნილი საფრთხის ამაღლება შესაძლებელი იყო მხოლოდ მოქმედებით. მაგალითად, თუ დაგუშვებთ, რომ მძლოლმა დაშავებულს, რომელშიც შეიცნო მისი მტერი, დაახალა ტყვია და მოკლა (ან დაახრჩო იგი). ამ დროს სახეზეა მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში - წინასწარ შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირისა, რადგან მძლოლმა დაშავებულის მიმართ ახალი საფრთხე დააფუძნა, რომელმაც დააჩქარა ავტო-ავარიით დაზარალებული პირის სიკვდილი, რომელიც შესაძლოა, მოგვიანებით მაინც დამდგარიყო.

შესაბამისად, ამ დროს სიკვდილი დგება არა ავარიით მიყენებული დაზიანების ბუნებრივად განვითარების შედეგად, არამედ მძლოლის მიერ ახალი (და თანაც განზრახი) ქმედებით დაფუძნებული საფრთხის შედეგად, რომელმაც ამჟამად გამოიწვია სიკვდილი. აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს იმას, ასეთი შედეგი მალევე მაინც დადგებოდა თუ არა.

ამდენად, ზემოთ ხსენებულ მაგალითში, დაზარალებულის სიკვდილი ობიექტურადაც არ დაჩქარებულა. მძლოლს, როგორც სამართლებრივ გარანტს, მოცემულ ვითარებაში ევალებოდა, მიეღო ზომები სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში უკვე მყოფი პირის ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად, რაც მან მისი მოკვლის სურვილის გამო არ გააკეთა („არ

გამოიხსნა“ იგი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობიდან) და მკვლელობის მცდელობაც ამაში გამოიხატება.

აქვე უნდა ითქვას შემდეგი: არაა გამორიცხული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობა, რაც ჩადენილი იყო უმოქმედობით, ზოგჯერ შეფასდეს, როგორც მკვლელობის დამამძიმებელი გარემოება - მკვლელობა უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირისა (მუხ. 109). ეს ის შემთხვევაა, როცა სამართლებრივი გარანტი თავისი უმოქმედობით აფუძნებს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობას, რომელიც არ წარმოიშობოდა, თუკი იგი შეასრულებდა მასზე სამართლებრივად დაკისრებულ, სავალდებულო და შესაძლო ქმედებას.

მაგალითი: ცოლს მოებზრდა მისი ღრმად მოხუცებული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქმრის მოვლა, რომელსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო და მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. ამ მიზნის მისაღწევად იგი რამდენიმე კვირით წავიდა ნათესავებთან და მზრუნველობის გარეშე დატოვა მოხუცი ქმარი მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მართო დარჩენილი მოხუცი თავის თავს ვერ მიხედავდა და საკვებისა და წყლის გარეშე დარჩებოდა. საკვებისა და წყლის გარეშე დარჩენილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცი ორ კვირაში გარდაიცვალა.

სახეზეა წინასწარ შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობა უმოქმედობით (მუხ. 109), რადგან ეს შემთხვევა აკმაყოფილებს უმოქმედობით ამ სახის მკვლელობის ყველა პირობას. რატომ? სახეზეა სამართლებრივი გარანტი, რომელსაც ევალებოდა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მეუღლის მოვლა; სამართლებრივ გარანტს შეეძლო უმწეო მდგომარეობაში მყოფი მეუღლის მიმართ სავალდებულო ქმედების (მისი კვებისა და მოვლის) უზრუნველყოფა; მას რომ შეესრულებინა ეს სავალდებულო და შესაძლო ქმედება, მეუღლის სიკვდილი ამჯერად არ დადგებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახეზეა უმოქმედობის მიზეზობრიობის სამივე პირობა.

ამას ემატება ის, რომ სამართლებრივი გარანტს სურდა მისი მეუღლის მოკვლა. ამდენად, სახეზეა პირდაპირი განზრახვა დამდგარი შედეგისადმი.

საკითხავია, რით განსხვავდება ეს შემთხვევა მძლოლის მიერ ჩადენილი უმოქმედობისაგან? იქაც ხომ თითქოს ანალოგიურ გარემოებებთან

გვაქვს საქმე? მათ შორის განსხვავება შემდეგშია:

პირველ მაგალითში ავარიის შედეგად დაშავებული პირის უმწეობა გამოიხატება იმაში, რომ იგი იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. მეორე მაგალითში კი პირი იმყოფება სხვაგვარ უმწეო მდგომარეობაში, რაც არაა დაკავშირებული სიცოცხლისათვის საშიშ ვითარებასთან – მისი უმწეობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ არ შეუძლია, დამოუკიდებლად მოუაროს თავს. სხვა მხრივ, მას არ სჭირდება სამედიცინო დახმარება.

აქედან გამომდინარე, პირველ მაგალითში სამართლებრივ გარანტს ევალუება, მიიღოს სასწრაფო ზომები პირის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობიდან გამოსაყვანად, რაც მან არ გააკეთა. მეორე მაგალითში კი სამართლებრივ გარანტს მეუღლის მიმართ ევალუებოდა მხოლოდ ელემენტარული ადამიანური პირობების შექმნა კვებითა და სათანადო მოვლით, რაც მან არ გააკეთა.

შესაბამისად, პირველ მაგალითში სამართლებრივმა გარანტმა (მძღოლმა) „არ გამოიხსნა“ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობიდან დაშავებული, რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი მიყენებული დაზიანების ბუნებრივად განვითარების შედეგად; ხოლო მეორე მაგალითში ცოლმა თავისი უმოქმედობით (საკვების მიუცემლობით) უმწეო მდგომარეობაში მყოფი მეუღლე (რომელიც არ იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, „ჩააგდო“ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და ამ გზით ნელ-ნელა (გარკვეული დროის განმავლობაში) მოკლა.

ეს ორი შემთხვევა შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ სათანადო ფორმულებით:

პირველ მაგალითში მკვლევლობის ფორმულაა:

სამართლებრივი გარანტის პირდაპირ განზრახვას + მისი უმოქმედობა + დაზარალებულის უმწეო მდგომარეობა (კერძოდ, უკვე არსებული სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობა) = დაზარალებულის სიკვდილს (მართივი მკვლევლობა – მუხ. 108);

მეორე მაგალითში მკვლევლობის ფორმულაა:

სამართლებრივი გარანტის პირდაპირ განზრახვას + მისი უმოქმედო-

ბა + დაზარალებულის უმწეო მდგომარეობა (რომელიც არაა სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა) = სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობას (და არა სიკვდილს).

შემდეგ კი, უკვე შექმნილ საშიშ მდგომარეობას + სამართლებრივი გარანტიის პირდაპირი განზრახვა + გარანტიის უმოქმედობა (რომელიც გრძელდებოდა რამდენიმე კვირის განმავლობაში) = დაზარალებულის სიკვდილს (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში - მუხ. 109).

როგორც ვხედავთ, აქ სიკვდილის მიზეზი არაა პირის მოხუცებულობით გამოწვეული უმწეო მდგომარეობა, არამედ მისი მიზეზია შიმშილის გამო ორგანიზმის დასუსტება. მისთვის საკვების მიცემა რომ არ შეეწყვიტათ, ამჯერად სიკვდილი არ დადგებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიკვდილი არ დამდგარა მოხუცებულობის ბუნებრივი განვითარების შედეგად, არამედ იგი დადგა იმ ახალი საფრთხის (შიმშილის) ბუნებრივი განვითარების შედეგად, რომელი საფრთხეც დააფუძნა სამართლებრივი გარანტია (მეუღლემ) თავისი უმოქმედობით.

პირველ მაგალითში კი სასიკვდილო შედეგი დადგა აგარიით გამოწვეული ტრავმის ბუნებრივად განვითარების შედეგად (და არა მძღოლის მიერ დაფუძნებული რაიმე ახალი საფრთხის გამო). ამდენად, მეორე მაგალითში სამართლებრივი გარანტია (ცოლმა) გამოიყენა ქმრის უმწეობა მისი მოკვდინებისათვის, რადგან თავისი უმოქმედობით ჯერ ჩააგდო ქმარი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, შემდეგ კი ნელ-ნელა მოკლა იგი.

შესაბამისად, არ შეიძლება მიეცეს ერთნაირი სამართლებრივი შეფასება ვითარებას, როცა სამართლებრივი გარანტი მოკვლის განზრახვით „არ გამოიხსნის“ პირს სხვა მიზეზით უკვე შექმნილი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობიდან და იმ ვითარებას, როცა გარანტი ასეთივე განზრახვით, უმოქმედობით „ჩააგდებს“ უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და ამ გზით თანდათან კლავს მას.

მართალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში სხვა სახის დამამძიმებელი გარემოებაცაა სახეზე (მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით), მაგრამ ეს საკითხის სხვა მხარეა.

მივუბრუნდეთ ზემოთ ხსენებულ შემთხვევას, როცა მძღოლმა სიკვდილის გამონწვევის მიზნით დატოვა დაშავებული დახმარების გარეშე. როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, თუკი ამ შემთხვევას მოჰყვა დაშავებულის სიკვდილი? დასმულ კითხვას შეიძლება პასუხი გაეცეს ორ ვარიანტში.

პირველი ვარიანტი - შესაძლებელია (შესაძლებელია და არა აუცილებელი) მძღოლის ქმედება სსკ-ის 276-ე მუხლის მეოთხე ნაწილისა (და არა მეექვსე ნაწ.) და უმოქმედობით ჩადენილი მკვლევლობის (მუხ. 108) ერთობლიობით დაკვალიფიცირდეს, თუ სახეზეა უმოქმედობის მიზეზობრიობის სამივე წინაპირობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით: 1. პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა (სამართლებრივი გარანტი); 2. მას ჰქონდა ასეთი მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა; 3. შესაძლო და სავალდებულო ქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

მოცემულ მაგალითში სადავო არაა პირველი და მეორე წინაპირობის არსებობა. გასარკვევია მხოლოდ მესამე წინაპირობის არსებობა. ეს საკითხი სათანადო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. კერძოდ, თუ დადგინდა, რომ მძღოლის მიერ შესაძლო და სავალდებულო ქმედებით დაშავებული სიკვდილს გადაურჩებოდა, მას ეს შედეგი (სიკვდილი) შეერაცხება და საბოლოოდ მისი ქმედება სსკ-ე 276-ე მუხლის მეოთხე ნაწილთან ერთად მკვლევლობის მუხლითაც დაკვალიფიცირდება (მუხ. 108).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტიზის დასკვნა უნდა იყოს კატეგორიული. თუკი დასკვნა სავარაუდოა („მისი გადარჩენის შანსი მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა“ ან „შესაძლოა, იგი გადარჩენილიყო“), მაშინ მძღოლს ეს შედეგი (სიკვდილი) შეერაცხება სსკ-ის 276-ე მუხლით (მისი მე-6 ან მე-8 ნაწ.), როგორც მიყენებული ტრავმისაგან გამონწვეული შედეგი. მას ეს შედეგი არ შეერაცხება მკვლევლობის მუხლით, რადგან სახეზე არაა უმოქმედობის მიზეზობრიობის მესამე წინაპირობა. შესაბამისად, ყოველგვარი ეჭვი (მათ შორის გონივრულიც) უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ.

ამდენად, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით და მკვლევლობის

მცდელობით (მუხ. 19, 108).

მეორე ვარიანტი: მძღოლის ქმედება, როცა მან მოკვლის მიზნით მიატოვა დაშავებული, რომელიც მიყენებული დაზიანებისაგან გარდაიცვალა, ყველა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს არა მკვლელობით, არამედ მკვლელობის მცდელობით (მუხ. 19, 108) და სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით (მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, თუ სსკ-ის მე-8 მუხ. მე-3 ნაწილის საფუძველზე დადგენილია მიზეზობრივი კავშირი მძღოლის მიერ ჩადენილ დარღვევასა და დამდგარ სიკვდილს შორის).

საკითხავია, რატომ მკვლელობის მცდელობით და არა მკვლელობით, თუკი შესაძლებელია იმის დადგენა, რომ შესაძლო და სავალდებულო ქმედებით მძღოლი თავიდან აიცილებდა სასიკვდილო შედეგს? ამ კითხვას ასეთი პასუხი უნდა გაეცეს: საქმე ისაა, რომ დაშავებულისათვის დახმარების აღმოუჩენლობა უმოქმედობაა. უმოქმედობა კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არასოდეს არაა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა. იგი არც ამ შემთხვევაში იყო ასეთი ძალა. მიზეზობრიობის წარმმართველი ამ მაგალითში იყო ის დაზიანება (მძიმე ხარისხის დაზიანება), რაც მსხვერპლმა მიიღო მძღოლის წინარე ქმედებით (მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევით). სწორედ ამ დაზიანების ბუნებრივად განვითარებას მოჰყვა დაშავებულის სიკვდილი.

ამდენად, უფრო სამართლიანი იქნება სასიკვდილო შედეგი აისახოს იმ ნორმაში (სსკ-ის 276-ე მუხლში), რომლის მოთხოვნის დარღვევით მძღოლმა დააფუძნა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება, რაც უშუალო მიზეზობრივ კავშირში იყო დამდგარ სასიკვდილო შედეგთან. შესაბამისად, მძღოლის შემდგომი ქმედება (დახმარების აღმოუჩენლობა), ცალკე უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა დამრღვევ მძღოლს მოსალოდნელი სასიკვდილო შედეგის მიმართ.

კერძოდ, თუ იგი იმედოვნებდა, რომ სხვები აიცილებდნენ ამ შედეგს, ანდა სასიკვდილო შედეგთან აკავშირებდა არაპირდაპირი განზრახვა (არ სურდა დაშავებულის სიკვდილი, მაგრამ მიყენებული დაზიანების შედეგად არც გამორიცხავდა მის გარდაცვალებას), სახეზეა განსაცდელში მიტოვება (მუხ. 128-ე). ხოლო, როცა მძღოლმა მოკვლის მიზნით მიატოვა დაშავებული დახმარების გარეშე, სსკ-ის 276-ე მუხლის შესაბა-

მის ნაწილთან ერთად ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლევლობის მცდელობით – მუხ. 19, 108. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეში უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი მძღოლის წინარე ქმედებასა (მოძრაობის უსაფრთხოების ან ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დარღვევა) და დამდგარ სასიკვდილო შედეგს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უშუალოდ და რეალურად დასადგენ მიზეზობრივი კავშირის საკითხს. ამდენად, არაა საჭირო დაინიშნოს ექსპერტიზა იმის ჰიპოთეტურად დადგენისათვის, მძღოლის შესაძლო და სავალდებულო ქმედებით დაშავებულის სიკვდილი თუ იქნებოდა თავიდან აცილებული.

ისმის კითხვა, თუკი ეს ასეა, მაშ რა შემთხვევისათვის შემოიღო კანონმდებელმა სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი (უმოქმედობის მიზეზობრიობა)? ხომ არ გამოდის, რომ ქმედების ზემოთ მითითებული ვარიანტისათვის მხარდაჭერის შემთხვევაში სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი ჩვენს კოდექსში ზედმეტი აღმოჩნდება?

ამ კითხვის პასუხად უნდა ითქვას შემდეგი: სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დანიშნულებაა, დაადგინოს უმოქმედობის მიზეზობრიობა იმ შემთხვევებში, როცა საფრთხე არ იყო დაფუძნებული პირის წინარე ქმედებით, არამედ სიცოცხლისათვის სახიფათო საფრთხე დაფუძნდა სხვა გარემოების გამო. მაგალითად, სხვა ბუნებრივი ფაქტორების მიზეზით (ვთქვათ, სტიქიის გამო) მიღებული ტრავმით, რის გამოც მას სჭირდება აუცილებელი დახმარება, რაც ევალეზა გარანტს; სხვა პირთა გაუფრთხილებელი, თუ განზრახი ქმედებით (ვთქვათ, როცა ადამიანს თავს დაესხნენ და მიაყენეს მძიმე დაზიანება); ორგანიზმში განვითარებული დაავადებით (ვთქვათ, ადამიანს დაეწყო გულის შეტევა), რის გამოც მას სჭირდება აუცილებელი დახმარება, რაც ევალეზა სამართლებრივ გარანტს; ანდა პირის უმწიბრობის გამო საკუთარი თავისადმი მოვლა-პატრონობის შეუძლებლობით (ვთქვათ, მცირეწლოვანს არ შეუძლია გამოიკვებოს თავისი თავი), რაც ევალეზა მის სამართლებრივ გარანტს, რომელიც ამას არ ასრულებს და ა.შ.

შესაბამისად, სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დანიშნულება არაა მიზეზობრივი კავშირის დადგენა იმ შემთხვევაში, როცა პირი თავისი წინარე ქმედებით (რაც შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს), აფუძნებს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობას, რისი ბუნებრივი განვითარების შედეგადაც

დგება მართლსაწინააღმდეგო შედეგი (მოცემულ მაგალითში მძლოლმა სწორედ თავისი წინარე ქმედებით (რაც შეიცავდა სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მისი მე-4 ნაწ.) ნიშნებს, დააფუძნა სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა).

როცა გვაქვს იმის სამართლებრივი ფუფუნება, რომ ორი სახის მიზეზობრიობიდან ავირჩიოთ ერთ-ერთი, უნდა ავირჩიოთ იმ ქმედების მიზეზობრიობა, რომელიც დგინდება რეალურად (და არა ჰიპოთეტურად) და რომელიც მიზეზობრიობის წარმმართველი ძალაა. ასეთია მოქმედების მიზეზობრიობა. ასეთი ნამდვილად არაა უმოქმედობის მიზეზობრიობა. შესაბამისად, შეზღუდულად უნდა იქნას განმარტებული და პრაქტიკაში გამოყენებული საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, რაც ითვალისწინებს უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხს.

ხელოვნება, საზოგადოება, სისხლის სამართალი - კონფლიქტური ურთიერთობის მსკიპი

პროფ. დოქტ. ბენო ცაბელი, ბონის უნივერსიტეტი

ჩვენ მუდამ ვხვდებით კონფლიქტს ხელოვნებასა და სისხლის სამართალს, თანამედროვე საზოგადოებასა და მართლმსაჯულებას შორის. სწორედ ეს იწვევს ცხარე საჯარო განხილვებსა და დისკუსიებს ხელოვნების დამოუკიდებელი ღირებულებისა და მისი სამართლებრივი რეგულირების ფარგლების თაობაზე. გერმანიაში არაერთი იურიდიული და დოგმატური დებატების საფუძველს წარმოადგენს ის, თუ რომელი კონკრეტული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის წამოჭრა. აღნიშნულისაგან განსხვავებით, შედარებით იშვიათად განიხილება მათი ურთიერთგავლენები და პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ხელოვნებასა და სისხლის სამართალს შორის არსებული ურთიერთობის განხილვა გარკვეულ კონიუნქტურას ექვემდებარება. თუკი ადრე იურისტები ამ დებატებში მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ, დღეისათვის ისინი მასში უფრო და უფრო მეტად ერევიან. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ტარდება არაერთი სიმპოზიუმი, გამოფენა და კიდევ უფრო ხშირად ვხვდებით თემატურ დისკუსიებს. მაგრამ რა ხდის მაინც ამ თემას ასე საინტერესოს? ნათელია, რომ ბოლო წლების განმავლობაში არაერთი მოვლენა მოხდა, რომელმაც ხელოვნების საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და ხელოვნებისადმი გასატარებელი პოლიტიკის მიმართ ფართო საზოგადოება ბევრად უფრო სენსიტიური გახადა. თავდაპირველად ვფიქრობდით მხოლოდ მესამე რაიხის დროს მოპარული ხელოვნების ნიმუშების პრობლემაზე, მოგვიანებით კი გურლიტის შემთხვევამ წარმომავლობის შესახებ კვლევის გაძლიერებას შე-

უნყო ხელი¹, რითაც, უფრო მეტიც, თავად Documenta 14-იც კი დაკავდა². ასევე, უფრო და უფრო გახშირდა ხელოვნებისა და აგტორების დაცვის ახლებურ მექანიზმებზე, კოლონიალიზმის შესახებ სწავლებებზე და ა.შ. მსჯელობა.³ თუმცა, წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რომ ხელოვნებისადმი დამოკიდებულება, რომელიც სისხლისსამართლებრივ კონტექსტში განსაკუთრებით შესამჩნევია, ასევე წარმოადგენს სახელმწიფო-კონსტიტუციური მდგომარეობის და არამხოლოდ ძირითადი უფლებებით დადგენილი სტანდარტის გამოხატულებას, რის გამოც იგი ჩვენი მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

შეგვიძლია დავიწყოთ გერმანული დებატების ბოლო ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაპროვოცირებლის, იან ბომერმანის, შეურაცხყოფელი ლექსით თურქეთის პრეზიდენტ ერთდოღანზე. როგორც ცნობილია, ბომერმანმა სატელევიზიო მიმართვაში თურქეთის პრეზიდენტის მისამართით წარმოთქვა ლექსი სახელწოდებით „შეურაცხყოფელი კრიტიკა“, რომელშიც ერთდოღანს უკავშირებდა სექსუალურ და სოციალურად შეურაცხყოფელ ქმედებებს; ამასთანავე, გადაცემაში არაერთხელ იქნა მითითებული, რომ ამ ქმედების მთავარ მიზანს, თითქოსდა, არადასჯად სატირასა და სისხლისსამართლებრივად რელევანტურ შეურაცხყოფელ კრიტიკას შორის არსებული ზღვრის წარმოჩენა წარმოადგენდა⁴. ამის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, საჯარო ყურადღების ცენტრში მოექცა აკრძალვითი ნორმა, რომლის არსებობაც კი იურისტების უმეტეს-

1 გურლიტის შემთხვევა კარგად არის დოკუმენტირებული შემდეგ ნაშრომში: Meier/Feller/Christ (Hrsg.), *Der Gurlitt-Komplex*, 2017; სამოქალაქოსამართლებრივი დოგმატიკის პერსპექტივიდან იხ: *Bergmann, Der Verfall des Eigentums*, 2015. წარმოშობის შესახებ კვლევა ძირითადად ეძღვნება ხელოვნების ნიმუშებისა და სხვაგვარი სახის ხელოვნების ძეგლების წარმოშობის ისტორიასა და კავშირებს მათი მფლობელობის თაობაზე. კულტურის ისტორიის გერმანული ცენტრი მაგდებურგში გთავაზობს ინფორმაციებს აქტუალურ მდგომარეობაზე. აღნიშნულისათვის იხ.: <https://www.kulturgutverluste.de/Webs/DE/Start/Index.html>.

2 აღნიშნული ყველაზე მეტად შეეხო მარია ეიხბორნის ნამუშევრებს: <http://www.documenta14.de/de/news/23357/rose-valland-institut>.

3 აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: *Pfennig, Kunst, Markt und Recht*, 3. Aufl. 2016. 4 ინფორმაციისთვის იხ.: *Volkman, Die Causa Böhmernann*, Fachinformationsdienst für internationale und interdisziplinäre Rechtsforschung Staatsbibliothek zu Berlin - Preußischer Kulturbesitz, 2016.

ბას აქამდე საერთოდ შემჩნეულიც კი არ ჰქონდათ. კერძოდ, საუბარია უცხო ქვეყნის მმართველის შეურაცხყოფაზე გსსკ-ის § 103-ის მიხედვით (ხაზგასასმელია, რომ დღეის მდგომარეობით, ნორმა უკვე გაუქმებულია, რაც სატირის სასარგებლოდ განხორციელებულ მნიშვნელოვან ქმედებად შეგვიძლია შევაფასოთ)⁵. ამ მოვლენას ნამდვილი სკანდალი სდევდა თან. ცენტრალური დიპლომატია ცდილობდა კრიზისის დაძლევის, შესაბამისი ფელეტონები ინტერპრეტირებას და სისხლის სამართლის სასამართლოები კი მიყენებული ზიანისათვის სათანადო ფარგლების დანესებას. სატირა, ინსტალაცია, ფოტოხელოვნება ან ის, რასაც მის საფარქვეშ ავრცელებენ, სტრესის ქვეშ აქცევს პოლიტიკასა და ფართო საზოგადოებას, განსაკუთრებით კი სისხლის სამართალს⁶. და მაინც რა წარმოადგენს ამ სტრესის მთავარ საფუძველს?

შევეცადოთ კონფლიქტის უფრო დეტალურად განხილვას. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ არამხოლოდ ხელოვნებასა და სისხლის სამართალზე, არამედ, სისხლის სამართლის ხელოვნებაზეც უნდა ვიმსჯელოთ, როგორც თემასთან ახლოს მდგომ საკითხზე. კერძოდ, ამ ფორმულირებიდან ნათლად ჩანს, რომ ხელოვნებისა და სისხლის სამართლის კავშირი თავისთავადი და იმავდროულად ცვალებადია. სისხლის სამართალი ხელოვნებას ორგვარი გაგებით უკავშირდება. კერძოდ, სისხლის სამართალი თავად წარმოადგენს (იურიდიულ-მეთოდურ) ხელოვნებას და მეორე მხრივ კი (ესთეტიური) ხელოვნება მის საპირწონედ გვევლინება⁷. ამ მიდგომის ფონზე, ჩვენთვის ნათელია თუ როგორ უპირისპირდება ორი განსხვავებული, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად უცხო სამყარო ერთმანეთს და ამასთან, როგორ ახდენენ ისინი ურთიერთშეგავლენას. განვიხილოთ პირველი შემთხვევა: სისხლის სამართლის, როგორც ხელოვნების ქვეშ, შეგვიძლია მოვიაზროთ გამოხატვის ის კონკრეტული ფორმა, რომლის მეშვეობითაც სისხლის სამართალი საკუთარი ინსტრუმენტებით და საკუთარი პერსპექტივიდან ცდილობს კონფლიქტების მართვას. სხვა

5 გსსკ-ის § 103 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ამოღებულია.

6 მედია-თეორიული ფონის შესახებ იხ.: *Debord, Die Gesellschaft des Spektakels*, 1996.

7 თანამედროვე ენათმეცნიერებასა და ლათინურ კაზუსტურ სწავლებაში საუბარია *genitivus subjektivus*-სა და *genitivus objektivus*-ზე.

სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ მოიაზრება იურისტების განათლება და განსაკუთრებით კი მათი პრაქტიკული საქმიანობა - იქნება ეს პროკურატურა, სამოსამართლო თუ საადვოკატო საქმიანობა. საქმე ეხება, სათანადო დოგმატური აღჭურვილობის მიმართ არსებულ პროფესიონალურ მიდგომას⁸. სწორედ დოგმატური აღჭურვილობა აძლევს იურისტებს სპეციალური ხელოვნების ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, გადანყვებილების მიღების ხელოვნების განხორციელების შესაძლებლობას (და შესაბამისად, სწორედ ამით განსხვავდება მათი საქმიანობა სხვაგვარი პრაქტიკული საქმიანობებისგან). დოგმატიკა ახდენს გენერალიზაციას, სტრუქტურიზაციასა და სქემატიზაციას. იგი აკონკრეტებს, როგორც იურისტების როლს სამართლებრივ პროცესში, ასევე მათ კომპეტენციას. სწორედ დოგმატური ინსტიტუტების, სათანადო ფიგურებისა და თეორიული მოდელების გამოყენების მეშვეობით შეუძლიათ იურისტებს სამართლებრივად მნიშვნელოვანის უმნიშვნელოსაგან განსხვავება. დოგმატიკა ცოდნის ტრანსფორმაციის ტექნიკას წარმოადგენს. ის გვიხსნის კარს ყოველი ცალკეული შემთხვევის სამართლიანობისკენ. თუმცა, მან ასევე სამართლებრივი სფეროს, მაშასადამე, სისხლის სამართლის, ნორმატიული მთლიანობის (ერთიანობის) უზრუნველყოფაც უნდა მოახდინოს⁹.

მაშასადამე, მისი მეშვეობით უნდა დადგინდეს თუ ვის შეიძლება მივანეროთ სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა და ა.შ. და იმ შემთხვევისათვის, როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლები არ გვექნება სახეზე, თუ სასჯელის რომელი სახე მიიჩნევა თანამომიერად¹⁰. როგორც წესი, ჩვენ ვსაუბრობთ პროცესზე, რომელიც ხორციელდება ობიექტური შერაცხვის გაბატონებული წესების შესაბამისად და სათანადო სისტემის

8 ზოგადად იურისტების დოგმატიკის, მეთოდისა და არგუმენტაციის შესახებ: Jestaedt (Hrsg.), *Rechtswissenschaftstheorie*, 2008, ასევე იხ.: *Gröschner*, *Dialogik des Rechts*, 2013 და ბოლოს, *Bumke*, *Rechtsdogmatik*, 2017.

9 დეტალები იხ.: *I. Augsberg*, *Lob der Dogmatik*, rescriptum 2014, S. 63 ff.; *Bumke*, *Rechtsdogmatik*, S. 44 ff. und öfter sowie *Steinhauer*, *Vom Scheiden*, 2014.

10 მაშასადამე, საქმე ეხება ტიპურ სისხლისსამართლებრივი შერაცხვის სისტემას, რომელიც შედგება ქმედების შემადგენლობისგან, მართლწინააღმდეგობისა და ბრალისგან; მთლიანობაში სამართლებრივი სიკეთის დაზიანება წარმოადგენს ბრალეულ ქმედებას, ბევრისაგან განსხვავებით, აღნიშნულთან დაკავშირებით შეად.: *Zabel*, *Die Ordnung des Strafrechts*, 2017.

დაცვით¹¹. სისხლის სამართალი - და განსაკუთრებით, ასევე კონსტიტუციური სამართალი - წარმოიქმნება არგუმენტაციის, სუბსუმციისა და განსჯის ხელოვნებიდან. ეს ხელოვნება შემდგომ საზოგადოების წინაშე ვლინდება დეფინიციების ჩამოყალიბებით, კანონების ცვლილებებითა და გადაწყვეტილებებით. ხელოვნების თავისუფლების კონსტიტუციური და სისხლისსამართლებრივი დოგმატიზაცია დამოუკიდებელ სპეციალურ სფეროდაც კი შეგვიძლია მოვიხსენიოთ. ამ საკითხს მოგვიანებით კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით.

„სისხლის სამართლისა და ხელოვნების“ აღნიშნული იშვიათად განხილული პერსპექტივა უპირისპირდება მეორე მათ, ასე ვთქვათ, ურთიერთდაპირისპირების პერსპექტივას. სისხლის სამართლის ხელოვნებაზე საუბარს საბოლოოდ მივყავართ ხელოვნებად, რომელიც სისხლის სამართლისათვის წინააღმდეგობის განწევას ცდილობს. ეს ესთეტიური ხელოვნება, თითქოსდა, სისხლის სამართლის ფარგლებს მიღმა არსებობს და მის „დოგმატურ“ ხელოვნებაზე ადრე წარმოიქმნა. იან ბომერმანის ლექსი თურქეთის პრემიერდენტზე, ჯონათან მესეს პროვოკატორული მიდგომა ნაცისტური სიმბოლიკის მიმართ და ბუშიდოს განგსტა რეპი „სტრესი საფუძვლის გარეშე“ წარმოადგენენ მაგალითებს იმისა, თუ როგორ შეიძლება ორი სამყარო ერთმანეთს მასიურად დაეჯახოს¹². და მაინც, როდის გვაქვს საქმე, იურიდიული გაგებით, შუერაცხყოფასთან, რელიგიის ლანძღვასთან ან სახალხო ამბოხთან? ეს არ არის იმ შემთხვევის მსგავსი, როდესაც კედლის მცველები (საუბარია ბერლინის კედელზე), კანიბალები ან ავტომანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მმართველი თავხედი პირები სისხლის სამართალს ყურადღებას არ აქცევენ. როგორც ჩვენთვის აქტუალური გადაწყვეტილებებიდან ნათელი ხდება, აქ სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე¹³. დოგმატიკა და სასამართლო პრაქტი-

11 სისხლის სამართალში დანაშაულის შერაცხვის შესახებ სწავლებასთან დაკავშირებით იხ.: *Günther*, Schuld und kommunikative Freiheit, 2005; *Jakobs*, Das System der strafrechtlichen Zurechnung, 2012, და ახლახანს ასევე, *Pawlik*, Normbestätigung und Identitätsbalance, 2017.

12 მღელვარებას, რომელიც მესესა და ბუშიდოს ქმედებებს თან სდევდა, აქ დეტალურად არ განვიხილავთ.

13 BGHSt 39, 1; 40, 218; 41, 101; 50, 80 და ახლახანს მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები: LG Berlin NStZ 2017, 471 und BGHSt 63, 88.

კა მუდამ მკაცრი შემოწმების ქვეშ დგება და სასამართლო პრაქტიკა ისევ და ისევ ვალდებულია მიიღოს საზოგადოებრივად მისაღები გადაწყვეტილება. ჩვენ აქ თავს შევიკავებთ დეტალების განხილვისგან, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ხელოვნებასთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივ და საზოგადოებრივ მიდგომებს თავისებურებები ახასიათებთ. და მაინც, რატომ?

ვცადოთ კითხვას სამართლის ფარგლებს მიღმა ვუპასუხოთ: ბერლინელი ხელოვნების ისტორიკოსი ჰორსტ ბრედეკამში მის მიერ განხორციელებულ კვლევაში სახელწოდებით „ხელოვანები, როგორც დამნაშავეები“ საუბრობს ხელოვნებისა და პოლიტიკური ძალაუფლების განსაკუთრებულ ურთიერთობაზე ადრეული მოდერნიზმის ხანაში. ბრედეკამში ცდილობს ამ ურთიერთობის წარმოჩენას იმით, რომ იგი იკვლევს რამდენიმე სისხლისსამართლებრივად დასჯილი ხელოვანის შემთხვევას და მათზე „სისხლისსამართლებრივი ძალაუფლების“ რეაქციას¹⁴. აღნიშნული მიდგომა იმით არის საინტერესო, რომ ის, პირველ რიგში, კონცენტრირებულია არა ხელოვნებაზე - როგორც მსხვერპლსა და დამნაშავეზე, არამედ თავად კრიმინალ ხელოვანებზე. ბრედეკამში გვიჩვენებს, რომ ისეთ „შიშველ“ ხელოვანებს, როგორებიც არიან მიქელანჯელო, ცეზარი და ბერნინი, განსაზღვრული სამართლებრივი თავისუფლება მიენიჭათ, რითაც, საბოლოოდ, როგორც დღეს ვიტყვით, ისინი სისხლისსამართლებრივი სასჯელებისგან „გათავისუფლებულნი“ იქნენ¹⁵. ერთ-ერთ განსაკუთრებით თვალშისაცემ მაგალითს წარმოადგენს ბენვენუტო ჩელინი. ჩელინიმ - რომელიც ჩვენ გოეთეს ნამუშევრებიდან გვახსოვს, როგორც ეგზალტირებული რენესანსის ხელოვანი - მოქანდაკე, მწერალი და მუსიკოსი - სასტიკი შურისძიებით მოკლა მისი ძმის მკვლეელი შუა ქუჩაში, ხოლო მოგვიანებით კიდევ მისი ერთ-ერთი კონკურენტი პაპის მონეტარიუსის თანამდებობის გამო. სათანადო სასჯელსა და ამით სიკვდილის დასჯას ის პაპმა პავლე მესამემ გადაარჩინა შემდგომი მითითებით: „ჩვენ გვჭირდება ხელოვანები. რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენ მათი სულისა და გენიალურობის გარეშე?“ და გარდა ამისა, მან ასევე აღნიშნა, რომ „გაითვალისწინეთ, რომ ისეთი კაცები, როგორიცაა ბენვენუტო, თავის პროფე-

14 *Bredekamp, Der Künstler als Verbrecher, 2007.*

15 *Bredekamp (Fn. 14), S. 9 ff., 23 ff.*

სიაში განუმეორებელი არიან და არ ექვემდებარებიან კანონს¹⁶. იმაში, რაც ჩვენ, თითქოსდა, აბსურდული გვეჩვენება, თავისი ღრმა აზრი დევს. ხელოვანის დანაშაული უკანა პლანზე იწევს ხელოვნების სამოგადოებრივი მნიშვნელობის გამო - ყოველ შემთხვევაში, მმართველის გადმოსახედიდან. ჩვენ ასევე შეგვიძლია იმის თქმა, რომ პიროვნება ასე თუ ისე მთლიანად ქრება არტეფაქტების უკან. ბრედეკამში ვარაუდობს, რომ ამ გამონაკლის შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ პაპის და იმპერატორის ძალაუფლების ჩვენება არ ასრულებდა გადამწყვეტ როლს, არამედ, უნდა მომხდარიყო დამოუკიდებლად ქმნის უნარის დემონსტრირება (როგორც ლევიათანი წარმოადგენს ჰობსთან ადამიანის შემოქმედების ნაყოფს). ჩვენ შეგვიძლია ეს შემდგენაირად გავიგოთ: რენესანსის ხელოვანი წარმოადგენდა კანონის დამრღვევს და იმავდროულად თავადვე „პატარა სუვერენს“, რომელიც რაღაც ახალ სტანდარტებს ქმნის¹⁷.

ამგვარ გამონაკლის ქმედებას, თავად უმაღლესი თანამდებობის პირების მხრიდანაც კი, თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფო დასაშვებად არ მიიჩნევს. სისხლისსამართლებრივ მართლმსაჯულებას მისი დამოუკიდებლობა კონსტიტუციურსამართლებრივი გზით აქვს გარანტირებული¹⁸. პაპები აღარ ერევიან იურისტების საქმიანობაში. თუკი ისინი ამგვარად მოიქცეოდნენ, მესამე ძალაუფლება მათ პროტესტის გზით ხმამაღლა დაუპირისპირდებოდა. რა თქმა უნდა, ხელოვანებიც კანონს ემორჩილებიან. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვანები დღევანდელი მართლმსაჯულების სისტემისათვის ჩვეულებრივ შემთხვევას წარმოადგენენ, არ შეიძლება შეუმჩნეველად დაგვრჩეს, რომ სამართალი ხელოვანებსა და მათ არტეფაქტებზე მტკიცეულად ზემოქმედებს. ხელოვნების თანამედროვე გაგებაში, იქნება ეს სატირის ფორმის, სკულპტურის თუ

16 Cellini, La Vita, herausgegeben von Lorenzo Bellotto, Parma 1996, S. 266; deutsche Übersetzung, Cellini, Die Autobiographie eines Künstlers aus der Renaissance, 2000, S. 222.

17 *Bredenkamp* (Fn. 14), S. 13 ff., 68 ff. ბრედეკამში თავისი თვით აქტის შესახებ ეხება გამონაკლისს კარლ შმიტის თეორიიდან, რომელიც, როგორც ცნობილია, საგანგებო მდგომარეობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, პოლიტიკური სუვერენიტეტის ცენტრალურ მახასიათებლად მიიჩნევს, შეად.: *Schmitt, Politische Theologie*, 1922/ 2004, S. 13.

18 შეიძლება ვიფიქროთ მხოლოდ გერმანიის ძირითადი კანონის 97-ე და 101-ე მუხლებზე.

მხატვრობის სახით, კვლავ ჩანს ესთეტიური სუვერენიტეტის ნაკვალები. ხელოვნება მიიჩნევა სუბლიმაციისა და კრიტიკის ავტონომიურ ფორმად, თანამედროვე ცხოვრების ფორმების ესთეტიზაციად. ხელოვნების ძალა მდგომარეობს სწორედ იმაში, როგორც ამას ფრანკფურტელი ფილოსოფოსი კრისტოფ მანკე აღნიშნავს, რომ რეფლექსურად გაარღვიო ის, რაც ჩვეული და განმეორებადია, თანაც იმგვარად, რომ არ ექვემდებარებოდე პრაქტიკულ-იურიდიული განსჯის რაციონალობას. ხელოვნებას შეუძლია ჩვენ გვაჩვენოს, რომ იმისაგან განსხვავებით, რაც ჩვენ გვგონია, ჩვენი სამყარო ორად გახლეჩადი, შეიძლება ნაწილაკებად დანაწევრებადიც კი არის¹⁹. ამას ემატება კიდევ ერთი ასპექტიც: კანტისა და შილერის მიერ წარმოდგენილი ხელოვნების გაგების გვერდით, რომელსაც „უინტერესო სიამოვნებასთან“, მორალის, მიზნებისა და ბუნებითი კანონების ავტონომიასთან მივყავართ²⁰, წარმოიქმნა ხელოვნების კულტურა, რომელსაც სურს სოციალურ სივრცეში მნიშვნელობის მოპოვება. ხელოვნება, რომელიც თავისი თავისთვის მინიჭებულ თავისუფლებაში ასახავს რაიმეს, პერფორმანსის შედეგად დამსხვრეული ესთეტიკაა, არა მხოლოდ მნიშვნელობასმოკლებული, არამედ მის L'art pour l'art-Attitude-ს საფუძველზე სხვა არაფერი თუ არა ესთეტიური სოლიფიზმი. ე.წ. „მოქმედების ხელოვანი“ იომეფ ბოისი მის მიერვე „გავართობული ხელოვნების ცნებით“ წარმოადგენს ემანსიპირებული ხელოვნების პროდუქციის, ხელოვნების აღქმისა და ხელოვნების მარკეტინგის წინამძღოლსა და პროტაგონისტს. მისი წარმოდგენით, ესთეტიური კონცეფციები თავად ან უნდა დაუახლოვდნენ საზოგადოებრივ სტრუქტურებს ან საერთოდ არა. ბოისის ნამუშევარი, სახელწოდებით „დიურერ, პირადად მე დავათვალიერებინებ ბაადერს+მაინჰჰოფს Documenta V-ს“, რომელიც წითელი არმიის ფრაქციის (RAF) მიერ დაწყებული ტერორის თემატიზაციას ახდენდა, პარადიგმატულად გამოხატავს ამ განვითარებას²¹. თუმცა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, იმ მომენტშივე, როდესაც ხელოვნება საჭაროდ გამოიხატება, აუცილებლად წარმოიქმნება ხელოვნების, საზოგადოებისა

19 *Menke*, Die Kraft der Kunst, 2013, S. 11 ff. und öfter.

20 *Kant*, Kritik der Urteilskraft, Akademie-Ausgabe, 1968 (1900), Bd. V, §§ 2-5 (205 ff.); *Schiller*, აღამიანების ესთეტიური აღზრდის შესახებ, მთელ რიგ წერილებში: Werke, Bd. 5, 3. Aufl. 1962.

21 *Beuys*, Art and Politics, in: Mesch (Hrsg.), Beuys. The Reader, 2007, S. 177 ff.

და სამართლის ურთიერთშეჯახება. სწორედ ამ დროს ხდება იურიდიული პრობლემების წინა პლანზე გადმოსვლა.

ხელოვნება, როგორც ეს ჩვენთვის კარგად ცნობილია, თავისუფალია. შეუძლებელია მისი უბრალო უფლებით შემლუღვა (გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მეასამე აბზაცი). მხოლოდ ამ ორი წინადადების უკან მთელი დოგმატური ისტორია და წარმოდგენლად ფართო თეორიული სივრცე იმალება. მისი განხილვა აქ დეტალურად არ განხორციელდება²². ჩვენ მხოლოდ მცირე, ხელოვნებისა და სისხლის სამართლის ურთიერთობისათვის რელევანტური საკითხების განხილვით შემოვიფარგლებით. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს ხელოვნების სპეციალური სისხლისსამართლებრივი დეფინიცია, აუცილებელია ჩვენი ყურადღება მივმართოთ კონსტიტუციურ სამართალსა და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მართლმსაჯულებაზე. სასამართლოს ერთ-ერთ ცნობილ გადაწყვეტილებაში ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ „ჩარევები სახელმწიფოს მხრიდან მით უფრო ნაკლებად დასაშვებია“, რაც უფრო მეტად განეკუთვნება „სადავო ქმედება ხელოვნების თავისუფლების ბირთვის და რაც უფრო მეტად ექცევა იგი შემოქმედების პროცესში (მაშასადამე, ქმნის სფეროში)“²³. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ჰოფმან-რიმი კიდევ უფრო დეტალურად ხნის აღნიშნულს. მისი სიტყვებით, ამგვარი კონფლიქტების შემთხვევაში, თუკი გვსურს ესთეტიურის დამოუკიდებელი ღირებულებისა და გამოგონილის მნიშვნელობისადმი სამართლიანი მიდგომა, აუცილებელია ე.წ. „ხელოვნების წარმონაქმნის ვარაუდს“ დავეყრდნოთ²⁴. ჩვენთვის როგორც კარგად არის ცნობილი, დოგმატური თვალსაზრისით, ზოგადად ხელოვნების ფორმალურ, მატერიალურ და ღია სამართლებრივ ცნებებს გამოყოფენ.

ხელოვნების ფორმალური ცნებისათვის გადამწყვეტია ის ფაქტი, ხელოვნებად წოდებული პროექტი განეკუთვნება თუ არა განსაზღვრულ შემოქმედებით კატეგორიას - მხატვრობა, ფოტოგრაფია, პროზა/ლირიკა

22 თუმცა, იხ.: Fischer/Beduhn (Hrsg.), *Der Künstler und sein Recht*, 2. Aufl. 2007.

23 BVerfGE 77, 240, 254 (Herrnburger Bericht).

24 Hoffmann-Riem, *Sondervotum BVerfGE 119, 48, 52 f.* (Esra).

და ა.შ. მაშასადამე, აღნიშნული ყველაზე ფართო ცნებაა.²⁵ ხელოვნების მატერიალური ცნება ეყრდნობა ესთეტიური ნამუშევრის თავისებურებას, ანუ „თავისუფალ შემოქმედებით ნამუშევარს, რომელშიც ხელოვანის შთაბეჭდილებები, გამოცდილებები, შეგრძნებები გამოხატვის კონკრეტული ფორმის გამოყენებით გამოდის პირდაპირ სინათლეზე“²⁶. ხელოვნების ღია ცნების მიხედვით კი ხელოვნების მთავარი ელემენტი მდგომარეობს იმაში, „რომ მისი შინაარსის გამოხატვის პლურალიზმიდან გამომდინარე, შესაძლებელია ხელოვნების ნიმუშს მისი მუდმივი ინტერპრეტაციის საფუძველზე სულ უფრო და უფრო ფართო მნიშვნელობები მივანიჭოთ“; მაშასადამე, იმგვარად, რომ მისი მეშვეობით ამოუნურავი, მრავალსაფეხუროვანი ინფორმაციის გადაცემა განხორციელდეს²⁷.

ხელოვნების სამივე იურიდიული დეფინიცია შეუძლებლის მიღწევას ცდილობს. ისინი ცდილობენ ხელოვნების სამართლებრივი გზით გამოხატვას, უფრო მეტიც, შესაძლოა ისინი ხელოვნებას სამართლებრივ სახესაც კი აძლევდნენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხელოვნება ყოველთვის გადის ამ დეფინიციის მცდელობების გარეთ და იურისტები, ისევე როგორც საზოგადოების დიდი ნაწილი, არ წარმოადგენენ ხელოვნების ექსპერტებს. აქ წარმოიქმნება ერთგვარი დილემა, რომელსაც იურისტები თავს ვერ აღწევენ. იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ ხელოვნების თავისუფლება კონსტიტუციაზე მაღლა არ დგას, მას არ აქვს ტრანსლევალური ხასიათი. როგორც ჩვენთვის ეს ყოველთვის შესამჩნევია, იგი კონკურირებს სხვა ისეთ ძირითად უფლებებთან, როგორცაა მაგ. პიროვნული თავისუფლება, რელიგიისა და მეცნიერების თავისუფლება და ამ შემთხვევაში აუცილებელია - იურისტების საყვარელი გამონათქვამი - ამ უფლებების ყოველმხრივი აწონ-დაწონვა. ის, თუ სად მივყავართ ამ აწონ-დაწონვას ან პრაქტიკული წონასწორობის აღდგენას²⁸, ღიად რჩება და შეუძლებელიცაა სხვაგვარად იყოს, ვინაიდან ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავიდან პასუხისმგებელი კითხვაა²⁹. თუმცა, ყოველ კონკრე-

25 BVerfGE 67, 213, 226 f. (Anachronistischer Zug).

26 BVerfGE 30, 173, 188 f. (Mephisto).

27 BVerfGE 67, 213, 227.

28 პრაქტიკული შესაბამისობის ცნების თაობაზე: *Hesse, Grundzüge des Verfassungsrechts*, 20. Aufl. 1999, Rn. 72.

29 ზოგადი აწონ-დაწონის დოგმატიკასთან მიმართებით, მაგრამ ასევე ხელოვ-

ტულ შემთხვევაზე მითითება, კაცმა რომ თქვას, თითქოსდა თავისთავად წარმოქმნის სისხლის სამართალმცოდნეებში (და არამხოლოდ) იმის ვარაუდს, რომ ხელოვნებასთან დაკავშირებულ საქმეებში სრულიად თავისუფლად შესაძლებელი ნებისმიერი საპროცესო შედეგის დადგომა³⁰.

ამასთანავე, დოგმატიკა ცდილობს იმ დაძაბულობებს და უფრო მეტიც, სტრესს, რომელსაც ხელოვნება იწვევს, სხვადასხვაგვარად დაუპირისპირდეს. ერთი მხრივ, შემოთავაზებულია სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელო გამოსავალი, რომელსაც სურს დანაშაულის შემადგენლობის ან გამართლების ეტაპზე წარმოქმნილი კონფლიქტის განეიტრალება. მხედველობაში მიიღება სისხლის სამართლის ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისი განმარტებები ან ისეთი ნორმების (ანალოგიით) გამოყენება, როგორცაა გსსკ-ის § 193 ან § 34³¹. გარდა ამისა, შესაძლებელია პროცესუალური გამოსავლის პოვნაც, როგორც ეს გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის შესახებ გადაწყვეტილებაში შემოგვთავაზა³². აღნიშნულის თანახმად, ხელოვნებასთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში, შესაძლოა გსსკ-ის § 153-ის მიხედვით, მინიმუმ საქმის წარმოების შეწყვეტის საკითხი შეფასდეს, თუკი არსებობს იმის ალბათობა, რომ თავად მსუბუქი ჯარიმის დაკისრებაც კი არაკონსტიტუციური იქნებოდა³³. გარდა ამისა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მესამე აბზაცის პირველი წინადადებადან გამომდინარე, ხელოვნების თავისუფლება ასევე განიხილება, როგორც დამოუკიდებელი, კონსტიტუციურსამართლებრივი გამამართლებელი მიზეზი (საფუძველი)³⁴. აღნიშნულის მიხედვით, ძირითად უფლებაზე დაყრდნობით გამამართლებელი საფუძველს ყოველთვის ვპოულობთ,

ნების თავისუფლების გათვალისწინებით, აქ ამომწურავად შეუძლებელია განხილვა, თუმცა შეად.: *Klatt*, Die praktische Konkordanz von Kompetenzen, Tübingen 2014; *Müller/Mastronardi* (Hrsg.) Abwägung, 2014; *Teifke*, Das Prinzip Menschenwürde, 2011; *Hofmann*, Abwägung im Recht, 2007 და *Schlink*, Abwägung im Verfassungsstaat, 1976; კრიტიკულად *Fischer-Lescano*, Kritik der praktischen Konkordanz, KJ 2008, 166 ff.

30 იმავე მოსაზრებით ასევე კოლეგა: *Uwe Scheffler*. <http://www.monopol-magazin.de/bei-kunst-ist-jeder-prozessausgang-moeglich>.

31 ამავე მიმართულებით: *Böse*, ZStW 113 (2001), 40, 42 ff.

32 BVerfGE 90, 145, 191 unter Verweis auf BVerfGE 50, 205, 213 ff.

33 *Böse*, ZStW 113 (2001), 40, 68.

34 Pars pro toto *Hassemer*, Festschrift für Wassermann, 1985, S. 332.

როდესაც ხელოვანის ქმედება ექცევა ხელოვნების თავისუფლებით დაცულ სფეროში. ეს ხდება მაშინაც, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ მდგომი სისხლისსამართლებრივი ნორმის საზღვრებისა და შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, ხელოვნების თავისუფლება გადაწონის ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს³⁵.

და მაინც, რას ნიშნავს ეს: საეჭვოობისას ხელოვნების სასარგებლოდ გამოქმედებთ თუ მის წინააღმდეგ?

ჩვენ ყურადღებით უნდა მოვუსმინოთ გაურკვევლობის ერთგვარ შეგრძნებას, რომელიც აქ იჩენს თავს - სამართლის ამ როგორც სტრატეგიულ, ასევე თავდაცვით გამოხატულებას. არსებობს იმის ვარაუდი, რომ სისხლის სამართლის მოქმედების შეჩერება ხელოვნებასთან და მის მიერ საზღვრების გადაკვეთასთან მიმართებაში იმით აიხსნას, რომ ხელოვნება არცთუ ისე იშვიათად ემსახურება ამბიციას, გამიზნულად მოახდინოს მთავარი ეთიკური კითხვებისა და საზოგადოების ე.წ. „ბრმა ლაქების“ გაშუქება და ამით გამუდმებით დაარღვიოს მშვიდობა. დავფიქრდეთ ტრადიციულ საზოგადოებრივ მორალში ისეთ ჩარევებზე, როგორც გვხვდება კარლ კრაუსთან, დებატები ბიგოტურ რელიგიასთან მიმართებაში გეორგ გროსთან ან ბრძოლა ღრმადგამჭდარი რასიზმის წინააღმდეგ ბობ დილანთან ან ემინემთან. თუნდაც მხოლოდ ფორმაზე დაკვირვებით ნათლად ჩანს, რომ საქმე ეხება არა მხოლოდ შეგნებას ან თანაზომიერებას, არამედ გათვლილ პროვოკაციას, დაპირისპირებულ ძალას, რომელიც არანაირ შეთანხმებას არ შეესაბამება.

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება აქედან კონკრეტული სისხლის-სამართალწარმოებისთვის? ექსცენტრიულ მხატვარსა და პერფორმანსის შემქმნელ ხელოვან ჯონათან მესეს კასელის უნივერსიტეტმა ჩამოართვა ინტერვიუ თემაზე „მეგალომანია ხელოვნების სამყაროში“ და მან კითხვაზე, შეეძლო თუ არა მას კარგი ხელოვნების წინაშე გაჭვივული დღეობა - ორჯერ „ჰიტლერის მისალმებით“ აწია ხელი. ამით გამოწვეული

35 აქედან გამონაკლისის იმის გამო, რომ მისი, ასე ვთქვათ, აწონ-დაწონვა გამოირიცხულია, წარმოადგენს ადამიანის ღირსება გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად. პრობლემათა მთლიან სპექტრთან დაკავშირებით იხ. ასევე: *Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil*, Bd. 1, 4. Aufl. 2006, § 18 Rn. 49 ff.

სისხლისსამართლებრივ პროცესში მას ბრალი წარედგინა არაკონსტიტუციური ორგანიზაციების სიმბოლიკის გამოყენების გამო გსსკ-ის § 86a-ის მიხედვით. კასელის პირველი ინსტანციის სასამართლო³⁶ კლასიკური გზით ერთმანეთს უპირისპირებს სისხლისსამართლებრივი დაცვის უფლებასა და კონსტიტუციური რანგის მქონე ძირითად უფლებას. პირველ რიგში, ხაზი გაესვა გსსკ-ის § 86a-ის მთავარ მიზანს, რომელიც დემოკრატიული/სამართლებრივი სახელმწიფოს დაცვასა და საჯარო პოლიტიკური მშვიდობის გარანტირებაში მდგომარეობს. მეორე ეტაპზე „ჰიტლერის მისალმება“ განისაზღვრა, როგორც პერფორმანსი და ამით წინა პლანზე წამოიწია გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მესამე აბზაცის პირველი წინადადება. ხელოვნების ღია ცნების საფუძველზე ხაზი გაესვა იმას, თუ რა ხასიათი აქვს ტიპურ ნაციონალ-სოციალისტურ სიმბოლოებზე ტაბუს განზრახ მოხსნის შესახებ სატირას. აღნიშნული, პირველ რიგში, იმიტომ განხორციელდა, რომ ნაციონალ-სოციალიზმთან მიმართებით დღეისათვის არსებულ მიდგომაზე და მასთან დაკავშირებულ დანაშაულზე დისკუსია წინ წამოწეულიყო. ის ფაქტი, რომ ხელოვანი პერფორმანსით ცდილობს ყურადღების მიქცევას და ერთგვარი სარეკლამო მიზნებით მოქმედებს, ხელოვნების თავისუფლების უპირატესობასთან წინააღმდეგობაში არ მოდის. მით უმეტეს, როცა ხელოვნების გამოხატვის საშუალებით (ამ შემთხვევაში სატირა), მისი ეს მიზანი ნათლად ჩანს და არანაირ კითხვის ნიშანს არ ტოვებს. შესაბამისად, სასამართლომ უარყო მისი დასჯადობა.

სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, გსსკ-ის § 86a „არ მოიცავს იმ ქმედებებს, რომლებიც ხელოვნებას ემსახურება. კანონმდებელმა ხსენებულ ნორმაში ნათლად განმარტა, რომ მას არ სურდა დასჯადად გამოეცხადებინა ნებისმიერი ნიშნის საჯაროდ გამოყენება... შესაბამისად, ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება არა ზოგადი სრული აკრძალვა, არამედ რაციონალური დისკუსია სიმბოლური შინაარსის მქონე ქმედებებზე... როგორც ეს უკვე აღინიშნა, განსასჯელი მისი ქმედებების განხორციელებისას მოქმედებდა ხელოვნების გამოხატვის ფარგლებში. განსასჯელს გამიზნულად სურდა ჰიტლერის მისალმებისათვის ტაბუს მოხსნა, რათა მას შინაარსობრივი დისკუსია წინა პლანზე წამოეწია. სწორედ აქედან

36 AG Kassel NJW 2014, 801 ff.

გამომდინარე, განსასჯელის მხრიდან ჰიტლერის მისალმების ჩვენება არ არის სისხლისსამართლებრივად დასჯადი³⁷.

მესემ გამამართლებელ გადანწყვეტილებაზე შემდეგი სახის კომენტარი გააკეთა: „ხელოვნების დიქტატურა იმარჯვებს დემოკრატიაზე“³⁸. ხელოვნება არ აღიარებს არჩეულ ავტორიტეტებს, სამართლის შემსწორებულურ ხასიათსა და ნეიტრალურობას.

წარმოადგენენ სისხლის სამართალი და ხელოვნება საზარელ ანტიპოდებს? ვცადოთ ერთხელ უკვე ნათქვამის სხვაგვარად გადმოცემა. ჩვენ ვხედავთ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციებსა და ინტერესებს: სისხლის სამართალი კონსერვატიული და განზოგადებადია, ხელოვნება კი ექსცენტრული და სუბვერსიულია - ან მინიმუმ სურს, რომ ასეთი იყოს. თუმცა, ყურადღებით უნდა ვიყოთ და ნაჩქარევად არ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ სამართალი ნაკლები ღირებულების მქონეა. სისხლის სამართალი იმიტომ არის კონსერვატიული და განზოგადებადი, რომ იგი სამართლის ფორმაში და სამართლებრივი რაციონალობის ლოგიკაში აისახება, აბა სხვაგვარად როგორ? სისხლის სამართლის ხელოვნება ყველაზე მეტად იმაში გამოიხატება, რომ სპეციალური ექსპერტიზის, თეორიული ცოდნისა და განსჯის პრაქტიკული უნარის გამოყენებით, ყოველი ცალკეული შემთხვევის (რომლის დროსაც ინდივიდუალურ-მორალური და სუბიექტური სამართლიანობის მასშტაბის გადაკვეთასთან გვაქვს საქმე) სამართლიანი გადანწყვეტა განამტკიცოს. უფრო მეტიც: სამართალი კონფლიქტს აცლის ყველაფერ მიუტევებელს, ემოციურს, სუბიექტურს და ამ გზით ქმნის პლურალურად ორგანიზებულ საზოგადოებაში არსებული დისონანსის გავრცელების თავიდან აცილების შესაძლებლობას³⁹. ნიკოლას ლუმანს, რომელიც არამხოლოდ სოციოლოგი, არამედ იურისტიც იყო, მიმზიდველი პასუხი აქვს სამართლის ფენომენის შესახებ თანამედროვე საზოგადოებაში: ლუმანის მიხედვით, კონტინგენტური

37 იქვე.

38 იხ. მხოლოდ ხელოვნების ინტერნეტგვერდი, <http://www.jonathanmeese.com>.

39 თუმცა, აღნიშნული მსჯელობა არ ეხება იმ საკითხს, ხომ არ იცავს სამართალი (და მაშასადამე, მისი მეშვეობით სახელმწიფო ძალაუფლება) იმგვარ ინტერესებს, რომელთა გამომჟღავნება და კრიტიკაც აუცილებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ახლახანს: *Menke, Kritik der Rechte*, 2015 და *Loick, Juridismus*, 2017.

სოციალური გარემოებების პირობებში სამართალმა ყველაზე საიმედო ტექნიკა უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ გაუთვალისწინებელ შემთხვევებს გაუმკლავდეს. სწორედ კონფლიქტების სამართლიანი გადაწყვეტის გზით ცდილობს სამართალი კოპლექსური ცხოვრებისეული ურთიერთობების კონსისტენტურ გადაწყვეტილებებში ასახვას⁴⁰. ნაკლებად სისტემატურ-თეორიულად რომ ვთქვათ: დემოკრატიულ კანონებსა და პროცესებზე უკეთესი ჩვენ არაფერი არ გაგვაჩნია.

თუმცა, როგორც ჩვენ ეს უკვე ვნახეთ, დემოკრატიულ კანონებსა და პროცესებს ხელოვნება ნაკლებად აინტერესებთ. ხელოვნების ექსცენტრიულობასა და სუბვერსიას შეუძლიათ სამართლისა და სამართლიანობის საკითხის გვერდზე გადადგა. თუმცა, როდესაც ისინი ამით კავდებიან - როგორც ამას მარინა აბრამოვიჩი, კლაუს სტაეკი და ან უკვე გარდაცვლილი კრისტოფ შლინგენბიფი ამბობენ - მაშინ საქმე ეხება საზოგადოების პოლიტიკურ ფუნდამენტს, იმ ეიფორიებს, რომელშიც სამართალი, კანონი და კრიმინალური პოლიტიკა შესაძლოა აღმოჩნდეს და რომელსაც ნებისმიერმა საზოგადოებამ უნდა გაუძლოს⁴¹. ამ შემთხვევაში საქმე ეხება საზოგადოების სარკეში ჩახედვას. ამდენად, ხელოვნება ყოველთვის პოლიტიკურია, კრიტიკულია, რამდენადაც შესაძლებელია მესაკუთრე ან მიუტევებელი – ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი⁴². თუმცა, პოლიტიზირების ამ ქმედებაში არა მხოლოდ პრობლემების წარმოჩენა და საზოგადოებისათვის დივერსიული სარკის ხელში მიცემა ხორციელდება, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ჩარევის მთავარ მიზანს წარმოადგენს კონკრეტული ასოციალური ან უსამართლოდ აღქმული ნორმები და პოლიტიკური გაგებები, რომელიც ისევ და ისევ სისხლის სამართლის მხრიდან ნორმების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში. მაგალითების სახით საკმარისია ხელოვნების მეშვეობით წარმოებული დისკუსია გერმანული ელიტების ნაციონალ-სოციალისტურ წარ-

40 ამ კონტექსტში ასევე დღის წესრიგში დგება „სამართლიანობის, როგორც სამართლის გაუთვალისწინებელი ფორმულის“ შესახებ მსჯელობა; *Luhmann, Ausdifferenzierung des Rechts. Beiträge zur Rechtssoziologie und Rechtstheorie*, 1981, S. 374 ff.

41 ბოლოს შესამჩნევია გსსკ-ის § 217-ის შესავალში - საქმიანი ვითარებაში თვითმკვლელობისათვის ხელის შეწყობა.

42 ასევე იხ.: *Menke* (Fn. 19).

სულთან, ორსულობის შეწყვეტასთან და თანამედროვე საზოგადოებაში ქალის სტატუსთან ან თავშესაფრის მაძიებელ პირებთან დაკავშირებით. პოლიტიკური ხელოვნება, რომელიც საჯარო სივრცეში გამოდის, შოკში გვაგდებს; მას სურს ნორმების არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, როდესაც აღნიშნულის საპირისპიროდ სისხლის სამართალი მათ დაცვას ცდილობს. ხელოვნებისათვის თანამდევი შედეგები შესაძლოა სახიფათო იყოს. ის, რაც გერმანიაში, როგორც ჩვენ ეს უკვე ვნახეთ, ფართო დოკუმატიკისა და კონსტიტუციურსამართლებრივი მართლმსაჯულების დახმარებით სამართლებრივსახელმწიფოებრივი პროცესის ფარგლებში რჩება (არ აქვს მნიშვნელობა, რა შედეგი მოჰყვება მას), სხვა ქვეყნებში ასე არ არის. აქ ხშირად მნიშვნელოვან პრობლემებთან გვაქვს საქმე, მაგ. რუსეთში პანკბენდ Pussy Riot-ის ან ჩინეთში პერფორმანსხელოვან აი ვეივის შემთხვევა.

და მაინც, ითქვა ამით ყველაფერი ხელოვნებისა და სისხლის სამართლის ურთიერთობასთან დაკავშირებით? სრულად მაინც არა. პოლიტიკური ხელოვნება წვრთნის საზოგადოებრივ კრიტიკას და როდესაც იგი პოლიტიკას არა მხოლოდ როგორც მიკერძოებულად, არამედ პროგრამულად ეხება, იგი მოიცავს საკუთარი ღირებულებებისა და თავისთავად აღიარებული მიდგომების კრიტიკასაც. მაშასადამე, იგი წარმოადგენს სამართლისადმი მიმართვის გზას, სხვა შემთხვევაში ასევე სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ან პროტესტის ერთგვარ გამოხატულებას⁴³. მაგრამ ჩვენ ყურადღებიდან არ უნდა გამოვგრჩეს ის ფაქტი, რომ თავად ხელოვნება მხოლოდ გარკვეული გზით დალაგებულ საზოგადოებრივი ურთიერთობების პირობებში შესაძლოა არსებობდეს და აღიქმებოდეს (განა შესაძლებელია ომში ხელოვნების არსებობის წარმოდგენა?); მაშასადამე, იგი უნდა არსებობდეს განსაზღვრულად ორგანიზებულ ურთი-

43 აღნიშვნის ღირსია ე.წ. შლინგენშიფის კონტეინერის აქცია (სახელწოდებით „Ausländer raus!“) ავსტრიაში უცხოელთა მოძულეობის წინააღმდეგ, დოკუმენტაცია: <http://www.schlingensief.com/backup/wienaktion/html/archiv00.html>; Kritik: http://www.getidan.de/kritik/film/georg_seesslen/719/auslander-raus-schlingensiefs-container. ხელოვნებისა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის/პროტესტის/წინააღმდეგობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ: *de Lugasnerie, Die Kunst der Revolte. Snowden, Assange, Manning, 2015; Kastner, Transnationale Guerilla. Aktivismus, Kunst und die kommende Gemeinschaft, 2007.*

ერთობებში, რომელთა არსებობის წინაპირობას სამართალი და თავისუფალი საზოგადოება წარმოადგენს. ტრივიალურია ის ფაქტი, რომ ეს ურთიერთობები იდეალური არ არის. შეუძლებელია პოლიტიკური ხელოვნება მხოლოდ ამას ეხებოდეს. უფრო მეტიც, შეუძლებელია, რომ ის მხოლოდ საზოგადოებაში და საზოგადოების მხრიდან განსახორციელებელი ცვლილებების შეთავაზებებს მოიცავდეს. პოლიტიკური ხელოვნება წარმოადგენს ერთგვარ უსიამოვნო შეგრძნებას, დაკავშირებულს დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ რუტინასთან იმაზე მითითებით, რომ იურიდიული ნორმები არ ემსახურებიან თავიანთ მიზანს და შესაძლოა უსამართლონიც კი იყვნენ. ალბათ ამით უკეთ ვხვდებით რატომ არის სისხლის სამართალი და მასთან ერთად სამართლებრივი სახელმწიფო ხელოვნებასთან მიმართებით ძალიან ფრთხილ, ნაწილობრივ გაურკვეველ და იმავდროულად, თავდაცვით მდგომარეობაში. ხელოვნება თავისთავად არამხოლოდ იურისტებისთვის წარმოადგენს ყველაზე დიდ გამოწვევას. პოლიტიკური ხელოვნება შემანუხებელი და მძიმეა. ის ე.წ. „აგრესიული ჰუმანიზმის“ სახით იბრძვის, როგორც ამას ხელოვნების ერთ-ერთი გაერთიანება - პოლიტიკური მშენიერების ცენტრი⁴⁴ განმარტავს (აღნიშნული ცენტრის მიმართ დანყებულ იქნა გამოძიება კრიმინალური დაჯგუფების შექმნის ბრალდებით გსსკ-ის § 129-ის შესაბამისად, თუმცა ის ამასობაში შეწყდა კიდევ). ეს საქმეს ყოველთვის არ ამარტივებს.

ამასთანავე, ხელოვნება არ ემსახურება დისკურსის შემსუბუქებას. თუმცა, ჰუმანისტურ პროექტებზე მითითებით იგი თითქოსდა ამასაც ცდილობს. როდესაც სახელმწიფო ძალაუფლებასთან დაკავშირებული შესაბამობებისა და პრობლემური გადაწყვეტილებების შესახებ ვმსჯელობთ, შეუძლებელია საქმე არ ეხებოდეს სისხლის სამართალს და მაშასადამე, კანონმდებელსაც. აღნიშნულს გვახსენებს თავად კონსტიტუცია და ადამიანის ღირსების დაცვის უნივერსალური პრინციპი⁴⁵. გამოხატვის გზები შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. შესაძლოა სწორედ ამიტომ

44 <https://www.politicalbeauty.de>.

45 აქტუალურ დებატებთან დაკავშირებით იხ. *Zabel*, Die Ordnung des Strafrechts, 2017; *Gärditz*, Staat und Strafrechtspflege, 2015; Brunhöber et al. (Hrsg.), Strafrecht und Verfassung, 2013, და ასევე, იხ. *Appel*, Verfassung und Strafe, 1998; ფილოსოფიური პერსპექტივიდან: *Merle*, Strafen aus Respekt vor der Menschenwürde, 2007.

ვსაუბრობთ ჩვენ პროტაგონისტებსა და იდეების მომწოდებლებზე, ურთიერთგადაძვევით და არა ერთმანეთთან დაპირისპირებულ სამყაროებზე - რამაც ისევ უკან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააბრუნოს ურთიერთ-საპირისპირო ინტერესები და ორმხრივი რისკები.

და ბოლოს, ჩვენი მოსაზრებები შეგვიძლია მოკლედ ასე შევაჯამოთ: ხელოვნება, საზოგადოება და სისხლის სამართალი ყოველთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. თუმცა, სისხლის სამართლის ხელოვნებაზე საუბარმა ჩვენ შეგვიძლია მგრძობიარე გაგვხადოს იმ დინამიკასთან მიმართებაში, რაც ამ ურთიერთობაში არსებობს. ხელოვნება და სისხლის სამართალი, ერთი მხრივ, სრულიად განსხვავებულ მიზნებს ემსახურებიან და როგორც ჩვენ დავინახეთ, კონტრასტული ფუნქციების მატარებლებიც არიან. მეორე მხრივ, მათ აერთიანებთ საზოგადოებაზე ზემოქმედების და ხანგრძლივ პერსპექტივაში მისი ფორმირების ინტერესი. კონფლიქტები ყველაზე მეტად იქ წარმოიქმნება, სადაც სისხლის სამართალი მის შემოქმედებით ძალაუფლებას კონსერვატიულად, ნორმების შენარჩუნების მიზნით და რაც შეიძლება რეპრესიულად იყენებს. მაშინ როცა, ხელოვნება, თავის მხრივ, სუბვერსიულად, ექსცენტრიულად და ფართო გაგებით რომ ვთქვათ, პოლიტიკურად მოქმედებს. თუმცა, დეტალური განხილვის შედეგად ჩანს, რომ ურთიერთობის კონფლიქტურობაშიც კი არსებობს საერთო და ურთიერთდამაკავშირებელი, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ხომ მაინც საქმე გვაქვს ჰუმანურ, ადამიანის ღირსებაზე დაფუძნებულ საზოგადოებასთან.

სისხლის სამართალი და ხელოვნება

ასოც. პროფ. ბაჩანა ჭიშკარიანი, საქართველოს უნივერსიტეტი

I. შესავალი

სისხლის სამართლისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების საკითხი ქართულ აკადემიურ სივრცეში არ განეკუთვნება იმ პრობლემათა რიცხვს, რომელიც სიღრმისეულად დამუშავებულია. თუმცა, პრაქტიკაში, უკვე აშკარად იჩინს თავს ის კამუნიტიკა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლიდან გამომდინარე დაკავშირებულია პირების არცთუ უმნიშვნელო მოცულობით პასუხისმგებლობასთან. სისხლის სამართლისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების საკითხმა პორნოგრაფიის გავრცელების დასჯადობის კონტექსტში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომდეც მიაღწია და ამჟამად განხილვის პროცესშია. ამ საკითხს მოგვიანებით ცოტა უფრო დეტალურად შევხვებით.

II. სისხლის სამართალი და ხელოვნების თავისუფლება - შეხების წერტილები

ქართული სისხლის სამართლის კოდექსი სხვადასხვა თავში, ისეთ ნორმებს შეიცავს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თავისთავად წამოჭრიან ხელოვნების თავისუფლებასთან შემხებლობის საკითხს. სიტყვასიტყვითი შინაარსის გაცნობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის რელევანტური მუხლები საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რამაც შესაძლოა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების მხრიდან პრაქტიკაში მათი ბოროტად გამოყენების საფრთხე შექმნას, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ მყარი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ამ საფრთხეს გადაწონდა, ჯერჯერობით საქართველოში არ ჩამოყალიბებულია. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში 32-ე თავს ჯერ კიდევ სათაურად შემორჩენილი აქვს „დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მწეობის

წინააღმდეგ“ და ამ თავის ფარგლებში ისეთი დანაშაულების შემადგენლობები ფართოდება, როგორცაა მაგ. პროსტიტუციის ხელშეწყობა, მაშინ როდესაც თვითონ პროსტიტუცია დანაშაულად არ ითვლება. ამით სახელმწიფო ბოლო პერიოდის განმავლობაში თითქმის ნებისმიერ საზოგადოებრივად მწვავე საკითხს სისხლისსამართლებრივი რეაქციებით პასუხობს და ზედმეტი პატერნალიზმის ნიშნები იკვეთება.

ხელოვნების თავისუფლების კონტექსტში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან შემდეგი შემადგენლობები შეიძლება იყოს რელევანტური: რელიგიის წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა (მუხ. 155), სხვისი ნივთის დამიანება ან განადგურება (მუხ. 187), პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება (მუხ. 255), არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში (მუხ. 255¹), ისეთი ნაწარმოების დამზადება ან გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს (მუხ. 256) და ა.შ. ჩვენ ამათგან შედარებით სიღრმისეულად მხოლოდ ორ მათგანს შევხებით. ესენია რელიგიის სისხლისსამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული შემადგენლობა სსკ-ის 155-ე მუხლის სახით, ვინაიდან ამ კუთხით პრაქტიკა არ იძებნება ქართულ სამართალში და შედარებით ნაკლებად გამოკვლეულია და სისხლისსამართლებრივი კონფლიქტების პოტენციალიც დიდია საზოგადოების რელიგიურობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე და მეორე საკითხი, პორნოგრაფიასთან დაკავშირებული შემადგენლობები, ვინაიდან ამჟამად მასზე საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობს მსჯელობა და სასამართლოს გადაწყვეტილებამ შესაძლოა ფუნდამენტურად შეცვალოს ცალკეული მიდგომები (როგორც დასჯადობის, ასევე არდასჯადობის დასაბუთების თვალსაზრისით) და ეს იქნება პირველი სიღრმისეული შინაარსის სასამართლო გადაწყვეტილება ამ სფეროში ქართულ სისხლის სამართალში.

III. ხელოვნების ცნება ქართულ სამართალში

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში რთულია მოიძებნოს ხელოვნების დეფინიცია, იქნება ეს საერთო თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დონეზე, რომლითაც ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები დანაშაულებისთვის პასუ-

ხისმგებლობის საკითხის გარკვევა იქნებოდა მარტივად შესაძლებელი. საქართველოს კონსტიტუციის პირველი ვერსიის 23-ე მუხლით გარანტირებული იყო ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება, რაც თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ ხელოვნება თავისუფალია.¹

იგივე სულისკვეთებაა დღეს მოქმედ კონსტიტუციაშიც, კერძოდ მის მე-20 მუხლში. რა თქმა უნდა, იქვე გაკეთებულია დათქმა, რომ შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადანწყვეტილებით, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს. ანუ აღნიშნული უფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ და ხელშეუხებელ უფლებათა რიცხვს. ვინაიდან ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება დაკავშირებულია ინოვაციურ ან წარმოსახვით, ორიგინალურ პროექტთან (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მიზანი არ არის ხელოვნების დეფინიციის სრულყოფილად ჩამოყალიბება),² რომელიც ასევე, თავის მხრივ, რთულია, ყოველთვის ობიექტური კრიტერიუმებით განისაზღვროს, ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოები ვალდებულნი არიან, შეზღუდულად და ვიწროდ მიუდგინონ მისი სხვა უფლებებით შებოჭვის ფარგლებს.

რა თქმა უნდა, ზოგადად ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ თვითონ უშუალოდ შემოქმედების პროცესი (ხელოვნების ქმნა) და შემოქმედების პროდუქტის გავრცელების პროცესი. მართალია, კონსტიტუციის მეოცე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ შემოქმედებით პროცესში ჩარევა დაუშვებელია, მაგრამ სახელმწიფო, ამავდროულად, სისხლის-სამართლებრივად ადგენს მთელ რიგ შეზღუდვებს, რომელიც არა მხოლოდ უშუალოდ პროდუქტის გავრცელებას, არამედ მის დამზადებასაც კი კრიმინალად აცხადებს (უკანონო პორნოგრაფიის არა მხოლოდ გავრცელება, არამედ დამზადებაც დასჯადია), ანუ მიუხედავად იმისა, რომ

1 კუბლაშვილი, კრებულში: კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, 2012, 138.

2 *კორბენაძე*, კომენტარებში: ავტ. კრებული, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, 2013, 235. ხელოვნების ერთიანი და ამომწურავი ცნების ჩამოყალიბება უშუალოდ ხელოვნების შინაარსთანვე წინააღმდეგობაში იქნებოდა, ვინაიდან ის სწორედ იმიტომ იწოდება „ხელოვნებად“, რომ ჩარჩოებში მოქცევა შეუძლებელია და გარეგნულად ვერავინ განსაზღვრავს, თუ რას მოიცავს ის - შუად. BVerfGE 75, 377.

არ არის განსაზღვრული ხელოვნების არსი, გარკვეულ ქმედებებს კანონმდებელი არაშემოქმედებითად აცხადებს და ამით მეოცე მუხლის დაცვის მიღმა ტოვებს.

როგორც ვხედავთ, ვინაიდან ღიად რჩება ხელოვნების ცნების საკითხი ქართულ კანონმდებლობაში კონსტიტუციურსამართლებრივ დონეზე,³ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საერთო სასამართლოები თვითონ არიან ვალდებულნი, შეავსონ ეს დანაკლისი და ყოველი კონკრეტული სიტუაციის მიხედვით მიიღონ გადაწყვეტილება. მით უმეტეს, თვალთახედვიდან არ უნდა გამოიჩინოს ფაქტი, რომ ყოველი სისხლისსამართლებრივი ჩარევა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებში, ისედაც ყველაზე ინტენსიური ჩარევაა და მას მხოლოდ ერთ შემთხვევაზე არ ექნება გავლენა, არამედ ბევრად უფრო ფართო მოქმედების ეფექტი მოჰყვება.⁴

IV. ცალკეული შემადგენლობების ანალიზი ქართული სისხლის სამართლის კოდექსიდან

1. რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა

ჩვენ მიერ აქ მოცემული ანალიზის მიზანი, რა თქმა უნდა, არ არის ამ შემადგენლობის სრული განხილვა, არამედ მთავარია ვცადოთ ხელოვნების თავისუფლებისა და რელიგიური ინტერესების დაცვის ურთიერთგამიჯნა მათ შორის არსებულ კოლიზიურ სიტუაციებში, როდესაც ჩნდება კითხვა, დაისაჯოს თუ არა პირი აღნიშნული ნორმით. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე თავის სახელწოდება - დანაშაულები ადამი-

3 მართალია, გარკვეული სარჩელები ამ კონტექსტში შეტანილ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოში, თუმცა, მათ ვერ გადალახეს დასაშვებობის ზღვარი სხვადასხვა მიზეზით და ამით სასამართლომ, გარკვეულწილად აირიდა თავიდან ხელოვნების დეფინიციის ჩამოყალიბება. იხ. მაგ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №1/13/711, 2016 წლის 25 ნოემბერი. შეად. ასევე *ტულუში, ბურჯანაძე და სხვები*, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, 289.

4 BVerfGE NJW 1985, 261.

ანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ - რამე ხელჩასაჭიდ ორიენტირს არ გვაძლევს დაცულ სამართლებრივ სიკეთესთან დაკავშირებით, ვინაიდან ის საკმაოდ ზოგადია. სისხლის სამართლის კოდექსი ხომ ისედაც მთლიანად ამ უფლებების დაცვას ემსახურება. ამიტომ, კონკრეტულად, ამ მუხლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს უშუალოდ რელიგიური წესებისა და ჩვეულებების ურთიერთპატივისცემის ფარგლებში საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა. როდის შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტური სიტუაცია ხელოვნების თავისუფლებასა და სსკ-ის 155-ე მუხლს შორის? ელემენტარულად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რომელიმე რელიგიურ დაწესებულებასთან ახლოს გახსნილი გასართობი დაწესებულება (კლუბი, რესტორანი და ა.შ.), საიდან გამოსული ხმაურიც, რაც გამოწვეულია იქ მყოფი დიჯეის მიერ დაკრული მუსიკით, ხელს უშლის ღვთისმსახურებას და ამით იქ მყოფი მორწმუნეებიც შეურაცხყოფილნი რჩებიან. სსკ-ის 155-ე მუხლის ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე საკმაოდ ფართოდ არის ჩამოყალიბებული და ერთი შეხედვით, ნებისმიერ ხელშემშლელ ქმედებას მოიცავს. მართალია, იქ სიტყვა „უკანონო“ არის ნახსენები (უკანონოდ ხელის შეშლა), თუმცა, დავინროვების თვალსაზრისით, ეს მნიშვნელოვან ორიენტირს მაინც არ გვაძლევს. იმისათვის, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ღვთისმსახურება ჩაიშალოს ან შეწყდეს, ამისათვის საკმარისია მხოლოდ ხელის შეშლაც კი, თუმცა, ამაში უმნიშვნელო ხელის შეშლას ვერ მოვიამრებთ (მაგ. მცირე ხმაური).

მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს ხელოვნების, ანუ დიჯეის ნაწარმოებების შესრულების გარანტიებიც. როგორ უნდა გავმიჯნოთ მაშინ დასჯადი და არადასჯადი რელიგიური წესის აღსრულებისათვის ხელის შეშლა ერთმანეთისგან? ძირითადი გამოსავალი შესაძლოა უფრო სუბიექტურ მხარეში ვეძებოთ. ამასთან დაკავშირებით იგივე გერმანულ დოქტრინაში ერთიანი შეხედულება არ არსებობს. ავტორთა ნაწილის მოსაზრებით, პირის დასჯადობისთვის აუცილებელია მისი მხრიდან მიზანმიმართული ქმედების განხორციელება, ანუ მას პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა უნდა ამოძრავებდეს ხელის შეშლასთან

მიმართებით.⁵ მაგრამ, რაც შეეხება ხელის შეშლის მიღმა ქმედების სხვა კონსტრუქციას, რაც გამოიხატება რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფაში, საკმარისია არაპირდაპირი განზრახვა.⁶

მართალია, გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის § 167-ის პირველი ნაწილის პირველი აბზაცისგან განსხვავებით (რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის მიზანმიმართული შეშლა), ქართული ნორმა სიტყვასიტყვით არ მიუთითებს გამიზნულ ქმედებაზე, თუმცა, არსობრივად ნორმა მაინც ამ ჭრილში უნდა გავიგოთ და სულ მცირე, პირდაპირი განზრახვის (პირველი ან მეორე ხარისხის) არსებობა უნდა მოვიზაროთ მასში, როგორც წინაპირობა.

დაისჯება თუ არა ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები დიჯეი, თუ მან იცის, რომ მის ქმედებას უცილობლად მოჰყვება ახლოს მდებარე შენობაში რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის შეშლა? თუ ის დაწესებულება, რომელშიც ის უკრავს, ფუნქციონირებს კანონის დაცვით, მაშინ მას ვერ მივცემთ პასუხისგებაში. მისი მხრიდან განხორციელებული ქმედება სოციალურად ადეკვატურია, ვინაიდან ნებართვა გამომდინარეობს უშუალოდ სახელმწიფოს მხრიდან დადგენილი წესებიდან და მის ფარგლებში მოქმედებას ვერ ჩავთვლით დანაშაულად.⁷ მაგრამ, თუ შევცვლიდით ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითს და ვიტყვოდით, რომ მუსიკოსმა მაგ. მაინცდამაინც ეკლესიის შესასვლელ კარებთან გადაწყვიტა შეესრულებინა თავისი ნაწარმოებები, რითაც მნიშვნელოვნად ხელს უშლიდა წირვას, ეს უკვე მოგვცემს 155-ე მუხლის შემადგენლობას.

